

## **ეპრავი ქონების რეგისტრაცია**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2022, №11

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)**

2022, №11

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)**

2022, №11

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)**

2022, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი  
გარიგა გაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საქოპალი

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების	
რეგისტრაციის საფუძველი .....	4
სადაცო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერება .....	33
სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღვინის ქარხნის	
პრივატიზების ფარგლები .....	69
რეესტრის ეროვნული სააგენტოს	
გადაწყვეტილების კანონიერება .....	114
უძრავი ნივთების, მიწის ნაკვეთის რეალური ადგილმდებარეობის	
შესაბამისობა დარეგისტრირებულ/დასარეგისტრირებელ მიწის	
ნაკვეთებთან მიმართებით .....	133
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარკინიგზო ტიპის	
ხაზობრივ ნაგებობაზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების	
გაუქმების კანონიერება .....	154

## **შერაც ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი**

### **გადაცევის მიღება საქართველოს სახელით**

№ბს-248(კ-21)

10 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა:** მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 20 ივლისს გ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონული ოფისის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, 2016 წლის 28 ივლისს მან მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე, მდებარე: საგარეჯოს რაიონი, სოფელი ....ა. 2016 წლის 2 აგვისტოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... გადაწყვეტილება, მიზეზად კი მიუთითა, რომ წარსადგენი იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული ინფორმაცია მინის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მის მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შესახებ გადაწყვეტილება №.... ვინაიდან, საჯარო რეესტრმა კვლავ არ მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, 2017 წლის 11 აპრილს მოსარჩელემ წარადგინა დამატებითი განცხადება, რის შემდეგაც არ განხორციელდა უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე აღრიცხვა. მიღებუ-

ლი გადაწყვეტილების შესაბამისად, 2017 წლის 26 აპრილს მოსარჩელემ დამატებით წარადგინა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წერილი, რომლითაც აღმოიფხვრა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი, თუმცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 2 მაისის №... გადაწყვეტილებით დაიწყო დამატებითი დოკუმენტაციის მოძიება და მოსარჩელეს არ დაურეგისტრირდა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე.

მოსარჩელე ასევე აღნიშნავს, რომ 2017 წლის 25 მაისს მან №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომელმაც ადმინისტრაციული საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები და კახეთის რეგიონულ ოფისს დაევალა ახალი გადაწყვეტილების მიღება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და კახეთის რეგიონული ოფისის გადაწყვეტილებები არღვევს მის კანონიერ უფლებებს, ვინაიდან არ განხორციელდა უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია.

ამდენად, მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის (დაევალოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონული ოფისს №... სარეგისტრაციო განცხადებაზე ახალი გადაწყვეტილების მიღება), სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 4 აგვისტოს №...-12 გადაწყვეტილების, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 5 სექტემბრის №...-15 გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონული ოფისისათვის 2016 წლის 28 ივლისს წარდგენილ განცხადებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვე-

ტილების მიღების დავალება მოითხოვა.

სიღნალის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის გა-დაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ პა-თილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფი-ლებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილება, კერძოდ, გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი (დაევალოს კახეთის რეგიონული ოფისს №... სარეგისტრაციო განცხადებაზე ახალი გადაწყვეტილე-ბის მიღება წინამდებარე გადაწყვეტილების 3.12. 3.13 პუნქტების გათვალისწინებით); ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს №...-12 (04.08.2017წ.) გადაწყვეტილე-ბა, საჯარო რეესტრის 21.08.2017წ. №... გადაწყვეტილება, სარე-გისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №...-15 (05.09.2017წ.) გადაწყვეტილება და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შე-სახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება; საჯარო რეესტრის ეროვ-ნულ სააგენტოს (ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიო-ნული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონული ოფისს) მოსარ-ჩელის მიერ 2016 წლის 28 ივლისს წარდგენილ განცხადებაზე უძ-რავი ქონების მდებარე: საგარევოს რაიონი, სოფელი ...ა, გ. მ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფიზიკუ-რი და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლე-ბის აღიარების კომისიის 2016 წლის 26 ივლისის №24 სხდომის ოქ-მის თანახმად, დაქმაყოფილდა გ. მ-ის განცხადება თვითნებურად დაკავებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატე-გორიის 59 393 კვ.მ მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ (მშე-ნებარე) საცხოვრებელ სახლზე (320 კვ.მ) საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. მოსარჩელე გ. მ-ის მიერ გადახდილ იქნა 4 946.20 ლარი, როგორც სახნავი კატეგორიის მიწის ნაკვეთის საფა-სური.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2016 წლის 28 ივლისს გ. მ-ემ №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგის-ტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონულ ოფისს და სა-ხელმწიფო პროექტის ფარგლებში საგარევოს რაიონის სოფელ...აში მდებარე უძრავ ნივთზე (ს.კ. ...) საკუთრების უფლების რეგისტრა-

ცია მოითხოვა. სარეგისტრაციოდ მის მიერ წარდგენილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წლის 28 ივლისს გაცემული საკუთრების უფლების №... მოწმობა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2016 წლის 2 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... გადაწყვეტილება, რომლითაც დაინტერესებულ პირს ეცნობა, რომ წარსადგენი იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული ინფორმაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ. 2016 წლის 3 აგვისტოს გ. მ-ის მიერ წარდგენილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საკუთრების აღიარების კომისიის 2016 წლის 2 აგვისტოს №02/-016 მიმართვის ასლი. 2017 წლის 19 აპრილის №...-07 გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს კვლავ ეცნობა, რომ წარმოსადგენი იყო უფლებამოსილი ორგანოს – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან დოკუმენტი მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ. 2017 წლის 26 აპრილს დაინტერესებულმა პირმა კვლავ წარადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 2 აგვისტოს №02/-016 მიმართვის ასლი. შედეგად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის 2017 წლის 22 ივნისის №...-10 გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ.

2017 წლის 25 მაისს გ. მ-ემ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ 2017 წლის 2 მაისის №... გადაწყვეტილებაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. 2017 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილებით გ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი წანილობრივ დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის 2017 წლის 19 აპრილის №...-07, 2017 წლის 2 მაისის №... და 2017 წლის 22 ივნისის №...-10 გადაწყვეტილები. ამავე გადაწ

ყვეტილებით კახეთის რეგიონულ ოფისს დაევალა №... სარეგისტრაციო განცხადებაზე ახალი გადაწყვეტილების მიღება გადაწყვეტილების 3.12 და 3.13. პუნქტების გათვალისწინებით.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 4 აგვისტოს №...-12 გადაწყვეტილებით განმცხადებელ გ. მ-ეს დაევალა წარედგინა კორექტირებული საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სააგენტოში დაცული ინფორმაცია. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 5 სექტემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება №...-15 სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან, მარეგისტრირებელი ორგანოს მოსაზრებით, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით გ. მ-ეს უარი ეთქვა №... ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციაზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, გ. მ-ის მიმართ გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის კანონიერება მოპასუხე მხარეს სადაც არ გაუხდია. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან წარდგენილი საკუთრების უფლების მოწმობა, აზომვითი ნახაზი და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაცია იძლეოდა საქმარის საფუძველს, რომ რეგისტრაციაში გატარებულიყო განცხადებაში მითითებული ქონება საკუთრების უფლებით და არ არსებობდა რეგისტრაციაზე უარის თქმისა და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის საფუძვლები. სასამართლომ ასევე მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესსა“ და „საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-15 მუხლის 3! პუნქტზე და დამატებით აღნიშნა, რომ როდესაც წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის დაკონკრეტებული ან მათი შინაარსიდან არ ირკვევა მინის ნაკვეთის დანიშნულება ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის კატეგორია კომისია და-

მატებით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთის დანიშნულების ან/და კატეგორიის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, საკუთრების უფლების №... მონმობით გ. მ-ეს საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, რომელსაც საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია.

რაიონულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ხარვეზის გამოსხივორების მიზნით ოჯახი მიმართა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, თუმცა მიუხედავად საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ რეესტრში დოკუმენტების წარდგენისა, საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ განხორციელდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. მ-ე წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძებს, სახელმწიფომ აღნიშნული უძრავი ქონება მას გადასცა საკუთრებაში გარკვეული საფასურის სანაცვლოდ და შესაბამისად რეგისტრაციაზე უარის თქმა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს და უკანონოდ ზღუდავს მის საკუთრების უფლებას.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივლისის განჩინებით ნ. ჩ-ის, თ. მ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ისა და დ. მ-ის განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა; გარდაცვლილი აპელანტის – გ. მ-ის უფლებამონაცვლებად დადგინდნენ ნ. ჩ-ე, თ. მ-ე, გ. მ-ე, მ. მ-ე და დ. მ-ე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს შედეგი, მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. თუმცა სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგინდლი ცალკეული გარემოებები, კერძოდ, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხე მხა-

რის მიერ სადავოდ არ იყო გამხდარი საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის კანონიერება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში წარდგენილ იქნა ინფორმაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ, სადაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა არ ჰქონდა მითითებული მიწის დანიშნულებაში არასასოფლო-სამეურნეო. სააპელაციო პალატის მითითებით, რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია ის გარემოება, რომ გადაცემული ნაკვეთის დოკუმენტაციაში დანიშნულებად მითითებული იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია, თუმცა სააგენტოში არსებული, საგარეჯოს რაიონის ...ის მეცნახეობის მეურნეობის 1991 წლის მინათსარგებლობის დოკუმენტში, აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილი აღრიცხული იყო როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ნაწილი კი – სახნავის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართებად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, მართალია, გააუქმა გასაჩივრებული აქტები, მაგრამ მოთხოვნილ იქნა სხვა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცულ მონაცემებთან. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ყოველივე აღნიშნული მიუთითებდა იმაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო გახსადა (არა სასამარჩელო წარმოებაში) საკუთრების მოწმობა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოხმობილი მუხლის მიზნებისთვის, საჯარო რეესტრი არ იყო უფლებამოსილი გამოეკვლია, თუ რატომ ენინააღმდეგებოდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიწისათვის სახნავი კატეგორიის მინიჭება 1991 წლის მინათსარგებლობის გეგმას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა რეგისტრაციის შემაფერხებელ გარემოებას, რადგან აღიარების მიზნებისათვის, კანონით გათვალისწინებული წესით, დამაბრკოლებელი გარემოება არ იყო ის, რომ მიწა მთლიანად არ იყო სახნავი კატეგორიის. ამდენად, იგი შეიძლებოდა ყოფილიყო კანონით აუკრძალავი ნებისმიერი დანიშნულების, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცე-

ბულ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილზე და მიიჩნია, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში, დანიშნულებისა და კატეგორიის მინიჭების შესახებ უფლებას კანონმდებელი ანიჭებს აღიარების კომისიას, რაც პალატის მოსაზრებით, გულისხმობს, რომ აღიარების კომისიას აქვს უფლება შეავსოს/აღმოფხვრას ის არასრულყოფილება, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა 1991 წელს (30 წლის წინ) გაცემული მიწათსარგებლობის გეგმის სახით.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკურებულოსთან არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 2 აგვისტოს №02/-016 წერილზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკურებულოსთან არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 2 აგვისტოს №02/-016 წერილზე, რომლის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე საკუთრებაში გადაცემულ მინის ნაკვეთს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახით კატეგორია და აღიარების საფასურიც ამის მიხედვით იქნა გადახდილი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან წარდგენილი საკუთრების უფლების მოწმობა, აზომვითი ნახაზი და საკუთრების უფლების აღიარების კომისიდან სის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაცია იძლეოდა და საკმარის საფუძველს, რომ რეგისტრაციაში გატარებულიყო განცხადებაში მითითებული ქონება საკუთრების უფლებით და არ არსებობდა რეგისტრაციაზე უარის თქმის და შენერეტის საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში, მხარემ ხარვეზის გამოსწორების მიზნით ორჯერ მიმართა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, თუმცა მიუხედავად საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ რეესტრში დოკუმენტების წარდგენისა, საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ განხორციელდა, რაც გ. მ-ეს, როგორც კეთილსინდისიერ შემძენს, რომელსაც სახელმწიფომ აღნიშნული უძრავი ქონება გადასცა საკუთრებაში გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა და უკანონოდ ზღუდვადა მის საკუთრების უფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინოდა სის საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩინობული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვდა.

35.

კასატორი მიუთითებს სააპელაციო პალატის შეფასებაზე, რომ კანონში არსებული რეგულაციით გაურკვევლობის შემთხვევაში, დანიშნულებისა და კატეგორიის მინიჭების შესახებ უფლებას კანონმდებელი აღიარების კომისიას ანიჭებს. კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა გაურკვევლობას, ვინაიდან სააგენტოში დაცული მონაცემებით შესაძლებელი იყო მინის ნაკვეთის დანიშნულების შესახებ ინფორმაციის მოძიება, როსი კვლევის ვალდებულებაც გააჩნდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას. ამასთან, სააპელაციო სასამართლოშ სადაცო განჩინებაში თავად განმარტა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გააჩნია არა ახალი, თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით შედგენილი, არამედ 1991 წელს მიღებული მიწათსარებლობის გეგმა. კასატორი განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, აღიარების კომისიას გადაწყვეტილება ამ გეგმაზე დაყრდნობით არ მიუღია. მეტიც, საერთოდ არ გამოუკვლევია გეგმის არსებობის საკითხი.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. კასატორი აღნიშნავს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საკუთრების უფლების №... მოწმობაში მითითებული მოხაცემები ურთიერთშეუსაბამოა, რაც წარმოადგენს მოსარჩევის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამაბრკოლებელ ერთ-ერთ გარემოებას. მოსარჩევის მიერ წარდგენილი საკუთრების უფლების მოწმობა და საკუთრების უფლების აღიარების კომისიადან საჯარო რეესტრში წარდგენილი დოკუმენტაცია რეგისტრაციის განხორციელებისათვის არ იძლეოდა საკმარის საფუძველს.

კასატორის მითითებით, საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე რეგისტრაციის განხორციელების მიზნით, სარეგისტრაციო წარმოება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობდა 2016-2017 წლებში. არც პირველი ინსტანციის სასამართლო და არც სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის დროს არ დაინტერესებულია, ძალაში იყო თუ არა 2016 წელს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა ოთხი წლის შემდეგ ან ხომ არ იყო მასში რაიმე ცვლილება შესული. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსა-

მართლე საქმის განხილვის დროს არ იზღუდება მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, შუამდგომლობებით და მოსაზრებებით, სასამართლო უფლებამოსილი და ამავე დროს ვალდებულიც იყო, გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და მოცემულ შემთხვევაში, საქმეში მესამე პირად ჩაერთო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, როგორც სადავო უფლების დამდგენი დოკუმენტის გამომცემი მხარე ან თავად გამოიხოვთხოვა საკუთრების უფლების მოწმობასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტიდან. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სწორედ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ აცნობა, რომ მოქალაქე გ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა №... (28.07.2016წ.) და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი 2018 წლის 29 მაისს ამოღებულ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს მიერ.

კასატორის აღნიშვნით, სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ №... განცხადებაზე წარდგენილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საკუთრების უფლების №... მოწმობის (28.07.2016წ.) თანახმად, გ. მ-ეს საკუთრებაში გადაეცა საგარეჯოს რაიონის სოფელ ....აში მდებარე თვითხერჯურად დაკავებული 59 393 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მშენებარე საცხოვრებელი სახლი (320 კვ.მ). სააგენტოში არსებული საარქივო მასალების, კერძოდ, საგარეჯოს რაიონის ...ის მევენახობის მეურნეობის 1991 წლის მინათსარგებლობის გეგმის მიხედვით, აღნიშნული ნაკვეთის ნაწილი აღრიცხული იყო როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ნაწილი – სპეც. მიწები, ნაწილი – საზოგადოებრივი ნაგებობები, ნაწილი წარმოადგენდა ...ის ....ის მიწებით დაკავებულ ტერიტორიას, ხოლო ნაწილი – სახნავი კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს.

კასატორი ასევე ყურადღებას ამახვილებს, რომ 2020 წლის 20 თებერვლის №... სარეგისტრაციო განცხადებით დ. მ-ემ მოითხოვა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ....აში მდებარე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რისთვისაც მან კახეთის რეგიონულ ოფისში წარადგინა სილნალის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/109-17) და სამკითხოებრივი მოწმობა. სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტაციისთვის დაკავშირებით დ. მ-ემ მიუთითა №... სარეგისტრაციო განცხადებაზე, რომელსაც ერთოდა გ. მ-ის სახელზე გაცემული სა-

კუთრების უფლების მოწმობა №... (28.07.2016წ.) და მიწის ნაკვე-  
თის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

კასატორის მითითებით, №... სარეგისტრაციო განცხადებას  
დართული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, დ. მ-ე არის გ. მ-ის პირ-  
ველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე – შვილი. მან მიიღო სამკვიდ-  
რო ქონების 1/5 ნაწილი. №... სარეგისტრაციო განცხადებასთან და-  
კავშირებით მომზადებული სიტუაციის ამსახველი ნახაზის მიხედ-  
ვით, დადგინდა სარეგისტრაციო ობიექტის საკადასტრო მონაცე-  
მების ... საკადასტრო კოდით (მესაკუთრე: სახელმწიფო) რეგის-  
ტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებთან ზედევ-  
ბა. აღნიშნული წარმოების ფარგლებში, სსიპ საჯარო რეესტრის  
ეროვნულ სააგენტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ აც-  
ნობა, რომ მოქალაქე გ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფ-  
ლების მოწმობა №... (28.07.2016წ.) და მასთან დაკავშირებული ყვე-  
ლა დოკუმენტი 2018 წლის 29 მაისს ამოღებულ იქნა საქართველოს  
გენერალური პროკურატურის კორუგციულ დანაშაულზე სისხლის-  
სამართლებრივი დევნის სამართველოს მიერ. 2020 წლის 23 აპრი-  
ლის წერილით, საქართველოს პროკურატურამ სსიპ საჯარო რეეს-  
ტრის ეროვნულ სააგენტოს აცნობა, რომ მიმდინარეობს გამოძიე-  
ბა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ამოღებულია მოქა-  
ლაქე გ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა  
№... (28.07.2016წ.) და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. აღ-  
ნიშნულ საქმეზე გამოძიება გრძელდება და შემაჯამებელი გადაწ-  
ყვეტილება მიღებული არ არის.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს 2021 წლის 25 თებერვალს  
მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე, რომლითაც აგრეთვე დგინდე-  
ბა, რომ №... სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში წარმოდგენი-  
ლი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ზედდებაშია  
სახელმწიფოს მიერ 2020 წელს რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის  
საკადასტრო მონაცემებთან (ს.კ. ...) და ასევე ზედდებაშია №... სა-  
რეგისტრაციო განცხადებით დ. მ-ის (პირადი ნომერი: ...) მიერ წარ-  
მოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის საკა-  
დასტრო მონაცემებთან.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ №... სარეგისტრაციო განცხა-  
დებასთან დაკავშირებით, სარეგისტრაციო წარმოება არ არის დას-  
რულებული და საქმე შეჩერებულია პროკურატურიდან შემაჯამე-  
ბელი გადაწყვეტილების მიღებამდე. რაც შეეხება ... საკადასტრო  
კოდის მქონე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულ სახელმწიფოს სა-  
კუთრების უფლებას, 2020 წლის 21 თებერვალს კახეთის რეგიო-  
ნულმა ოფისმა მიიღო რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტი-  
ლება, რომლითაც საგარეჯოს რაიონში, სოფელ ....აში მდებარე 25

894 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს №... ბრძანების (გაფორმების თარიღი: 19/02/2020.) საფუძველზე, განხორციელ-და სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია და უძრავ ნივთს მიენიჭა საკადასტრო კოდი: .... აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია და მ-ის მიერ სიღნალის რაოინულ სასამართლოში (საქმის ნომერი: 3/41-20) და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

ზემოაღნიშნული გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კასატორი განმარტავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა სიღნალის რაოინული სასამართლოს გადაწყვეტილება და სააგენტოს დაევალა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ალუსრულებელია, რამდენადაც უძრავი ნივთი ზედდებაშია სახელმწიფოს საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან. 2020 წლის 21 თებერვალს კახეთის რეგიონული ოფისის მიერ მიღებული რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილება, ისევე, როგორც მისი საფუძველი – №... ბრძანება, დღეის მდგომარეობით ძალაშია და არ გაუქმებულა. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, დაუშვებელია მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალება სააგენტოსათვის მაშინ, როდესაც ძალაშია სახელმწიფოს სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია და მისი სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, სააგენტოსათვის არ არის ცნობილი სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საკუთრების უფლების მოწმობის საბოლოო ბედი. არსებული მდგომარეობით, პროცესუატურაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ამოღებულია მოქალაქე გ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა №... (28.07.2016.). და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გრძელდება და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საკუთრების უფლების №... მოწმობაში მითითებული მონაცემები ურთიერთშეუსაბამოა, რაც აგრეთვე წარმოადგენს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამაბრკოლებელ გარემოებას.

კასატორი წარმოდგენილი საჩივრით ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ჩართვასთან დაკავშირებით შუამდგომ-

ლობს. კასატორი განმარტავს, რომ სადაცო უძრავი ნივთი ზედდებაშია სახელმწიფოს საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან. 2020 წლის 21 ოქტომბერ-ვალს კახეთის რეგიონული ოფისის მიერ მიღებული რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილება, ისევე, როგორც მისი საფუძველი – №... ბრძანება დღეის მდგომარეობით ძალაშია და არ გაუქმებულა. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, დაუშვებელია მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალება სააგენტოსათვის მაშინ, როდესაც ძალაშია სახელმწიფოს სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია და მისი სამართლებრივი საფუძველი. კასატორის განმარტებით, რამდენადაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს სახელმწიფოს საკუთრების უფლებაზე, სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილეს და იგი საქმეში ჩართული უნდა იყოს მესამე პირად.

ამასთან, კასატორი წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში შუამდგომლობს საქმეზე იმ სარეგისტრაციო წარმოების მასალის დართვის თაობაზე, რომელიც არ ყოფილა შეფასებული პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 19 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამორმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი. ამავე განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დატანილდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და განმარტა, რომ საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას, რის გამოც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა სარეგისტრაციო წარმოების მასალების საქმეზე დართვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 სექტემბრის განჩინებით სსიპ საჯა-

რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერბა-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის უფლებამონაცვლეების – ნ. ჩ-ის, თ. მ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ისა და დ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. მარეგისტრირებული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია განმარტებულია, როგორც რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები.

საკასაციო სასამართლო უპირველესად მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე,

კერძოდ, მოსარჩელე მხარემ 2016 წლის 28 ივნისს მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარდგენილი დოკუ-მენტაციის საფუძველზე, მოითხოვა საკუთრების უფლების რეგის-ტრაცია უძრავ ქონებაზე, მდებარე: საგარეჯოს რაიონი, სოფელი ....ა. 2016 წლის 2 აგვისტოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... გადაწყვეტილება.

2016 წლის 3 აგვისტოს მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა სა-გარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებულოსთან არსებული საკუთ-რების უფლების აღიარების კომისიის №02/-016 (02.08.2016წ.) წე-რილი. მითითებულ წერილში აღინიშნა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-15 მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის მიხედვით, თუ ამ წესების მე-11 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ დოკუმენტებ-ში არ არის დაკონკრეტიზებული ან მათი შინაარსიდან არ ირკვევა მინის ნაკვეთის დანიშნულება ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მინის ნაკვეთის კატეგორია, კომისია დამატებით წარმოდ-გენილი ინფორმაციის ან დაინტერესებული პირის განცხადების სა-ფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მინის ნაკვეთის დანიშნულე-ბის ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში, დაინტერესებუ-ლი პირის განცხადების საფუძველზე საკუთრებაში გადაცემულ მი-ნის ნაკვეთს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახა-ვი კატეგორია და აღიარების საფასურიც ამის მიხედვით იქნა გა-დახდილი“.

დადგენილია, რომ 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს ეცნობა №... გადაწყვეტილების იდენტური საფუძვლების არსებობის თაობაზე, კერძოდ, კვლავ წარსადგენი იყო უფლებამოსილი ორგანოს – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გა-ცემული ინფორმაცია მინის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 26 აპრილს და-ინტერესებულმა პირმა კვლავ წარადგინა საგარეჯოს მუნიციპა-ლიტეტის საკუთრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის №02/-016 (02.08.2016წ.) წერილის ასლი, რის შემდგომაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო №... გადაწყვე-ტილება, დაიწყო დამატებითი დოკუმენტაციის მოძიება და ვინაი-დან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესე-

ბული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიღებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2017 წლის 22 ივნისის №...-10 გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2017 წლის 25 მაისს გ. მ-ებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რაზედაც 2017 წლის 27 ივნისს მიიღო ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილები და კახეთის რეგიონულ ოფისს დაევალო ახალი გადაწყვეტილების მიღება.

2017 წლის 4 აგვისტოს კახეთის რეგიონულმა ოფისმა მიიღო სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს განემარტა, რომ წარსადგენი იყო კორექტირებული საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სააგენტოში დაცული ინფორმაცია.

დადგენილია, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლად მარეგისტრირებელი ორგანო მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გადაცემული ნაკვეთის დოკუმენტაციაში დანიშნულებად მითითებული იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია, თუმცა სააგენტოში არსებული, საგარეჯოს რაიონის ...ის მევენახეობის მეურნეობის 1991 წლის მიწათსარგებლობის დოკუმენტებში, აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილი აღრიცხული იყო როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ნაწილი კი – სახნავის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართებად.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, მართალია, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გააუქმა გასაჩივრებული აქტები, თუმცა მოთხოვნილ იქნა სხვა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, რომლითაც სარეგისტრაციო განაცხადი შესაბამისობაში მოვიდოდა საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებთან.

საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა პროცესურებულია საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემულ უფლებადამდგენ დოკუმენტსა (საკუთრების მოწმობა №...) და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სა-

აგენტოში დაცულ დოკუმენტაციას (საგარეჯოს რაიონის ...ის მე-ვენახეობის მეურნეობის 1991 წლის მინათსარგებლობის დოკუმენტებში) შორის არსებული ურთიერთშეუსაბამობით, კერძოდ, გ. მ-ის სახელზე აღიარებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 59 393 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული (მშენებარე) 320 კვ.მ საცხოვრებელი სახლი. 1991 წლის მინათსარგებლობის გეგმის თანახმად კი, აღნიშნული ნაკვეთის ნაწილი აღრიცხული იყო როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ნაწილი – სპეც. მიწები, ნაწილი – საზოგადოებრივი ნაგებობები, ნაწილი წარმოადგენდა ...ის ...ის მიწებით დაკავებულ ტერიტორიას, ხოლო ნაწილი – სახნავის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-15 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ წესის მე-11 მუხლის შესაბამისად წარდგენილ დოკუმენტებში არ არის დაკარგულებული ან მათი შინაარსიდან არ ირკვევა მიწის ნაკვეთის დანიშნულება ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორია, კომისია დამატებით წარდგენილი ინფორმაციის ან დანიშნერესებული პირის განცხადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთის დანიშნულების ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებულ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ წესის მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად წარდგენილ დოკუმენტებში არ არის დაკარგულებული ან მათი შინაარსიდან არ ირკვევა მიწის ნაკვეთის დანიშნულება ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორია, კომისია, დამატებით წარდგენილი ინფორმაციის ან დანიშნერესებული პირის განცხადებას, მიწის ნაკვეთის დანიშნულების ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობა აღია-

რების კომისიას ანიჭებს მიწის ნაკვეთის დანიშნულების ან/და სა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას მხოლოდ მაშინ, როდესაც წარდგენილ დოკუმენტაციაში კონკრეტულად არ არის განსაზღვრული მიწის ნაკვეთის დანიშნულება ან/და კატე-გორია ან წარდგენილი დოკუმენტაცია იმდენად ბუნდოვანია, რომ შეუძლებელია მისი რეალური შინაარსის ამოკითხვა და მიწის ნაკ-ვეთის ფუნქციის დადგენა. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ განსახილ-ველ შემთხვევაში, აღიარების კომისია უფლებამოსილი იყო აღმო-ეფხვრა 1991 წლის მიწათსარგებლობის გეგმაში არსებული ხარვე-ზები, რამდენადაც დასახელებულ გეგმაში გარკვევით და კონკრე-ტულად არის განსაზღვრული უფლებააღიარებას მოთხოვნილი მი-წის ნაკვეთის კატეგორია და დანიშნულება. ზემოხსენებული სა-მართლებრივი საფუძვლები კი აღიარების კომისიას მარტომდენ კატეგორიის განუსაზღვრელობის ან ბუნდოვნად განსაზღვრულო-ბის პირობებში აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს მიწათსარგებ-ლობის საკითხების მოწესრიგების პროცესში, რამეთუ მისმა განუ-საზღვრელობამ ხელი არ შეუშალოს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას. საკასაციო სასამართლო მართალია ადასტუ-რებს, რომ დროთა განმავლობაში კონკრეტული მიწის ნაკვეთის ათვისების ან/და მისით სარგებლობის შედეგად შესაძლოა ნაკვეთ-მა განიცადოს სახეცვლილება, რამაც წარმოშვას ქალაქთმშენებ-ლობითი დოკუმენტაციის კორექციის საჭიროება, თუმცა მხოლოდ დოკუმენტის სიძველე არ მიუთითებს მის ხარვეზიანობას. საკასა-ციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი არა-ნაირი მტკიცებულება, რომლითაც დამტკიცდებოდა საგარეჯოს რაიონის ...ის მეურნეობის მეურნეობის 1991 წლის მიწათსარგებ-ლობის დოკუმენტების დღეისათვის არსებულ ფაქტობრივ მდგო-მარეობასთან შეუსაბამობა.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს შეფასების საწინააღმდეგოდ ხაზგასმით განმარტავს, რომ აღიარების კომი-სიისათვის მიწის ნაკვეთის კატეგორიისა თუ დანიშნულების ცვლი-ლების კომპეტენციის მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში მინიჭება არ გულისხმობს მისთვის განუსაზღვრე-ლი თავისუფლების გადაცემას – საკუთარი შეხედულებისამებრ შე-აფასოს ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაში აღრიცხული მო-ნაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან თავსებადობა და მიწის ნაკვეთის თვისობრიობის განსაზღვრულობის პირობებშიც კი, შეც-ვალოს მისი ფუნქცია. ცხადია, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა შე-ასუსტებდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშე-

ნებლობითი საკითხების რეგულირების მიმართ მუნიციპალიტეტების საკრებულოების ექსკლუზიურ კომპეტენციას, კერძოდ, აფგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიური უფლებამოსილებებია. ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონი პირდაპირ შიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქ-თმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება. საგულისხმოა ისიც, რომ ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გამგებელი/მერი აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუშვებელია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილითა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-15 მუხლით რეგლამენტირებული კომპეტენციის არსებულ საკანონმდებლო სისტემასთან შეუთავსებელი გაფართოვება. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასება არღვევს ზღვარს ადმინისტრაციულ ორგანოთა კომპეტენციებს შორის, რამდენადაც ამგვარი განმარტება აღიარების კომისიას აძლევს მიწათ-

სარგებლობის გვერდის ავლით მიწის ნაკვეთის დანიშნულებისა თუ კატეგორიის ცვლილების შესაძლებლობას (მაშინ, როდესაც გეგმით კონკრეტულად არის განსაზღვრული მიწის ნაკვეთის დანიშნულება და კატეგორია) და საბოლოოდ, ქმნის საკრებულოს კომპატენციაში შექრისა და მისი ეფექტური განხორციელების ხელშექმლის რისკებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განმარტებას და მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, აღიარების კომისიის მხრიდან სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთზე გ. მ-ის საკუთრების უფლების აღიარებამ არა თუ შეავსო მინათსარგებლობის დოკუმენტაციაში არსებული რაიმე ხარვეზი, არამედ ნარმოშვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცულ მონაცემებთან ნინა-აღმდეგობა. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებებს იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განმცხადებლი-სათვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის დავალებით ან/და უფლებადამდგენ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით ფაქტობრივად სადავო გახსადა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წლის 28 ივლისს გაცემული №... საკუთრების უფლების მოწმობა. საგულისხმოა, რომ დასახელებული დოკუმენტი ძალაშია და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით სახელმწიფო მხრიდან არ გატარებულა შესაბამისი სამართლებრივი ორნისძიებები, მათ შორის, შესაბამისი ორგანოს/ორგანოების მხრიდან სასამართლოში არ წარდგენილა სარჩელი გ. მ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობისა და მისი წინამორბედი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო მხოლოდ ფაქტობრივად მის შინაარსთან შენინააღმდეგება ან/და ამ დოკუმენტის საფუძველზე წარმოშობადი შედეგების გაუზიარებლობა არ ემარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავოდ გახდომისათვის. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის შითითებას იმის თაობაზე, რომ მოქალაქე გ. მ-ის სახელზე გაცემული №... საკუთრების უფლების მოწმობისა (28.07.2016.) და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს მიერ ამოღება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აღნიშნული დოკუმენტის კანონიერებას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგებმა შესაძლოა საბოლოოდ ზეგავლენა იქნიოს გაცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე, თუმცა ცალკე აღებული სის-

ხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მის ფარგლებში საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, კერძოდ, გამოძიების მიზნებისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამოღება/მოპოვება ემსახურება მხოლოდ საგამოძიებო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას და აღნიშნული ღონისძიებები აგრომატურად უკანონოდ ვერ აქცევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების პროცესში არსებოთია, გათვალისწინებულ იქნეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული დოკუმენტაციაც. ცხადია, მარეგისტრირებელი ორგანოც მხედველობაში უნდა იღებდეს სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან დაკავშირებულ თუ ქალაქთმშენებლობითი საკითხების მარეგულირებელ დოკუმენტაციას და მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში ამონმებდეს უფლებადამდგენ დოკუმენტში ასახული მინის ნაკვეთის პარამეტრების რეესტრში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სხვაგვარი მოწესრიგება გააჩენდა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მინის ნაკვეთის კატეგორიის განსაზღვრის უსაზღვრო, უკონტროლო თავისუფლებას, რამდენადაც შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს მიენიჭებოდათ უფლებამოსილება, მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების პროცესში, საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტაციისათვის გვერდის ავლით, საკუთარი შეხედულებისამებრ, განესაზღვრათ მინის ნაკვეთის დანიშნულება/კატეგორია. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ საკუთრების უფლების მოწმობაში აღიარების კომისიის მიერ სარეგისტრაციო მინისათვის სახნავი კატეგორიის მინიჭებით რეესტრში დაცულ 1991 წლის მინათსარგებლობის გეგმასთან შექმნილი წინააღმდეგობა არ წარმოადგენდა რეგისტრაციის შემაფერხებელ გარემოებას. თუმცა განსახილველ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები ის, რომ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციათა სხვადასხვაობა გამოწვეულია ადმინისტრაციულ ორგანოთა შორის სათანადო კომუნიკაციის არარსებობითა და საჭირო ინფორმაციის ურთიერთმიმოცვლის განუხორციელებლობით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკუთრების უფლების მოწმობა ძალაშია და საკუთრება წარმოშობილია, თუმცა რეგისტრაცია ფერხდება მინის ნაკვეთის კატეგორიასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოთა შეუთანხმებლობით. ფაქტია, რომ საკუთრების უფლება არ აღიარებულა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე

საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებულ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის მინაზე (რომელზედაც კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს საკუთრების უფლების აღიარებას).

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი), რომლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუკალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშვნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითორეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამარ-

თლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეივა ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი) განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლიდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის, პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი ნების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო კისრულობს, ერთი მხრივ, პოზიტიურ ვალდებულებას, სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით უზრუნველყოს თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ქონებრივ უფლებათა განკარგვის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნებატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არხელყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინა-

რე დებულებები არანაირად არ აქნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. ხსენებული დანაწესი უზრუნველყოფს საკუთრების უფლების კვალიფიციურ დაცვას, ამასთან, მუხლი სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს ფართო დისკრეციას, ჩაერიონ ამ უფლებაში: უშვებს პირის საკუთრების ჩამორთმევას „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის“ და მეორე პუნქტი უფლებამოსილს ხდის სახელმწიფოს, დაადგინოს „თავისი შეხედულებისამებრ აუცილებელი კანონმდებლობა“ გადასახადებთან და სხვა შემოწირულობასა თუ სახდელებთან დაკავშირებით (იხ. სპამპინატო იტალიის წინააღმდეგ (Spampinato v. Italy), No. 23123/04, განჩინება 29.3.07.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა არაკონტრდინირებული მოქმედებებით ყოვნდება მოსარჩელეთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი, რამდენადაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის ძალაში ყოფნის პირობებში, სარეგისტრაციო ქონებაზე მოსარჩელთა საკუთრების უფლების რეგისტრაცია გარდაუყალია, ხოლო მიწის ნაკვეთის კატეგორიათა განსაზღვრასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოთა შეუთანხმებლობა მხოლოდ დროში აჭიანურებს სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთის განკერძოებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსაზილველ შემთხვევაში, არსებობს საკითხის სრულყოფილი შესწავლისა და სარეგისტრაციოდ წარდგენილი განცხადების ხელახალი განხილვის საჭიროება, რა დროსაც აუცილებელია სასიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურთიერთმონაწილეობითა და სარეგისტრაციო წარმოებაში მათი აქტიური ჩართულობით განსაზღვრულ იქნეს სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთის კატეგორია, კერძოდ, დადგინდეს, იგი წარმოადგენს მხოლოდ სახნავი კატეგორიის მიწის ნაკვეთს თუ მიწასარგებლობის გეგმით გათვალისწინებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა (ნაწილი – სპეც. მიწები, ნაწილი – საზოგადოებრივი ნაგებობები, ნაწილი – ...ის ...ის მიწებით დაკავებული ტერიტორია) და სახნავის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ერთობლიობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კასატორის შუამდგომლობაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქ-

მეში მესამე პირად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ჩართვასთან დაკავშირებით. კასატორი განმარტავს, რომ სა-დაცვო უძრავი ნივთი ზედდებაშია სახელმწიფოს საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან. 2020 წლის 21 თებერვალს კახეთის რეგიონული ოფისის მიერ მიღებული რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილება, ისევე, როგორც მისი საფუძველი – №... ბრძანება დღეის მდგომარეობით ძალაშია და არ გაუქმებულა. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, დაუშვებელია მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალება სააგენტოსათვის მაშინ, როდესაც ძალაშია სახელმწიფოს სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია და მისი სამართლებრივი საფუძველი. კასატორის განმარტებით, რამდენადაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს სახელმწიფოს საკუთრების უფლებაზე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ნარმოადგენს მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილეს და იგი საქმეში ჩართული უნდა იყოს მესამე პირად. საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს შეფასებით, სარეგისტრაციო მინის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაცია ქმნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის რისკებს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და მიუთითობს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თვითნებურად დაკავებული მინა არის ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი. საკასაციო სასამართლო კასატორის მითითების საწინააღმდეგოდ განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრატიკა ცხადყოფს, რომ მინის სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაცია არა თუ აფერხებს ამ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების პროცესს და აღიარების შედეგად მასზე კერძო პირის საკუთრების უფლების საჯარო რეგისტრში რეგისტრაციას, არამედ პირიქით, განამტკიცებს მინის ნაკვეთთან ფიზიკური პირის სამართლებრივ კავშირს და ამყარებს მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველ ნაწილ-

ზე, რომლის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩაბას იგი საქმეში მესამე პირად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო შესაძლოა საქმეში ჩაბმული ყოფილიყო მარტივი მოწვევის (სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე) მესამე პირად, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით საქმეში მესამე პირად პირის ჩაბმა ნარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. ამასთან, საკასაციო სასამართლოში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით მესამე პირის ჩაბმა დაუშვებელია.

მიუხედავად ზემოაღნიშნული შუამდგომლობის უსაფუძვლობისა, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს სახელმწიფოს მხრიდან სარეგისტრაციო მინის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვის ფაქტს და აღნიშნავს, რომ საკითხის ხელახალი შესწავლისა და ნარდგენილი სარეგისტრაციო განცხადების ხელახალი განხილვის პროცესში, მარეგისტრირებულმა ორგანომ სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით თუ მის გარეშე უნდა გამოიკვლიოს, სახელმწიფოს მხრიდან ხომ არ არსებობს რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება ხსენებული მინის ნაკვეთის მიმართ, ასევე, დაადგინოს, სახელმწიფოს ხომ არ გაუხდით სადავოდ მინის ნაკვეთზე გ. მ-ის საკუთრების უფლების აღიარება. ამასთან, სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უნდა მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით სისხლისამართლებრივი დევნის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ და მოპოვებული ინფორმაცია გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ საკუთრების უფლების აღიარების შედეგად მოსარჩელეები წარმოადგენენ კეთილსინდისიერ შემძენებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი ქმნის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ, სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ რე-

ჟიმს, რომლის წარმოშობაც დამოკიდებულია სამოქალაქო კოდექსითვე განსაზღვრული წინაპირობების არსებობაზე. განსახილველ შემთხვევაში, საკუთრების უფლების აღიარებით სახელმწიფოს მხრიდან გამოცემულია აღმტურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის აღსრულებაც და კერძო პირის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია გარდაუვალია იმ შემთხვევაში, თუკი ხელახალი სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში არ დადასტურდება სახელმწიფოს მხრიდან არსებული უძრავი ქრონიკული მიმართ რეგისტრაციის დამაბრკოლებელი რამე გარემოება და დადგინდება საკუთრების უფლების მოწმობის უკანონობა. სხვა შემთხვევაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, განცხადების ხელახალი განხილვის პროცესში სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან კოორდინირებული საქმიანობითა და მათთან ურთიერთშეთანხმებით, გამოარკვიოს და დაადგინოს სარეგისტრაციო მინის ნაკვეთის კატეგორია, განსაზღვროს მისი თავსებადობა 1991 წლის მინათსარებლობის გეგმასთან და საბოლოოდ, მიღოს გადაწყვეტილება წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის უფლებამობაცვლების – ნ. ჩ-ის, თ. მ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ისა და დ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, ასევე, სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 4 აგვისტოს №...-12 გადაწყვეტილება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილება და სარეგისტრაციო წარმოების შენწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 5 სექტემბრის №...-15 გადაწყვეტილება და მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონულ ოფისს უნდა დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტის გამოცემა, აგრეთვე, ნაწილობრივ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ, გადაწყვეტილების №-3 პუნქტი, (რომლითაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონული ოფისს დაევალა №... სარეგისტრაციო განცხადებაზე ახალი გადაწყვეტილების მიღება).

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპრიეტულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპრიეტულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხებებს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქონებს რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონულ ოფისს გ. მ-ის უფლებამონაცვლების – ნ. ჩ-ის, თ. მ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ისა და დ. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ მოსარჩელე მხარის მიერ რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 (ასი) ლარის აანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

## გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა საქმეში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმის თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;
2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. გ. მ-ის უფლებამონაცვლების – ნ. ჩ-ის, თ. მ-ის, გ. მ-ის, მ. მისა და დ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება;
6. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 4 აგვისტოს №...-12 გადაწყვეტილება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილება და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 5 სექტემბრის №...-15 გადაწყვეტილება და მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონულ ოფისს დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
7. ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ, გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი, (რომლითაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონული ოფისს დაევალა №... სარეგისტრაციო განცხა-

დებაზე ახალი გადაწყვეტილების მიღება);

8. მოპასუხებას – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის კახეთის რეგიონულ ოფისს გ. მ-ის უფლებამონაცვლების – 6. ჩ-ის, თ. მ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ისა და დ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროთ მოსარჩევე მხარის მიერრაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის – 100 (ასი) ლარის ანაზღაურება;

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სადაცო მინის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ბს-338(კ-21)

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. სხირტლაძე,

ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2018 წლის 14 სექტემბერს ე. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ზ. დ-ას მიმართ.

სარჩელის თანხმად, ე. ს-ს ...ის რაიონის ...ის საკრებულოს 1998 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით გამოეყო 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მაღაზიის მშენებლობისთვის სოფელ ...ში, ცენტრალური გზის გასწვრივ და ...ის რაიონის გამგეობის მიერ წება დაერთო მაღაზიის მშენებლობაზე. თავდაპირველად არსებული მიწის ნაკვეთი 1999 წლის 21 დეკემბერს იჯარის უფლებით იქნა დარეგისტრირებული მიწის მართვის სახელ-

მწიფო დეპარტამენტის მიერ (საჯარო რეესტრი), ხოლო 2001 წლის 26 ნოემბერს დარეგისტრირებულ იქნა საკუთრების უფლებით ე. ს-ის სახელზე, №... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების საფუძველზე, 2003 წლის 11 სექტემბერს ე. ს-ზე საჯარო რეესტრის მიერ გაიცა საკუთრების მოწმობა. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული ყველა აქტი ძალაშია.

მოსარჩელის განმარტებით, საჯარო რეესტრმა 2017 წელს უკანონდ გააუქმა და ჩამოართვა საკუთრების უფლება, ხოლო 2017 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით, არასწორი აზომვითი ნახაზის საფუძველზე, მიზის ნაკვეთი საკუთრებაში დაურეგისტრირაზ. დას. აღნიშნულის შემდგომ მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს მითითებული აქტების ბათილობის მოთხოვნით, რაზეც ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ 2018 წლის 3 აპრილს დაადგინა ხარვეზი, იმ მიზეზით, რომ ე. ს-ს უნდა გამოეყენებინა ერთჯერადი გასაჩივრების უფლება და მიემართა საჯარო რეესტრისათვის. აღნიშნული საკითხის განხორციელების შემდგომ საჯარო რეესტრმა საკითხი გადასცა მედიაციას, სადაც მოპასუხე მხარე არ გამოცხადდა. 2018 წლის 5 ივლისს №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, ხოლო 2018 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ე. ს-ს უარი ეთევა საჩივრის დაკამაყოფილებაზე.

მოსარჩელის მითითებით, სადაც მინის ნაკვეთი მისი ფაქტობრივი მფლობელობიდან არასძროს გასულა, მასზე კანონით დადგენილი წესით ააშენა შენობა, სადაც ამუშავებს მაღაზიას და დღესაც მის ფაქტობრივ მფლობელობაშია.

ამდენად, მოსარჩელემ ე. ს-ის საკუთრების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, ზ. დაზე მინის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 ივლისის №... გადაწყვეტილების, ე. ს-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ...ის რაიონის სოფ. ...ში მდებარე 30 კვ. მინის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობაზე ე. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დაგალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ე. ს-ის სარჩე-

ლი გადაეგზავნა განსჯად ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის გა-დაწყვეტილებით ე. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, 2017 წლის 30 ოქტომ-ბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში ზ. დას მიერ წარდგენილი განცხადება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ დაკმაყოფილა.

2017 წლის 11 ნოემბრის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ზ. დას განცხადება უძრავი ქონებს, მდებარე: ...ი, სოფელი ... (ზონა: ...ი, სექტორი: ...) რეგისტრაციის შესახებ.

2018 წლის 5 ივლისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №... გადაწყვეტილებით ე. ს-ის განცხადებასთან დაკავშირებით სა-რეგისტრაციო წარმოება შეწყდა, განცხადებით წარდგენილი სა-კადასტრო აზომვითი ნახაზის ზედდების გამო უძრავი ნივთის ს/კ ... რეგისტრირებულ მინის ნაკვეთან.

2018 წლის 3 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს №... გადაწყვეტილებით ე. ს-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩიერის დაკმაყოფილებაზე.

ამონანერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ უძრავი ქო-ნების, საკადასტრო კოდით №..., მესაკუთრეა ზ. და (პ/ნ ...). უფ-ლების წარმოშობის დოკუმენტია სამკვიდრო მოწმობა და თბილი-სის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №28/5580-15 გადაწყვეტილება.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-ლატის 2017 წლის 14 მარტის №28/5580-15 გადაწყვეტილებით გა-უქმდა ...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გა-დაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტი. ე. ს-ის სარჩელი უკა-ნონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვისა და ხელშეშლის აღ-კვეთის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწ-ყვეტილებით მოსარჩელე ე. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპა-სუხე ი. და-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხვილ იქნა ...ის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 30 კვ.მ მინის ნაკვეთი და მოპასუ-ხეს აეკრძალა ხელშემშლელი მოქმედება. ი. და-ის შეგებებული სარ-ჩელი – ...ის რაიონის სოფელ ...ის საკრებულოს 1998 წლის 20 აგვის-ტოს დადგენილების, 2003 წლის 11 სექტემბერს ე. ს-ზე გაცემული საკუთრების რეგისტრაციის მოწმობის და მისგან გამომდინარე ყველა შედეგის გაუქმების შესახებ – არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგე-ნილი 2001 წლის ნოემბრის უძრავი ქონების ამონანერის თანახმად,

ე. ს-ი წარმოადგენს სოფელი ..., ...ის საკრებულოში 30 კვ.მ საკარმი-დამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე გაცემულია საკუთრების მოწმობა. 2003 წლის 11 სექტემბერს ე. ს-ზე გაიცა საკუთრების მოწმობა სოფელ ...ში 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რის საფუძვლზე მოხდა ე. ს-ის საკუთრების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში 2004 წლის 24 ივნისს.

რაიონული სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 11 ივლისის განჩინებით ი. დ-ის სააპელაციო საჩივარი ი. დ-ის შეგებებული სარჩელის 2003 წლის 11 სექტემბრის მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის და ე. ს-ასათვის მიწის გადაცემის ნაწილში სოფ. ...ის სოფლის საკრებულოს 1998 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე გამოიყო ცალკე წარმოებად. ...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე ე. ს-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში ი. დ-ის სააპელაციო საჩივარის წარმოება შეჩერდა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ძალაში დარჩა ...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება ი. დ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში 2003 წლის 11 სექტემბრის მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის და ე. ს-ასათვის მიწის გადაცემის და სოფ. ...ის სოფლის საკრებულოს 1998 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, რაც შეეგიდა კანონიერ ძალაში.

საქმის მასალების თანახმად რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ს-ს არ მოუთხოვია ზ. დ-ას სახელზე გაცემული საკუთრების უფლების წარმოშობის დოკუმენტების ბათილად ცნობა. ასევე 2017 წლის 2 აგვისტომდე არ განუხორციელებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინების საფუძველზე საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით მისი სარჩელი ზ. დ-ას ნინააღმდეგ არ დაკმაყოფილდა და ე. ს-ს უარი ეთქვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშემლის აღკვეთის მოთხოვნაზე. საქმის მასალების თანახმად აღნიშნული გადაწყვეტილება არა გასაჩივრებული.

სასამართლოს მითითებით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 20 თებერვლის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ ...ის რაიონში, სოფელ ...ში მდებარე ე. ს-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა სრულად

განთავსებულია დღეის მდგომარეობით საჯარო რეესტრში ს/კ №... რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე. ხოლო აღნიშნული შენობა-ნაგებობა საჯარო რეესტრში დაცულ 2017 წლის 1 ნოემბერს მომზადებულ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1965 კვ.მ მინის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე დატანილი არაა. კერძოდ ხსენებულ მინის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე დატანილია მხოლოდ ერთი შენობა – შენობა №1. ...ის რაონში, სოფელ ...ში მდებარე ე. ს-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა სამხრეთ ნაწილში არსებული შენობის ერთი კუთხე №... საკადასტრო კოდით აღრიცხული მინის ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში ფაქტობრივად არსებული კაპიტალური ღობიდან დაშორებულია 1,22 მ-ით, ხოლო მეორე კუთხიდან დაშორებულია 1,09 მ-ით. ასევე ხსენებული შენობა-ნაგებობის დასავლეთ ნაწილში არსებული შენობის ერთი კუთხე ღობიდან დაშორებულია 1,92 მ-ით, ხოლო მეორე კუთხე დაშორებულია 2,21 მ-ით.

რაიონულმა სასამართლომ „რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ 2017 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (რომლითაც გაუქმდა ე. ს-ზე უძრავი ქონების №... საკადასტრო კოდით რეგისტრაცია) განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ აღნიშნული ცვლილება განახორციელა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლოს მითითებით, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ე. ს-ის მიერ სასამართლოში არ ყოფილა დაყენებული მოთხოვნა ზ. დას საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ასევე საქმის მასალებში არ არის ნარმოდგენილი მტკიცებულება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ზემდგომ ინსტანციაში.

„რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის (სადაც პერიოდში მოქმედი) მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე, მე-13 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-20 მუხლის მე-2 პუნქტზე, ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის“ 57-ე მუხლის პირველ პუნქტზე, მე-10 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე.

„რეგისტრაციაზე წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ე. ს-ს უარი

ეთქვა უძრავი ნივთის რეგისტრაციაზე, რადგანაც ზედდებაში მოდიოდა უკვე რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან. სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთან ზედდების გამო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად უფლებამოსილი იყო შეეწყვიტა სარეგისტრაციო წარმოება.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სადაც გადაწყვეტილება – მიწის ნაკვეთის ზ. დაზე რეგისტრაცია – განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ასევე ის დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ზ. დას საკუთრების უფლების წარმოშობას ძალაშია დღეის მდგომარეობითაც. ამდენად, აღნიშნული სამართლებრივი წორმებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ზ. დაზე კანონიერად მოახდინა მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია და ე. ს-ის უძრავი ქონების რეგისტრაციის გაუქმება, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნის ნანილში, უსაფუძვლო იყო და აღნიშნულ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაემაყოფილებულიყო.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა ე. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ე. ს-ის სააპელაციო საჩივრი არ დაემაყოფილდა; უცვლელად დარჩია ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა მათზე და აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარ-

მოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარეგისტრაციო დოკუმენტიაცია არის რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებულ ორგანოში წარსაზღვრენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები. საპელაციო პალატის მითითებით, ამ ნორმების შინაარსიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ უძრავი ქონების პირის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციისათვის აუცილებელია მას გააჩნდეს ამ ქონების კუთვნილებასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული უფლების დამდგენი დოკუმენტი, რომელშიც მოცემული უფლების ფარგლები განმსაზღვრელია რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა თუ სხვა კონკრეტული მახასიათებლების ფიქსაციისათვის.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული მასალებით სადაცო ...ის რაიონის სოფ. ...ში მდებარე 30 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის კუთვნილების საკითხი, რომელიც სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით მოსარჩელეზე არსებული რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ დარეგისტრირდა ზ. დ-ას საკუთრების უფლებით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა ის გარემოება, რომ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან ერთად სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების საფუძველი გახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/5580-15, რომლითაც ე. ს-ის სარჩელი ზ. დ-ას მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. მითითებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნა ის გარემოება, რომ ე. ს-ის მიერ აშენებული მაღაზია მდებარეობდა ზ. დ-ას საკუთრებაში არსებულ ფართზე.

სააპელაციო პალატის მითითებით, საყურადღებოა ისიც, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტები, რაც დაედო საფუძვლად საჯარო რეესტრში ...ის რაიონის სოფ. ...ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მაღაზია) ზ. დ-ას სახელზე რეგისტრაციას, აპელანტის მიერ გასაჩივრებული არ არის, შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების მოთ-

ხოვნა, სამართლებრივად უსაფუძვლოა.

პალატამ აღნიშნა ის გარემოებაც, რომ სადაცო შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით არაერთი სასამართლო დავა აქვთ ნანარმოები მხარეებს; მათ შორის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (30.09.2008 წელი) თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ე. ს-სა და ო. დ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები არ წარმოადგენენ ერთსა და იმავეს, შესაბამისად ე. ს-სათვის სადაცო მიწის ნაკვეთის გამოყოფით არ იღლახება ო. დ-ის კანონიერი უფლებები და არ ადგება ზიანი მის ინტერესებს. სწორედ ამ დასაბუთებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა ო. დ-ს (ზ. დ-ას მამკვიდრებელი) ე. ს-სათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის ამსახველი დოკუმენტების ბათოლად ცნობაზე.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ...ის რაიონის სოფ. ...ში მაღაზიის მშენებლობის მიზნით აპელანტისათვის 30 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის გამოყოფა არ მომხდარა ამჟამად ზ. დ-ას საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, თუმცა ე. ს-ის მიერ მაღაზიის მშენებლობა განხორციელდა სულ სხვა ადგილას – ზ. დ-ას საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), (ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რა მოცემულობაც სახეზე არ არის).

სააპელაციო პალატის მითითებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განკუთვნება მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, რომელიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის. მიწის ნაკვეთზე უფლება ვრცელდება, ასევე, მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობაზე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (ანალოგიური დანაწესი არსებობდა სადაცო აქტების გამოცემის დროს მოქმედი ინსტრუქციით).

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და აპელანტის სასარგებლო აქტის გამოცემის მოპასუხეზე დავალების კანონისმიერი საფუძველი, შესაბამისად, პა-

ლატამ ჩათვალა, რომ სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს გასაჩივრებულ განჩინებას და აღნიშნავს, რომ საქმის მასალებითა და განჩინებაში აღნიშნული გარემოებებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის განჩინებით ძალაში დარჩა ...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება ი. დ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში 2003 წლის 11 სექტემბრის მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობისა და ე. ს-ისათვის მიწის გადაცემისა და სოფელ ...ის სოფლის საკრებულოს 1998 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, რაც შევიდა კანონიერ ძალაში. სადაც მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული მაღაზიის შენობა 2004 წლის 24 ივნისს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ე. ს-ის სახელზე. კასატორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ზ. დ-ამ სრულიად უკანონოდ აზომვით ნახაზში შეიტანა ე. ს-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მაღაზიის შენობა. შემდგომში ამ ნახაზის მეშვეობით სადაც ქონება დარეგისტრირდა მის საკუთრებაში. კასატორი მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრს არავითარი საფუძველი არ გააჩნდა მიეღო 2017 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება ე. ს-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ამ ნაწილში რეესტრი ეყრდნობა კანონიერ ძალაში შესულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებას, რის მიხედვითაც ე. ს-ს უარი ეთქვა ზ. დ-ას უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვისა და ხელისშემშლელი მოქმედების აღკვეთის შესახებ. თუმცა ამავე საქმეში არსებობს აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება ი. დ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ეხებოდა ე. ს-ისთვის სადაც მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და შემდგომში მის საკუთრებაში გადაცემას.

კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

საქმის განხილვისას საშუალება არ მიეცა წარედგინა თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტი-ლება, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის დასახელებულ 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებასთან.

კასატორისთვის გაუგებარია, თუ მას ნაკვეთი გამოეყო სულ სხვა ადგილას, მაშინ ზ. დ-ა რატომ ითხოვდა რეგისტრაციის გაუქ-მებას ე. ს-ის საკუთრების შესახებ და შესაბამისად, რატომ გააუქ-მა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ე. ს-ის მიწის ნაკვე-თის რეგისტრაცია და რატომ გადასცა სადაცო ქონება ზ. დ-ას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2021 წლის 21 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამომმებლად წარმოებაში იქ-ნა მიღებული ე. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2021 წლის 23 დეკემბერის განჩინებით ე. ს-ის საკა-საციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით; ხოლო საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 მარ-ტის სხდომიდან საქმის განხილვა გადაიდო ზეპირი მოსმენის გა-რეშე 2022 წლის 14 აპრილს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შეს-წავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული და-საბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტი-ვების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ე. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილი-სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-ტის 2020 წლის 13 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ს-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილ-დეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გართ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხ-ლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩა-ითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტი-ლების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექ-სის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მი-იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმები-სა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილვე-

ლად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მუხლების მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საპატილური სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო უძრავ ქინებასთან დაკავშირებით არაერთი სასამართლო დავა აქვთ ნაწილობრივი მხარეებს და ნარმოდგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე. ამგვარ ვითარებაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხარეთა მორიგების მიზნით ჩანიშნულ იქნა სასამართლო სხდომა და მხარეებს მიეცათ გონიერული ვადა სადავო საკითხზე შესათანხმებლად, თუმცა სასამართლოს არა ერთი მცდელობის მიუხედავად, მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა, რის გამოც საკასაციო სასამართლომ დავა არსებითად განიხილა და გადაწყვიტა.

წარმოდგენილი სარჩელის ობიექტია საკუთრების უფლების დაცვა და, შესაბამისად, იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რომლებითაც მოსარჩელის მოსაზრებით, შეილახა მისი საკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21.1 მუხლის (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი) თანახმად, საკუთრება და მემკენიარეობის უფლება აღიარებული და ხელშეუკალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკუთრების

უფლება აღიარებულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით.

ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების უპირობო გზა მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ამ უფლების ნამდვილობაც რეესტრის მონაცემებით დგინდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძებეზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მითითებული კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადალისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათშიც ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობისა და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ამავე კოდექსის 311<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგებები ძალაში შედის ამ გარიგებებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრაციის მომენტიდან.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. მითითებული კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნ-

ქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, მაგ: კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული საბუთი, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას, ან სხვა სახის რამე იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი.

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე სადაცოდ ხდის ე. ს-ის საკუთრების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, ზ. დაზე მინის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შენყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 ივლისის №... გადაწყვეტილების, ე. ს-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილების კანონიერებას და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ...ის რაიონის სოფ. ...ში მდებარე 30 კვ. მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობაზე ე. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალებას მოითხოვს.

საქმეში წარმოდგენილი 2001 წლის 26 ნოემბრის მიწის (უძრავი ქონების) ამონანერის თანახმად, ე. ს-ი წარმოადგენს სოფელი ..., ...ის საკრებულოში 30 კვ. მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, სადაც უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია სოფლის საკრებულოს 1998 წლის 20 აგვისტოს დადგენილების ამონანერი №15. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე გაცემულია საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა.

...ის ს/საბჭოს 20.08.1998წ. №15 გადაწყვეტილებიდან ამონანერის თანახმად, სასოფლო საბჭოს გამეობამ გადაწყვიტა ნება დაერთო ...ის რაიონის სოფელ ...ის მაცხოვრებელ ს.ო-სთვის 30 კვ. მ მიწის ნაკვეთზე მაღაზიის ასაშენებლად, ცენტრალური გზის გასწვრივ. ამასთან, იგი გაფრთხილებულ იქნა მაღაზია აეშენებინა დამტკიცებული პროექტით.

ამასთან, დადგენილია, რომ 2003 წლის 11 სექტემბერს ე. ს-ზე გაიცა საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, სოფელ ...ში 30 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რის საფუძველზე 2004 წლის 24 ივნისს საჯარო რეესტრში გან-

ხორციელდა ე. ს-ის საკუთრების რეგისტრაცია. საქმეში წარმოდგენილია 24.06.2004წ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, რომლის მიხედვითაც, ე. ს-ის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება ...ი, ...ის საკრებულო, სოფელ ...ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 30 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 2003 წლის 11 სექტემბრის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 7 თებერვლის მიმართვით კი, ...ის რაიონის სოფ. ...ში მცხოვრებ ე. ს-ს ეცნობა, რომ ...ის სარეგისტრაციო სამსახურში მის საკუთრებაში რეგისტრირებული იყო 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩევე ე. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე ი. დ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ...ის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 30 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მოპასუხეს აეკრძალა ხელშემძლელი მოქმედება. ამავე გადაწყვეტილებით ი. დ-ს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე – ...ის რაიონის სოფელი ...ის საკრებულოს 1998 წლის 20 აგვისტოს დადგენილების, 2003 წლის 11 სექტემბრის ე. ს-ზე გაცემული საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის და მისგან გამომდინარე ყველა შედეგის გაუქმების შესახებ, უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ სადაცო მიწის ნაკვეთი და მოპასუხის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მდებარეობს სხვადასხვა ადგილას, კერძოდ, მოპასუხე ი. დ-ის საკარმიდამო ნაკვეთი ესაზღვრება მის სახლს მეორე მხრიდან, ხოლო სადაცო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება მოპასუხის სახლის ქვის ღობეს ქუჩის მხრიდან, რის გამოც საფუძველს მოკლებული იყო ი. დ-ის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სადაცო მიწა მისი მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, მოპასუხე ი. დ-ის შეგებებული სარჩელის უსაფუძვლობას თვალნათლივ ადასტურებდა საქმეში განთავსებული გეგმა მისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის აგეგმისა, რომლის მიხედვით, მოსარჩელეზე გამოყოფილი 30 კვ.მ არ წარმოადგენდა ი. დ-ის საკარმიდამო მიწის ფართობს, რის გამოც ამ უკანასკნელის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს არავითარი ზიანი არ ადგებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 11 ივლისის განჩინებით ი. დ-ის სააპელაციო საჩივარი ი. დ-ის შეგებებული სარჩელის – 2003 წლის 11 სექტემბრის მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის და ე. ს-ის თვის მიწის გადაცემის ნაწილში სოფ. ....ის სოფლის საკრებულოს

1998 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე გამოიყო ცალკე წარმოებად. ...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე ე. ს-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში ი. დ-ის სააპელაციო საჩივრის წარმოება შეჩერდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ძალაში დარჩა ...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება ...ის რაიონის სოფელი ...ის საკურპულოს 1998 წლის 20 აგვისტოს დადგენილების, 2003 წლის 11 სექტემბრის ე. ს-ზე გაცემული საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის და მისი თანმდევი შედეგის გაუქმების თაობაზე ი. დ-ის შეგებებული სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, რაც შევიდა კანონიერ ძალაში. ამდენად, ძალაშია და არ გაუქმებულა ის უფლებადამდგენი დოკუმენტები, რაც საფუძვლად დაედო სადაცო მინის ნაკვეთის ე. ს-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრების მართებულობა იმასთან დაკავშირებით, რომ ე. ს-ისთვის მაღაზიის მშენებლობის მიზნით გამოყოფილი 30 კვ.მ მინის ნაკვეთი არ წარმოადგენდა ი. დ-ის საკარმიდამო მინის ნაკვეთს. ე. ს-ისთვის სადაცო მინის გამოყოფით არ ილახებოდა ი. დ-ის კანონიერი უფლებები და არ ადგებოდა ზიანი მის ინტერესებს.

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ე. ს-ის სარჩელი ზ. დ-ას ნინააღმდეგ არ დაკამაყოფილდა და ე. ს-ს უარი ეთქვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშემლის აღკვეთის მოთხოვნაზე.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებების თანახმად დაადგინა, რომ ე. ს-ის მიერ აშენებული მაღაზია მდებარეობდა ზ. დ-ას საკუთრებაში არსებულ ფართზე; ხოლო მაღაზიას ფაქტობრივად დაუფლებული იყო ე. ს-ი. თავის მხრივ, ე. ს-ი ვერ ამტკიცებდა, რომ მაღაზიის ფაქტობრივ ფლობას, მის მოხმარებას ახორციელებდა ზ. დ-ა, რის გამოც სახეზე ვერ იქნებოდა დასაბუთებული პრეტენზია საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი მფლობელისგან უკან დაბრუნების და ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე.

საკანონი სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი 30.10.2017 წ. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, ...ის რაიონის სოფელ ...ში მდებარე ე. ს-ის

სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ 30 კვ.მ არასა-სოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე – შენობა-ნაგებობის ჩამო-ნათვალი: №1, რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი გახდა თბი-ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, ხოლო სააპელაციო სასამართლოს იგივე გადაწყვეტილება საჯარო რეეს-ტრიდან 11.11.2017წ. ამონანერის თანახმად, საფუძვლად დაედო ზ. დ-ას სახელზე განხორციელებულ საკუთრების უფლების სადა-ვო რეგისტრაციას; ზ. დ-აზე მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესა-ხებ სიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის №... სადაც გადაწყვეტილების მიხედვით, განცხადე-ბით მოთხოვნილი იყო სასამართლო აქტის საფუძველზე უფლების რეგისტრაცია.

ამდენად, ერთი მხრივ, სადავოდ ქცეულ ე. ს-ის საკუთრების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სიპ საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილე-ბის მიღებას, ხოლო მეორე მხრივ, ზ. დ-ას საკუთრების უფლების სადავო რეგისტრაციას, საფუძვლად დაედო სწორედ თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, რომელიც ე. ს-ის სარჩელის საფუძ-ველზე, შეეხებოდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხო-ვას, რა დროსაც სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა მხა-რეთა ახსნა-განმარტებებს, ხოლო ადმინისტრაციულ დავაზე კა-ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიხედვით, ძალაში იყო ის უფლებადამდგენი დოკუმენტები, რაც საფუძვლად დაედო სა-დავო უძრავი ქონების ე. ს-ის სახელზე საკუთრების უფლებით რე-გისტრაციას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგის-ტრაცია ძალადაკარგულად ცხადდება, თუ ძალადაკარგულად, ბა-თილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის საფუძვლად არ-სებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. რეგისტრაცია ნარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განეკუთვნება სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ ნარმო-შობს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. განსახილველ შემთხვე-ვაში უძრავი ქონების ე. ს-ზე გადაცემა მოხდა შესაბამისი სამარ-თლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში, რომელთა კანო-ნიერება დადასტურებულია ადმინისტრაციულ დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით – თბილისის სააპელაციო სასა-

მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ძალაში დარჩა ...ის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება ...ის რაიონის სოფელი ...ის საკრებულოს 1998 წლის 20 აგვისტოს დადგენილების, 2003 წლის 11 სექტემბრის ე. ს.-ზე გაცემული საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის და მისი თანმდევი შედეგის გაუქმების თაობაზე ი. და-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განსახილველ შემთხვევაში დაუშვებლად მიიჩნევს სამართლებრივი საფუძვლების კანონიერ ძალაში არსებობის პირობებში ე. ს.-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვას და აღნიშნული გადაწყვეტილებით გაკეთებული დასკვნები ეფუძნებოდა მხარეთა ახსნა-განმარტებებს, რაც ასევე წინააღმდეგობაში მოვიდა ადმინისტრაციულ დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გაკეთებულ დასკვნებთან. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ძალაშია და არ გაუქმებულა სადავო უძრავი ქონების ე. ს.-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისად, დაუსაბუთებელია ე. ს.-ის საკუთრების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სახეზეა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის პირობებში კი, ასევე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 ივლისის №... გადაწყვეტილება და ე. ს.-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ე. ს.-ის მიერ სადავოდ ქცეულ ზ. და-აზე მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილებას, საკასაციო სასამართლო კელავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნულ რეგისტრაციას, ე. ს.-ის საკუთრების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის

30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების მსგავსად, საფუძვლად და-ედო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუშვებელი წარმოადგენდეს რო-გორც ე.ი.-ის საკუთრების უფლების გაუქმების, ასევე ზ. დ-ას სა-კუთრების უფლების დამდგენ სამართლებრივ დოკუმენტს. შესა-ბამისად, ე. ს-ის საკუთრების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სიის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 30 ოქ-ტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის პირობებში სა-კასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სიის საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილება სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობი-ლი და მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევა-ლოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ ე. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმა-ყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ს-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სიის საჯარო რეესტრის ეროვნუ-ლი სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, სიის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 ივლი-სის №... გადაწყვეტილება და სიის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილება. ამასთან, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობი-ლი სიის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილება და მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ზ. დ-ას მიმართ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნა-ნილზე, რომლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალ-დებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლობ გა-დაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, მოპასუხეს

– სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ე. ს-ის სასარგებლოდ უნდა დაეცისროს მის მიერ სარჩელზე, სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 550 (100+150+300) ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ტ ა:**

1. ე. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 ივნისის №... გადაწყვეტილება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილება;
5. სადაც საკითხის გადაუწყვეტილად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილება და მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ზ. დ-ას მიმართ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
6. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ე. ს-ის სასარგებლივ დაეცისროს სარჩელზე, სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სადაცო უძრავი ქონების მესახე პირზე რეგისტრაციის კანონისას

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-372(3კ-20)

11 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
გ. გოგიაშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2017 წლის 13 იანვარს შპს „ც...მ“ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას.

მოპასუხისა და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ,  
მოპასუხე მხარედ მიეთითა – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტო, ხოლო სასარჩელო მოთხოვნად – „რეგისტრაციის შესა-  
ხებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 18  
იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2017 წლის 24 მარტის განჩინებით, ადმინისტრაციუ-  
ლი საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამი-  
სად, საქმეში მესამე პირებად ჩაეპნენ მ. ა-ი, შპს „...“ და სს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2017 წლის 27 ივნისის განჩინებით, ადმინისტრაციუ-  
ლი საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბა-  
მისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთნენ სსიპ სახელმწიფო ქონე-  
ბის ეროვნული სააგენტო და სს „სა...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრა-  
ციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შე-  
საბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ეკონო-  
მიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2018 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს

„ც...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 18 იანვრის №... გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სს „...მა“ და შპს „...მა“. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება სს „..“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 იანვრის განჩინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შპს „...სა“ და სს „...ს“ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2008 წლის 18 იანვრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენდა მ. ა-ის განცხადება და თანდართული შიდა აზომვითი ნახაზი. აღნიშნული რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძვლად კი მიჩნეულ იქნა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის“ მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმად, თუ საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ერთეულის ფართობი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრში რეგისტრირებულ ან ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში დაფიქსირებულ დაუზუსტებელ ფართობზე მეტია ან ნაკლებია, მარეგისტრირებელი ორგანო უფლების რეგისტრაციას ახდენს ბოლო საკადასტრო აზომვითი ნახაზით დადგენილი ფართობის შესაბამისად. ამავე ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად კი, მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ერთეული არის ერთ სისტემაში გაერთიანებული (ურთიერთდაკავშირებული) მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა ან იზოლირებული სათავსი (სათავსების ერთობლიობა), რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან არასაცხოვრებლად.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მ. ა-ს მარეგისტრირებელი ორგანოსთვის ფართის დაზუსტების მოთხოვნით მიმართვისას – 2008 წლის 18 იანვრის მდგომარეობით საკუთრების უფლებით რე-

გისტრირებული ჰქონდა უძრავი ქონება მდებარე: ...ი, მიწისქვეშა კომპლექსი, წილობრივი მონაცემი 300. ამასთან, მითითებული რეგისტრაციის საფუძველს წარმოდგენდა 2003 წლის 05 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მ. ა-მა შპს „კ...ისგან“ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ...ი, მიწისქვეშა კომპლექსი, წილობრივი მონაწილეობა 300, ხოლო შპს „კ...ს“ აღნიშნული ფართი საკუთრებაში გადაეცა 1996 წლის 17 სექტემბრის საკუთრების დამადასტურებელი №23/142 მოწმობის საფუძველზე, რომელშიც ასევე 300 კვ.მ ფართი იყო მითითებული. ფართობის დაზუსტების მიზნით წარდგენილმა ნახაზმა კი გარდა რეგისტრირებული 300 კვ.მ ფართისა, დამატებით მოიცვა 415,94 კვ.მ. ფართი, რომელზეც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი მარეგისტრირებელ ორგანოში განმცხადებელს არ წარუდგენია. შესაბამისად, სადაც აქტით ისე მოხდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია მესამე პირის სახელზე, რომ მისი საკუთრება არ დგინდება. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განმარტა, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე 715,94 კვ.მ. ფართზე მ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე ენინააღმდეგებოდა კანონმდებლობას, რაც სადაც რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, შპს „...მა“ და სს „...მა“. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ სათანადო დასაბუთება არ მიუცია აქტის გაუქმების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე. სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილება მიიღო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელემ ვერ დაადასტურა იურიდიული ინტერესი გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის მიმართ. სასამართლოებმა ყურადღების მიღმა დატოვეს ის გარემოება, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით არ დასტურდებოდა მოსარჩელის უძრავი ნივთსა და სადაც გადაწყვეტილებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთებს შორის გადაფარვა. კასატორი მიუთითებს, რომ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800

ბრძანების მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ერთეულის ფართობი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ ან ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში დაფიქსირებულ დაუზუსტებელ ფართობზე მეტა ან ნაკლებია, მარეგისტრირებელი ორგანო უფლების რეგისტრაციას ახდენს ბოლო საკადასტრო აზომვითი ნახაზით დადგენილი ფართობის შესაბამისად. ამავე ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, მრავალერთეულიანი შენობა-ნაგებობის ერთეული არის ერთ სისტემაში გაერთიანებული (ურთიერთდაკავშირებული) მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა ან იზოლირებული სათავსი (სათავსების ერთობლიობა), რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან არასაცხოვრებლად.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია, რომ მ. ა-ის მიერ მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით, უძრავი ნივთი წარმოადგენდა ერთ სისტემაში გაერთიანებულ ურთიერთდაკავშირებულ ფართს.

კასატორი კვლავ მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ექსპერტზის დასკვნაზე და აღნიშნავს, რომ არ დასტურდება უძრავ ქონებათა საკადასტრო მონაცემების გადაფარვა. თუმცა, გადაფარვის არსებობის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშიც კი შესაძლოა გადაფარვის ფართობი იყოს მხოლოდ 260.98 კვ.მ, შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის სრულ ფართობზე ბათილად ცნობის შესახებ მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს.

შპს „...“ აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტთა დასკვნებით, მოსარჩელის საკუთრებაში მყოფი და სადაცო უძრავი ქონებების საკადასტრო მონაცემების გადაფარვა არ დასტურდება. შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მისი იურიდიული ინტერესის არსებობის დასაბუთება.

სადაცო რეგისტრაციის შემდეგ ქონება აუქციონზე შეიძინა სს „...მა“, შემდეგ კი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე – შპს „...მა“, რომელიც არის უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი. ამდენად, სადაცო აქტის ბათილად ცნობით მოსარჩელისათვის ვერ დადგება რაიმე კონკრეტული შედეგი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობისათვის კანონმდებლმა განსაზღვრა ორი გარემოება – აქტი უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და აქტი უშუალო და პირდაპირ ზიანს უნდა აყენებ-

დეს მოსარჩელის ინტერესს. სადაცო შემთხვევაში არცერთი მითი-თებული გარემოება არ იყვნეთება.

კასატორი სს „....“. აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინებით შეფასებული არ არის შემდეგი გარემოებები: 1. რამდენად ითვლება პირი დაინტერესებულ პირად ქონების რეგისტრაციასთან და-კავშირებული აქტის ბათილობის მოთხოვნის ფარგლებში, როდე-საც იგი ვერ ამტკიცებს ამ ქონებაზე საგარაუდო ან თუნდაც, ძნე-ლად განჭვრეტად საკუთრების უფლებას, ან არ ითხოვს ზიანის ანაზღაურებას ბრალებული მხარისგან; 2. რამდენად ითვლება პირი უფლებამოსილად აღძრას სარჩელი იმ აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, რომელიც გაცილებით ადრე გამოიცა (18.01.2008 წელი), ვიდრე – მისი საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი (25.02.2008 წელი).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.12.2006 წლის ბრძანების მე-13 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, თუ ტექნიკური აღ-რიცხვის არქივის მონაცემებით უძრავ ნივთზე არ არის აღრიცხული სახელმწიფოს ან სხვა პირის საკუთრების უფლება, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია ტექნიკური აღრიცხვის არქი-ვიდან უძრავ ნივთზე ინფორმაციის ან ცნობა-დახასიათების გაცე-მისას მიუთითოს, რომ უძრავ ნივთზე უფლება არ არის აღრიცხული. ეს დათქმა გამორიცხავს იმას, რომ 18.01.2008 წლის რეგისტრა-ციით განხორციელდა სხვისი საკუთრების რეგისტრაცია, რამდე-ნადაც სასამართლოს მიერ გამოთხოვილი დოკუმენტებით (ტექნიკური აღრიცხვის არქივი) აღნიშნული ვერ დადასტურდა, რაც ასე-ვე ვერ დაადასტურეს ექსპერტებმაც.

ამდენად, კასატორი აღნიშნავს, რომ სადაცო რეგისტრაცია გან-ხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. ამავდროულად, მოსარჩელეს არ აქვს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი ინ-ტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქ-ნა მიღებული სს „...ს“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქ-ნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკა-საციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...ს“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს, შპს „...სა“ და სს „...ს“ საკასაციო საჩივრები და შათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შპს „...ს“ და სს „...ს“ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ საქმეში დავის საგანს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 18 იანვრის №... გადაწყვეტილების (უძრავ ქონებაზე – საკადასტრო კოდი: ..., ფართი: 715.94 კვ.მ. მ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ) ბათილად ცნობა წარმოადგენს.

მოსარჩეულ შპს „ც..“. სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებს, იმ გარემოებაზე, რომ 2008 წლის 18 იანვარს განხორციელებული უკანონო რეგისტრაციის შედეგად, მის საკუთრებაში მყოფ უძრავი ქონების ფართს ფარავს მესამე პირის (მ. ა-ის) სასარგებლოდ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ფართი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2007 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის საკუთრები სამსახურს და მოითხოვა სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, მდებარე: ...ის ქვეშ არსებული კომპლექსი „...“.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 19 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით სახელმწიფოს საკუთრების უფლება დარეგისტრირდა უძრავ ნივთზე, მდებარე: თბილისში, ...ი, მინისტრის ქვეშ კომპლექსი, სართული 2, ფართი: 2902,44 კვ.მ. (ს.კ. ....).

2008 წლის 21 აპრილს შპს „ც...მ“ №... განცხადებით მიმართა სა-

ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია სახელმწიფოს მიერ პრივატიზებულ ქონებაზე – ქ. თბილისში, ...ის მიწისქვეშა კომპლექსში მდებარე ფართობი, II სართული, 2902.44 კვ.მ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 24 აპრილის №... გადაწყვეტილებით, დარეგისტრირდა შპს „ც...ს“ საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისში, ...ი, მიწისქვეშა კომპლექსი, სართული 2, ფართი – 2902.44 კვ.მ, ს.კ. ....

2011 წლის 26 იანვარს შპს „ალ...მა“ №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში შეტანის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ. თბილისი, ...ის მიწისქვეშა კომპლექსში მდებარე II სართული, ფართობი: 2902.44 კვ.მ. საკადასტრო კოდი: ....

საჯარო რეესტრიდან 2011 წლის 26 იანვრის ამონანერის თანახმად, უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ...ი, მიწისქვეშა კომპლექსი, სართული 2, ფართი – 2902.44 კვ.მ, საკადასტრო კოდი: .... დარეგისტრირდა შპს „ალ...ის“ საკუთრების უფლება.

2015 წლის 25 დეკემბერს განხორციელდა შპს „ალ...ის“ (ს/ნ ...) რეორგანიზაცია (შერწყმა). რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებულ სუბიექტს წარმოადგენს შპს „ც...“. (ს/ნ/ ...).

ამასთან, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტსა („მეიჯარე“) და შპს „ც...ს“ (მოიჯარე) შორის 1996 წლის 12 სექტემბერს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით მეიჯარემ გასცა, ხოლო მოიჯარემ მიიღო იჯარით გამოსყიდვის უფლებით ქ. თბილისში, ...ის მიწისქვეშა კომპლექსის პირველ სართულზე განთავსებული 300 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

1996 წლის 12 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულების საფუძვლზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი №1) თანახმად, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტი აბარებს შპს „ც...ს“ ქ. თბილისში, ...ის მიწისქვეშა კომპლექსის პირველ („პირველი“ გადახაზულია და მითითებულია „მეორე“) სართულზე განთავსებულ 300 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართს იჯარა-გამოსყიდვის უფლებით 10 წლის ვადით.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის მიერ 1996 წლის 17 სექტემბერს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №23/142 მოწმობის თანახმად, შპს „ც...ს“ საკუთრებაში გადაეცა მის მიერ დაკავებული 300 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, მდებარე ქ. თბი-

ლისში, ...ის მიწისქვეშა კომპლექსის პირველ სართულზე.

2003 წლის 26 თებერვლის №5301/2003 სააღრიცხვო ბარათის თანახმად, უძრავ ნივთზე, მდებარე: ...ი, მიწისქვეშა კომპლექსი, 1996 წლის 17 სექტემბრის №23/142 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, დარეგისტრირდა შპს „კ...ის“ საკუთრების უფლება.

2003 წლის 05 მარტს შპს „კ...ის“ დირექტორის ქ. გ-ეის ნარმომადგენელს (შემდგომში „გამყიდველმა“) და მ. ა-ის (შემდგომში „მყიდველმა“) შორის გაფორმებული ხელშეკრულების (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №...) თანახმად, მ. ა-იმა იყიდა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ....ი, მიწისქვეშა კომპლექსი, წილობრივი მონანილება 300.

2003 წლის 06 მარტის 6171/2003 სააღრიცხვო ბარათის თანახმად, უძრავ ნივთზე მდებარე: ...ი, მიწისქვეშა კომპლექსი, წილობრივი მონაცემი 300, 2003 წლის 05 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №...), დარეგისტრირდა მ. ა-ის საკუთრების უფლება.

2007 წლის 25 დეკემბერს მ. ა-იმა №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა უძრავი ნივთების გაერთიანების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, მდებარე: ...ი, მიწისქვეშა კომპლექსი. აღნიშნული განცხადებით მარეგისტრირებულ ორგანოს ნარედგინა: 1. დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 2. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; 3. თითოეულ ფართზე საჯარო რეესტრიდან ამონანერების ასლები; 4. შიდა აზომვითი ნახაზი.

რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 03 იანვრის №... სარეგისტრაციო გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო ნარმება და განმცხადებელს შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის ნარსადგენად განესაზღვრა 30 კალენდარული დღე.

2008 წლის 18 იანვარს მ. ა-იმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, დააზუსტა 2007 წლის 25 დეკემბრის №... განცხადებაში მითითებული მოთხოვნა და კორექტირებული შიდა აზომვითი ნახაზის საფუძველზე მოითხოვა უძრავ ნივთის (საკადასტრო კოდი: ...) ფართობის დაზუსტება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 18 იანვრის №... სარეგისტრაციო ნარმოების განახლების შესახებ გადაწყვეტილებით განახლდა სარეგისტრაციო ნარმოება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 18 იანვრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე, უძრავ ნივთზე, საკადასტრო კოდი: ..., ფართი: 715.94 კვ.მ., დარეგისტრირდა მ. ა-ის საკუთრების უფლება. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, (მომზადების თარიღი: 18.01.2008), უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს 2003 წლის 5 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება ....

2013 წლის 25 დეკემბრის საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ..., მიწისქვეშა კომპლექსი, საკადასტრო კოდი: ..., ფართი – 715.94, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე (24.12.2013 №...) და-რეგისტრირდა შპს „...ს“ საკუთრების უფლება.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 05 სექტემბრის №005134917 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დადგინდა, რომ შპს „ც...ს“ საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისში, ...ი, მიწისქვეშა კომპლექსში განთავსებული 106,74+81.99+2032,62=2221,35 კვ.მ. ფართების (ს.კ .... ს.კ ...; ს.კ ...) გაბარიტული ზომების მიხედვით, მათი განლაგების, კონფიგურაციისა და გეომეტრიული ზომების გათვალისწინებით, შპს „...ს“ სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონებით, მდებარე ქ. თბილისში, ...ი, მიწისქვეშა კომპლექსში განთავსებული 715,94 კვ.მ ფართით (ს.კ ...) გადაფარვა არ ფიქსირდება“.

ამასთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 13 სექტემბრის №005319317 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ...ის მიწისქვეშა კომპლექსში ფართების ზედდებასთან დაკავშირებით დადგინდა, რომ შპს „არ..“. -ის მიერ მომზადებული შენობის გეგმანახაზი, მისი მახასიათებლების გათვალისწინებით (მასში არსებული ღიობებით, კიბის უჯრედებით), იდენტიფიცირდება როგორც ამ ნაგებობის ზედა სართული (II სართული), ხოლო ფაქტობრივად შპს „...ს“ სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხული ქონება 715,94 კვ.მ ფართით განთავსებულია ამ ნაგებობის ქვედა სართულზე (I სართულზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული ფართები წარმოადგენს სხვადასხვა სართულზე განთავსებულ ფართებს. ამასთან, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების – საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, შპს „ც...ს“ კუთვნილი ფართები განთავსებულია მიწისქვეშა კომპლექსში მე-2 სართულზე, ხოლო შპს „...ს“ კუთვნილი 715,94 კვ.მ ფართის შესახებ ამონაწერში არ არის მითი-

თებული თუ რომელ სართულზეა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „არ..“.-ის მიერ მომზადებულ შენობის გეგმას) განხილვის საფუძველზე, თუკი ნახაზის მიხედვით, ფართები განლაგებულია ქვედა სართულზე, შპს „...ს“ სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხული ქონებით ს/კ ... ხდება ზედდება შპს „ც...ს“ კუთვნილი ს/კ ...-ის 2032,62 კვ.მ-ს ნაწილში 260,98 კვ.მ-ს ოდენობით, ხოლო თუ წარმოდგენილ დოკუმენტაციის (შპს „არ..“.-ს მიერ მომზადებულ შენობის გეგმას) შესაბამისად, განიხილება, რომ ფართები განლაგებულია ზედა სართულზე, შპს „...ს“ სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხული ქონებით ს/კ ... არ ხდება ზედდება შპს „ც...ს“ კუთვნილი ს.კ. ...-ის 2032,62 კვ.მ-ს ნაწილში. განმცხადებლის წარმომადგენლების მიერ მითითებული საკვლევი ფართის (მიწის ქვეშ არსებული | სართული) შესწავლით მიღებული მონაცემების გაანალიზებით დადგინდა, რომ შპს „...ს“ სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხული ქონება ს/კ ... მოქცეულია და ხდება ზედდება შპს „ც...ს“ კუთვნილი ს.კ. ...-ის 2032,62 კვ.მ-ს ნაწილში 260,98 კვ.მ-ს ოდენობით, ხოლო შენობა-ნაგებობის დაყოფის ნახაზზე მითითებული №1 სივრცე (106,74კვ.მ) და №2 სივრცე (81,99კვ.მ), რომელიც საკუთრების უფლებით ირიცხება შპს „ც...ს“ სახელზე, არ ემიჯნება და ადგილმდებარეობითაც მოცილებულია შპს „...ს“ სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხულ ქონებას ს/კ .... ყოველივე ზემოაღნიშულის გათვალისწინებით, საკითხის გადაწყვეტისა და დეტალური კვლევისათვის მიზანშენონილია წარმოდგენილ იქნეს ორივე მესაკუთრის სახელზე რიცხული ქონებების ერთობლივი გეგმა-ნახაზი ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომლას მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ზუსტი ფართების იდენტიფიცირება და დადგენა თუ რა ოდენობის ფართია ზედდებაში.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმომობის, მათშიც ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ამავე კოდექსის 311<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით დადებული გარიგება.

სადაცო პერიოდში მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს უძრავ ნივ-

თებზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირაენობის/იპო-თეკის რეესტრების წარმოების ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე რეესტრების მწარმოებელი ორგანოების უფლება-მოვალეობებს. ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება საკუთრების უფლება.

„უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქარ-თველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მი-ხედვით, უძრავ ნივთებზე უფლება წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად, ხოლო საკუთრების უფლება მიტოვებულად ან შეც-ვლილად ითვლება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მი-ღების მომენტიდან. რეგისტრაცია წარმოებს როგორც უმუალოდ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის თუ სხვა დოკუმენტა-ციის, ისე ამ დოკუმენტაციის ელექტრონული ასლების საფუძველ-ზე. ხოლო, მითითებული კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მი-ხედვით, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის წორმა-ტიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, გარიგება ან სხვა სა-მართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთებზე უფლე-ბის, უფლების შეზღუდვის, უძრავ ნივთებზე მიბმული ვალდებულე-ბის, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშო-ბის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთ-ხოვნის უფლებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2008 წლის 18 იან-ვრის სადავო აქტი – 715.94 კვ.მ-ზე (საკადასტრო კოდი: ...) საკუთ-რების უფლების რეგისტრაციის შესახებ – წარმოადგენს აღმჭურ-ველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (სზაკ – 2.1.ვ.).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ენინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მო-სარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუ-დავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღ-ნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესა-ხებ.

აღნიშნული დანაწესი ეფუძნება საქართველოს კოსნტიტუცი-ის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმადაც, ყოველ ადა-მიანს აქვს უფლება თავისი უფლებათა დასაცავად მიმართოს სასა-მართლოს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორ-განული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყო-ველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა და თავის უფლება-

თა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდა-პირ მიმართოს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს რომ აღნიშნული დებულებები განასხვავებს სასამართლოს კომპეტენციას ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციისგან, რომელიც აღჭურვილია უფლებამოსილებით და კანონით განსაზღვრული შემთხვევების შესაბამისად – ვალდებულებით, უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად ცნოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაინტერესებულ პირს არ ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი ან ასეთი პირის არსებობა საერთოდ არ იკვეთება საქმის გარემოებებით, მაშინ როდესაც სასამართლოს მიერ შეცილებითი სარჩელის დასაშვებად ცნობისა და დაკმაყოფილებისათვის სავალდებულო კრიტერიუმი სადაც აქტით მოსარჩელის კანონიერი უფლების ან ინტერესისათვის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს მიყენება ან მისი უფლების უკანონოდ შეზღუდვაა (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 32-ე მუხლები) (გარდა გარემოსდაცვითი სარჩელებისა).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციის მომნესრიგებელი ნორმები ემსახურება პირის პერსონალური, ინდივიდუალური, ნამდვილი უფლების დაცვას და შესაბამისად ისეთი სარჩელების გამორიცხვასა და აღკვეთას, როდესაც სახეზე არ არის მოსარჩელის მხრიდან „თავისი“ უფლების დაცვა. აღნიშნული შეზღუდვა ასევე გამომდინარეობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან, რომლის შესაბამისადაც, სასამართლოს კომპეტენცია შემოიფარგლება იმ „დავების“ განხილვით, რომელშიც მოსარჩელე თავის ნამდვილ უფლებას იცავს და სასამართლოს როლს არ ზარმითადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონიერების პრინციპის დაცვის აბსტრაქტული კონტროლი.

„დავა სამართლებრივია უკეთუ სასამართლოს წინაშე ისმება საკითხი უფლების ან კანონიერი ინტერესის არსებობის შესახებ. ასეთი უფლების არსებობა, ინტერესის კანონით დაცულობის საკითხი სასამართლოს მიერ წყდება საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მიღებისას, რაც შეეხება სარჩელის დასაშვებობას, სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის საკმარისია ინტერესის, როგორც ასეთის არსებობა, ინტერესის არსებობის ვარაუდი საკმარისია სარჩელის დასაშვებობის გადასაწყვეტად... კანონიერი ინტერესის არსებობა გულისხმობს იმას, რომ პირი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას კეთილსინდისიერად იყენებს, დაუშვებელია ამ უფლების ბოროტად გამოყენება კანონსაწინააღმდეგო მიზნის მისაღწევად

ან მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას, ეს მხარის ზნეობრივი ცალდებულებაცაა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის №ბს-383-377(კს-15) განჩინება). მოსარჩელის პატივსადები იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის არ ემარა ინტერესის შესახებ მოსარჩელის განცხადება, მოსარჩელე უნდა ასაბუთებდეს თავის ინტერესს, რომელიც უნდა იყოს კანონიერი და პატივსადები. ინტერესის არსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფასდება, თუმცა იგი ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სარჩელის ალძვრის საბაბის ფაქტები: უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება, ინტერესების შეღახვა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის №ბს-764-764(2კს-18) განჩინება)“. მოსარჩელის მტკიცების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონსანინიალდეგონბა, არამედ ამ აქტით მისთვის, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისთვის, ზიანის მიყენების ფაქტი.

განსახილველ საქმეში, წარმოადგენილი მტკიცებულებების, მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნების საფუძვლებზე, უტყუარად არ დასტურდება შპს „ც...ს“ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბილისში, ...ი, მიწისქვეშა კომპლექსში განთავსებული 106,74+81.99+2032,62=2221,35 კვ.მ. ფართების (ს.კ .... ს.კ ...; ს.კ ...)) და მ. ა-ის სახელზე, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბილისში, ...ი, მიწისქვეშა კომპლექსში განთავსებული 715,94 კვ.მ ფართით (ს.კ ...)) გადაფარვა. აღნიშნული, უძრავი ქონებების მონაცემების ფაქტობრივი გადაფარვა არც სასამართლო სხდომებზე გამოიითხულ-მა ექსპერტებმა დაადასტურეს.

უძრავი ქონებების ზედდება („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2. მ) დადასტურებული არ არის მოპასუხე - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მ. ა-ისა და შპს „ც...ს“ საკუთრების უფლების რეგისტრაციების განხორციელებისას, ვინაიდან, 715.94 კვ.მ-ზე მ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ (18.01.2008.), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 24 აპრილის №... გადაწყვეტილებით 2902.44 კვ.მ-ზე დარეგისტრირდა შპს „ც...ს“ საკუთრების უფლება და რაიმე დაბრკოლება საკუთრების უფლების რეგისტრაციის თვალსაზრისით მოსარჩელე მხარეს არ შექმნია. ამდენად, უძრავი ქონების რეგისტრაციის ეტაპზე საკადასტრო მონაცემებს შორის ზედდება არ დაფიქსირებულა. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქ-

ტი, რომ უძრავი ნივთების ადგილმდებარეობად ერთ უძრავ ქონებასთან მიმართებაში მითითებულია მე-2 სართული, ხოლო მეორე უძრავ ქონებასთან მიმართებაში (რიგ დოკუმენტებში) პირველი სართული.

რაც შეეხება, შესაძლო ფაქტობრივი გადაფარვის საკითხს, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეზე წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით, ასევე სასამართლო სხდომაზე გამოკითხულ ექსპერტთა ახსნა-განმარტებებით, ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავი ქონებების ფაქტობრივი გადაფარვა არ დადასტურდა. კერძოდ, 2017 წლის 5 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნით ფართებს შორის გადაფარვა საერთოდ არ დადასტურდა, ხოლო 2017 წლის 13 სექტემბრის დასკვნაში გამოითქვა ვარაუდი ერთ შემთხვევაში გადაფარვის საერთოდ არარსებობის (ორივე ფართის ზედა სართულზე განლაგების შემთხვევაში), ხოლო მეორე შემთხვევაში (ორივე ფართის ქვედა სართულზე განლაგების შემთხვევაში) 260.98 კვ.მ ფართის გადაფარვის შესაძლებლობის შესახებ, თუმცა დასკვნის თანახმად, გადაფარვის ფაქტის დადასტურება შეუძლებელია უძრავი ნივთების სრულყოფილი გეგმა-ნახაზის არარსებობის პირობებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც საკასაციო საჩივრები, ისე სააპელაციო საჩივრები ეფუძნებოდა სწორედ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს არ აქვს განსახილველი დავის საგნის მიმართ იურიდიული ინტერესი, რადგან არ ფიქსირდება უძრავი ქონებების საკადასტრო მონაცემების გადაფარვა, თუმცა საპელაციო პალატას აღნიშნული საკითხი საერთოდ არ შეუფასებია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო – რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 18 იანვრის №... გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი მხოლოდ იმ პირობებში, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს და ამავდროულად დადასტურდება, რომ განხორციელებული რეგისტრაციით მოსარჩელე შპს „ც...ს“ კანონიერ უფლებას ან ინტერესს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უძრავ ქონებებზე საკადასტრო მონაცემების გადაფარვის დადასტურებისა და სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რა ნაწილში, რა ფართობზე ხდება გადაფარვა, ვინაიდან, უძრავი ქონების მხოლოდ ნაწილობრივი გადაფარვა, არ ქმნის რეგისტრაციის სრულად, მთელ ფართზე, ბათილად ცნობის საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა და აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მეორე ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: а) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე; გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა. ამასთან, 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგო. საკასაციო სასამართლო განშარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. საამისოდ კი სააპელაციო სასამართლოს გააჩნია ყველა ის საპროცესო მექანიზმი, რაც აუცილებელია პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილების ყოველმხრივი შემოწმებისა და საქმის სრულყოფილი, კომპლექსური განხილვისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხ-

ლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს არსებითად, გამოიყვლიოს და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების არსი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების შემოწმებაში მდგომარეობს. სააპელაციო პალატა, ერთი მხრივ, ამონმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად იყვლევს და აფასებს მტკიცებულებებს, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენიანსთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 ნოემბრის №ბს-985(კ-20) განჩინება).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ დავის საგნის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის საკითხი სააპელაციო პალატას საერთოდ არ შეუფასებია. ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ მისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხელახლა სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, სადაცო რეგისტრაციის შედეგად მოსარჩელის უძრავი ქონების გადაფარვის საკითხი, ხოლო გადაფარვის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი სადაცო აქტის ბათილდა ცნობის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებუ-

ლი განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახლი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შპს „...ს“ და სს „...ს“ საკასაციო საჩივრები დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

# სახელმიწოდებელის განხორციელებული ღვინის ქარხნის პრივატიზაციის ფარგლები

## განხილვა საქართველოს სახელით

№ბს-723(3კ-21)

5 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად  
ცნობა

### აღნერილობითი ნაწილი:

სს „...მ“ 2018 წლის 24 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის  
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-  
პასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ  
და მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017  
წლის 16 ოქტომბრის №..., №... და 2018 წლის 16 მარტის №... და №...  
გადაწყვეტილების პათილად ცნობა მათი ძალაში შესვლის დღი-  
დან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებით. ამავე  
სარჩელით მოსარჩელებ იშუამდგომლა საქმის საბოლოო გადაწყვე-  
ტამდე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ... და  
... საკადასტრო ერთეულებზე უფლებათა და რეგისტრირებულ მო-  
ნაცემებში ცვლილების რეგისტრაციის აკრძალვა.

მოსარჩელის განმარტებით, 1994 წლის 20 სექტემბერს საქარ-  
თველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინის-  
ტროს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა  
და შპს ფირმა „ვ...ს“ შორის დადებული ქ. თბილისში, ვ...ს დაღმართ  
№10-ში (დღევანდელი ...ის დაღმართი №10) მდებარე ღვინის ქარ-  
ხანა „ვ...ს“ პრივატიზების ხელშეკრულების, 1994 წლის 15 სექტემ-  
ბრის მიღება-ჩაბარების აქტისა და №23/283-კ საკუთრების დამა-  
დასტურებელი მოწმობის საფუძველზე, მის სახელზე დარეგის-  
ტრირდა და 1998 წლის 25 დეკემბერს გაიცა ამონანერი საჯარო  
რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, მინის ნაკვეთის ფართობი შე-  
ადგენდა 5195 კვ.მ-ს, მასზე განთავსებული შენობის ფართობი კი  
– 4227,9 კვ.მ-ს.

სარჩელის მიხედვით, გვირაბები (სარდაფები), რომელიც მდებარეობს მინისქვეშ, მოსარჩელის მინის ნაკვეთის უშუალოდ მომიჯნავედ და რომელიც უშუალო კონსტრუქციულ კავშირშია მის მინის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობასთან, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 სექტემბრის №1/1-2209 ბრძანების საფუძველზე, შემდგომი განკარგვის მიზნით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №... და №... გადაწყვეტილებებით დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრებად; კერძოდ, სახელმწიფოს საკუთრებად აღირიცხა ქ. თბილისში, ...ის ქუჩის №12-ში მდებარე 403,58 კვ.მ. სარდაფი (გვირაბი) (ს/კ: ...) და ასევე, №12 შენობა-ნაგებობის პირველი სართული (გვირაბი) – 119,67 კვ.მ. (...). აღნიშნული გვირაბები სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „გ...ს“ შორის 2018 წლის 16 მარტს დადებული №... უ.უ. ნასყიდობის ხელშეკრულებით გასხვისდა აუქციონის გზით შპს „გ...ზე“ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 16 მარტის №... და №... გადაწყვეტილებებით, შპს „გ...ს“ საკუთრებაში დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ...ის ქუჩის №12-ში მდებარე 403,58 კვ.მ. სარდაფი (გვირაბი) (ს/კ: ...) და ასევე, შენობა-ნაგებობის პირველი სართული (გვირაბი) 119,67 კვ.მ. (...).

მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გასხვისდა მის საკუთრებაში არსებული ქონება, რის გამოც სადაც აქტებისა და მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 აპრილის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩატარდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და შპს „გ...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 მაისის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ სს „...ის“ განცხადება დაკმაყოფილდა; მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა ... და ... საკადასტრო ერთეულებზე უფლებათა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ივნისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩატარდა სს „სა..“. და სს „უ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 4 ივლისის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე შპს „გ...ს“ წარმომადგენლის განცხადება არ დატაყოფილდა.

2018 წლის 22 აგვისტოს, შპს „...მ“ (რეორგანიზაციის შემდგომ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა) დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე მხარეებად მიუთითა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ასევე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და საბოლოოდ მოითხოვა: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №..., №... და 2018 წლის 16 მარტის №..., №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა მათი ძალაში შესვლის დღიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებით; „უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 სექტემბრის №1/1-2209 ბრძანების ბათილად ცნობა; „ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩის №12-ში (ყოფილი ...ე) მდებარე 403,58 კვ.მ. სარდაფისა და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ასევე ქ. თბილისში, ...ის ქუჩის №12-ში პირველ სართულზე მდებარე 119,67 კვ.მ. ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 თებერვლის №1/1-483 ბრძანების ბათილად ცნობა, სს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკავშირებისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 27 ივლისის №1-1/373 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „გ...ს“ შორის 2018 წლის 16 მარტს გაფორმებული უ.უ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მათი ძალაში შესვლის დღიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებით. ამავე დაზუსტებული სარჩელით, მოსარჩელე მხარემ იშუამდგომლა უფლებამონაცვლის დადგენა იმ საფუძვლით, რომ სააქციო საზოგადოება „...“. რეორგანიზებულ იქნა და, რეორგანიზაციის შედეგად მის უფლებამონაცვლედ ჩამოყალიბდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, მოსარჩელის

– სს „...ის“ უფლებამონაცვლედ დადგინდა შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 01 მაისის განჩინებით გამოყინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც სასიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა ... და ... საკადასტრო ერთოვლებზე უფლებათა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1994 წლის 20 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და შპს ფირმა „...ს“ შემორის პრივატიზების ფორმით ნასყიდობის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს გადაეცა ... დაღმართ №10-ში მდებარე ღვინის ქარხანა „...ს“ შენობა-ნაგებობები, განაშენიანების ფართით 3700 კვ.მ. ქონება მყიდველს გადაეცა 1994 წლის 15 სექტემბრის №2 მიღება-ჩაბარების აქტით, სადაც დეტალურად იყო აღნირილი გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონების ჩამონათვალი, მათ შორის (უძრავი ქონება): შენობა ჩამოსხმის; შენობა საორთქლე ქვაბის; შენობა ლაბორატორიული; შენობა ლენინმასალების; შენობა ლენინმასალების; შენობა საკომპრესორო; შენობა ადმინისტრაციული; შენობა მზა ნაწარმის; შენობა საწყობის. საპრივატიზებო დოკუმენტაციით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განკარგვის ობიექტად გვირაბი/სარდაფი მითითებული არ ყოფილა, შესაბამისად, არ გაიზიარა მოსარჩელის ზეპირსიტყვიერი განმარტება იმის თაობაზე, რომ საწყობებში სწორედ სარდაფები მოიაზრებოდა. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაცემული ფართების უმეტესობა იყო დემონტირებული და არ არსებობდა გადაცემული შენობა-ნაგებობების განაშენიანების ფართთან დაკავშირებული რაიმე მტკიცებულება, რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს გამოეაწერისებინა, გადაცემული შენობა-ნაგებობების და სადავო უძრავი ნივთების ფართი ერთობლიობაში ქმნიდა თუ არა იმ 3700 კვ.მ-ს, რაც ხელშეკრულებით და საკუთრების მოწმობით გადაეცა შპს ფირმა „...ს“.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სარდაფებზე მის საკუთრების უფლებას, ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, ადასტურებდა არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტივული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის 1998 წლის 21 დეკემბრის მინის ნაკვეთის გეგმა შპს „...ს“ მიერ დაკავებული მინის ნაკვეთის საზ-

ლვრების შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 30 იანვრის №02.51.109 დადგენილებით, შპს ფირმა „...ს“ დაუმაგრდა მის მიერ დაკავებული, ქ. თბილისში, ...ს დაღმართი №10-ში მდებარე ლვინის ქარხნის შენობა-ნაგებობის ტერიტორია, რომლის საზღვრების და წითელი ხაზების დადგენა დაევალა არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტს. შესაბამისად, იმ ორგანოს მიერ მიწის ნაკვეთის გეგმაზე სარდაფების მითითება, რომელსაც ევალებოდა შპს ფირმა „...ს“ მიერ ხელშეკრულებით გა-დაცემული უძრავი ქონებებიდან გამომდინარე მხოლოდ მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენა, სასამართლოს შეფასებით, არ წარმოადგენდა უძრავ ქონებაზე (სარდაფებზე) უფლების დამდგენ დოკუმენტს და არ ადასტურებდა შპს ფირმა „...ს“ საკუთრების უფლებას სადავო ქონებაზე, მით უფრო, რომ შპს ფირმა „...ს“ მიერ ქონების რეგისტრაციის დროს (25.12.1998წ.). მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელ პირობად მიიჩნევდა სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის არსებობას და შემძენის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შპს „...ის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთის გავლის გარეშე სადავო ფართებთან მისასვლელი გზის არარსებობა, არ ადასტურებდა სადავო უძრავი ქონებების მოსარჩელისადმი კუთვნილების ფაქტს და განმარტა, რომ მისასვლელი გზის არსებობა ან არარსებობა არ წარმოადგენდა საკუთრების უფლების განმსაზღვრულ გარემოებას, ამასთან, გზის არარსებობის პირობებში მესაკუთრეს შეეძლო ესარგებლა სერვიტუტით და უკიდურეს შემთხვევაში, აუცილებელი გზის დადგენის შესაძლებლობით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 03 ოქტომბრის №... დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, ...ის ქ. №12-ში მდებარე უძრავ ქონებებთან (ს/ჟ: ... და ს/ჟ: ...) მისასვლელი გზა შესაძლებელია მოწყობილიყო ... საკადასტრო ერთეულსა და მის მეზობლად ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნაკვეთს შორის დარჩენილ დაურეგისტრირებელ სივრცეში, რომლის სიგანე საშუალოდ შეადგენდა 1,05 მეტრს.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 14 ივნისის №004069918 დასკვნაზე დაყრდნობით, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „გ...ს“ საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების და მოსარჩელის სარეგისტრაციო მასალებში არსებული 1998 წლის საკადასტრო

გეგმაზე/საკადასტრო რუკაზე მონიშნული სარდაფების იდენტურობა არ დადასტურდა, რადგან დასკვნაში საუბარი იყო ოთხი მიწის ნაკვეთის ქვეშ არსებულ სარდაფებზე, რაც არ ნიშნავდა, რომ მხოლოდ მესამე პირის სარდაფი მოიაზრებოდა, მით უფრო მაშინ, როდესაც პირველი დონის სარდაფებიც (რომელშიც შესასვლელი არის მოსარჩევლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან) იყო დაურეგისტრირებელი.

ასევე, სასამართლომ საყურადღებოდ მიიჩნია ის გარემოებაც, რომ მესამე პირის საკუთრებაში არსებული 119 კვ.მ. ფართი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 02.11.2017წ. დასკვნის თანახმად, წარმოადგენდა შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებულ ფართს და როგორც მხარეებმა ადგილზე დათვალიერებისას დაადასტურეს, იგი წარმოადგენდა ღვინის მაღაზიას. შესაბამისად, გაუგებარია, არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის 1998 წლის 21 დეკემბრის მიწის ნაკვეთის გეგმით, სადაც აღნიშნული იყო სარდაფები, მოსარჩელე როგორ ადასტურებდა მაღაზიის (პირველ სართულზე მდებარე) ფართზე საკუთრების უფლებას.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებებს გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა 1994 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ფართების შპს „გ...სათვის“ საკუთრებაში გადაცემის ფაქტი, ამდენად, სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის ნორმებზე მითითებით, შპს „...ის“ სარჩელი მიიჩნია უსაფუძვლოდ და არ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 მარტის განჩინებით სს „უ...ის“ უფლებამონაცვლედ დადგინდა სს „ს...“.:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით, შპს „...ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 სექტემბრის №1/1-2209 ბრძანება „უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის

მოთხოვნის შესახებ”; ბათილად იქნა ცნობილი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 თებერვლის №1/1-483 ბრძანება „ქ. თბილისში, ...ის ქუჩის (ყოფ. ....ე) №12-ში მდებარე 403,58 კვ.მ. სარდაფის და მასზე ნილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთისა და ქ. თბილისში, ...ის ქუჩის (ყოფ. ....ე) №12-ში, პირველ სართულზე მდებარე 119,67 კვ.მ. ფართის და მასზე ნილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ”; ბათილად იქნა ცნობილი 2018 წლის 16 მარტის №... უ.უ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზების ნასყიდობის ხელშეკრულება; ბათილად იქნა ცნობილი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 16 მარტის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 16 მარტის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 27 ივლისის №1-1/373 ბრძანება სს „....ის“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ერთი მხრივ, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ „უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 სექტემბრის №1/1-2209 ბრძანება, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ადმინისტრაციული საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 2018 წლის 27 ივლისის №1-1/373 ბრძანება სარულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე გამოსცეს, ვინაიდან არ დასტურდებოდა, რომ წარმოების პროცესში შესწავლილ და გამოკვლეულ იქნა ყველა გარემოება, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის კანონიერად გადაწყვეტისთვის, კერძოდ, შესაფასებელი იყო სახელმწიფოს საკუთრებად დარეგისტრირებული და შემდეგ აუქციონის ნებით განკარგული უძრავი ქონება (ქ. თბილისში, ...ის ქუჩის №12-ში მდებარე 403,58 კვ.მ. ს/კ: ... და ასევე 119,67 კვ.მ. ს/კ: ...) მოიცავდა თუ არა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე განთავსებული შენობა – ნა-

გებობის ნაწილს, კერძოდ, გვირაბებს (სარდაფებს), რომლებიც მდებარეობდა მიწის ქვეშ.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების და დამატებით დაკითხული მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ 1994 წლის 20 სექტემბრის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და შპს ფირმა „...ს“ შორის დაიდო პრივატიზების ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მყიდველს გადაეცა ქ. თბილისში, ...ს დაღმართ №....ში მდებარე ღვინის ქარხანა „...ს“ შენობა-ნაგებობები განაშენიანების ფართით 3700 კვ.მ. უძრავი ქონება მყიდველს გადაეცა 1994 წლის 15 სექტემბრის №2 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. პალატამ ყურადღება გაამახვილა №2 მიღება-ჩაბარების აქტში ასახულ ძირითად საშუალებათა პასურ ნაწილზე, სადაც მითითებულია იმ შენობათა ჩამონათვალი, რომელიც გადაეცა მოსარჩელეს, კერძოდ: შენობა ჩამოსხმის; შენობა საორთქლე ქვაბის; შენობა ლაბორატორიული; შენობა ღვინომასალების; შენობა ღვინომასალების; შენობა საკომპრესორო; შენობა ადმინისტრაციული; შენობა მზა ნაწარმის; შენობა საწყობის. მიღება-ჩაბარების აქტისა და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 1994 წლის 20 სექტემბერს გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №23/233-კ, რომლის თანახმად, შპს ფირმა „...ს“ საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ...ს დაღმართ №....ში მდებარე ღვინის ქარხანა „...“.

სააპელაციო პალატამ, სადავო ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 30 იანვრის №02.51.109 დადგენილება, რომლითაც შპს ფირმა „...ს“ დაუმაგრდა მის მიერ დაკავებული, ქ. თბილისში, ...ს დაღმართ №10-ში მდებარე ღვინის ქარხნის შენობა-ნაგებობის ტერიტორია, რომლის საზღვრების და წითელი ხაზების დადგენა დაევალა არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის. სააპელაციო პალატის შეფასებით, მითითებული დადგენილებით გათვალისწინებული წითელი ხაზების დაზუსტებას ადასტურებდა საქმეში ნარმოდგენილი საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1998 წლის 08 დეკემბრის საკადასტრო რეგისტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობად მითითებულია 5195 კვ.მ. და საკადასტრო რეგისტრი (ფართ. 736 კვ.მ.). პალატის მოსაზრებით, სარდაფების არსებობას ასევე ადასტურებდა საქმეში ნარმოდგენილი არქიტექ-

ტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის 1998 წლის 21 დეკემბრის მინის ნაკვეთის გეგმა, რომლის საფუძვლად მითითებული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 30 იანვრის №02.51.109 დადგენილება (ქალაქის გენეგმით გათვალისწინებული პერსპექტიული გზის მშენებლობამდე) და რომლითაც შპს „ს“ დაუდგინდა მის მიერ დაკავებული მინის ნაკვეთის საზღვრები. აღნიშნულ გეგმაზე გაკეთებულია ჩანაწერი – მხოლოდ სარდაფი (მარცხენა ქვედა კუთხეში).

რაც შეეხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სააგენტოში დაცული მონაცემების შესაბამისად 2008 წლის 15 ივლისა მომზადებულ საკადასტრო გეგმას, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, 4946 კვ.მ. მინის ნაკვეთის ფართობი ... საკადასტრო კოდზე ასახულია სარდაფების გარეშე, შესაბამისად, საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით დადგენილად მიიჩნია, რომ დამატებითი საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია ან/და შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი მარეგისტრირებელ ორგანოში არ წარდგენილა, რაც ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ... საკადასტრო კოდზე გაცემულ საკადასტრო გეგმაზე არ განხორციელდა/არ მოხდა სარდაფების ასახვა დაუდგენელი საფუძვლით.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მითითებულ სარდაფებზე საკუთრების უფლება გააჩნდა ჯერ შპს „...ს“, ხოლო ხელახალი რეგისტრაციის შედეგად შპს „... +ს“, რაც მოგვიანებით გახდა სს „...ის“ საკუთრება ქონების პარამეტრების, კერძოდ, მოცულობის, ფართობისა და მდებარეობის ცვლილების გარეშე. მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები ასევე დაცული იყო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ამდენად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მესაკუთრეთა ცვლილებების პარალელურად სადავო გვირაბი/სარდაფი წარმოადგენდა განკარგვის საგანს და პალატის შეფასებით ის გარემოება, რომ ... საკადასტრო კოდზე 2008 წლის 15 ივლისს მომზადებულ საკადასტრო გეგმაზე მარეგისტრირებელ ორგანოს მიერ სარდაფების ასახვა არ/ვერ განხორციელდა, ვერ გახდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ მართალია სააგენტო ახორციელებს კანონით დადგენილი

წესით ქონების, მათ შორის, უმკვიდრო/მიტოვებული უძრავი ქონების, ასევე, სახელმწიფოსათვის გადმოცემული ქონების სახელმწიფოს საკუთრებად მიღებასთან ან/და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, თუმცა იმ სამართლებრივი მდგომარეობის პირობებში, როდესაც ... (403,58 კვ.მ.) და ... (119,67 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით შეს „გ...ს“ სახელზე რეგისტრირებული ფართები წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებას, პალატის მოსაზრებით, სისი სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს არ ჰქონდა უფლება მიეღო 2017 წლის 11 სექტემბრის №1/1-2209 ბრძანება შემდგომი განკარგვის მიზნით.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო სამსახურმა სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ 2017 წლის 12 სექტემბერს წარდგენილ სის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს №... და №... სარეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას დაარღვია „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მე-2 პუნქტის თანახმად კი, განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ სადაც რეგისტრაციისას დაირღვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეგისტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლი, რომლის მიხედვითაც განმარტებულია, რომ სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში კი, მარეგისტრირებულ ორგანოს სადაც რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს სათანადოდ არ გამოუკვლევია და არ შეუსწავლია წარდგენილი მტკიცებულებები, რაც პალატის მოსაზრებით, მარეგისტრირებულ ორგანოს მისცემდა საფუძველს საქანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება; კერძოდ, მარეგისტრირებულ ორგანოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ 1994 წლის სექტემბერში განხორციელებული პრივატიზების შედეგად სახელმწიფომ სადაც გვირაბი/სარდაფი გაასხვისა მოსარჩელის სახელზე, რაც წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. დადგენილია, რომ „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო წარ-

მოებისას დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, 2017 წლის 12 ოქტომბერს, განმცხადებელმა (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ) მარეგისტრირებულ ორგანოს დამატებით წარუდგინა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 ოქტომბრის №7/52972 წერილი და სართულებრივი გეგმა ფართების მონიშვნით. აღნიშნული წერილის თანხმად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეცნობა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგენილ იქნა ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის ადგილმდებარეობა. რაც შეეხება ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართს, გარემოებების გამოკვლევის პროცესში, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაჟუტრესთან კომუნიკაციის შედეგად დადგენილ იქნა ის გარემოება, რომ მისი ფართი სართულებრივი გეგმის მიხედვით მდებარეობდა ფასადის მხრიდან უკიდურეს მარცხენა ბოლოში და პრივატიზების დროისათვის წარმოადგენდა ქსოვილების მაღაზიას. რაც შეეხება სარეგისტრაციოდ წარმოადგენილ ფართს, აღნიშნული ფართის შესასვლელი მდებარეობდა შენობის უკიდურეს მარჯვენა მხარეს და კავშირი არ ჰქონდა არც ერთ კერძო საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ფართთან. ამასთანავე, სარეგისტრაციო ფართი წარმოადგენდა სარდაფს, რომელსაც რელიეფის დახრილობის გამო (...ის აღმართი) გააჩნდა რამდენიმე დონე, ხოლო ნახსენები რელიეფის დახრილობის გამო, მისი შესასვლელის ამონევის სიმაღლე აღემატებოდა სარდაფისა და ნახევარსარდაფისათვის დადგენილი მიწის ზედაპირიდან ამონევის სიმაღლეს და განთავსებული იყო პირველ სართულზე არსებული ფართების ქვედა (სარდაფის) დონეზე. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ნახსენები უფლების სარეგისტრაციო ობიექტი – სარდაფი, წარმოადგენდა ერთ სისტემაში გაერთიანებულ, ურთიერთდაკავშირებულ და იზოლირებულ ფართს.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №... და 2017 წლის 16 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებებით (რეგისტრაციის შესახებ), სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ...ის (ყოვ. ....ე) ქ. №12-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: ..., ფართი – 403.58 კვ.მ. და უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: ..., სართული – 1, ფართი – 119.67 კვ.მ., თანასაკუთრების უფლებით აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 963.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 22, შენობა-ნაგებობები: №1.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მოწმის სახით გამოიკითხა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ის რეგისტრატორი, რომელმაც განახორციელა 2017 წლის 12 ოქ-ტომბრის №... გადაწყვეტილებით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 12 სექტემბრის განცხადებაზე ჯერ სა-რეგისტრაციო წარმოების შეჩერება და შემდეგ – დამატებითი მტკი-ცებულებების წარდგენის გარეშე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის 21-ე მუხლზე აპელირებით სარეგისტრაციო წარმოების განახლება.

მოწმის განმარტებით, მის მიერვე შემუშავებული პრაქტიკით, გარკვეული პერიოდულობით ახორციელებდა შეჩერებული სარე-გისტრაციო წარმოებების საფუძვლის გადახედვას და გადამოწმების ფარგლებში, მართალია იშვიათად, მაგრამ ადგილი ჰქონდა შე-ჩერების საფუძვლის არასესმობის აღმოჩენას და მის მიერვე ხდებოდა აღნიშნულის გამოსწორება რეგისტრაციის განახლებით, რა-საც მოწმის განმარტებით, ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვე-ვაშიც.

სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მხარეთა და მოწმეთა განმარტებებით დადგენილად მიიჩნია, რომ მარეგისტრირებულ ორგანოს სადაცო რეგისტრაციის შე-სახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს სათანადოდ არ გამო-უკვლევია და არ შეუსწავლია წარდგენილი მტკიცებულებები, რაც პალატის მოსაზრებით, მარეგისტრირებულ ორგანოს მისცემდა სა-ფუძველს საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 96-ე მუხლები, ასევე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკითხის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სრულფასოვნად გამოყენებინა მისთვის მინიჭებული უფლებამო-სილება და გადაწყვეტილება მიეღო კანონით განსაზღვრული შე-საბამისი პროცედურის ჩატარებით. ადმინისტრაციულ ორგანოს ობიექტურად უნდა შეეფასებინა მხარეთა მიერ განცხადებით მოთ-ხოვნილი საკითხის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგე-ნილი ყველა დოკუმენტი და სათანადობის, საკმარისობის, პრიო-რიტეტულობისა და საბოლოოდ, გაზიარების თვალსაზრისით გა-ნესაზღვრა მათი მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

რაც შეეხება მოთხოვნებს – ქ. თბილისში, ...ის ქუჩის (ქოფ. ...ე) № 12-ში მდებარე 403,58 კვ.მ. სარდაფის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკ-

ვეთისა და ქ. თბილისში, ...ის ქუჩის (ყოფ. ...) № 12-ში, პირველ სართულზე მდებარე 119,67 კვ.მ. ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 თებერვლის № 1/1-483 ბრძანების, 2018 წლის 16 მარტის №... უ.უ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი წივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებისა და აღნიშნულის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 16 მარტის №... და №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 თებერვლის № 1/1-483 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სადაც უძრავი წივთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება და 2018 წლის 13 მარტს გამართულ აუქციონზე, ...ის ქუჩის (ყოფ. ...) № 12-ში მდებარე 403,58 კვ.მ. სარდაფის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ: ...) და ქ. თბილისში, ...ის ქუჩის (ყოფ. ...) № 12-ში, პირველ სართულზე მდებარე 119,67 კვ.მ. ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: ...) შემძენი გახდა შპს „გ..“, რომელმაც აღნიშნული უძრავი ქონება შეიძინა 1 648 000 (მილიონ ექვსას ორმოცდარვა ათასი) ლარად. 2018 წლის 16 მარტს შპს „გ...ს“ ნარმომადგენელმა №... და №... სარეგისტრაციო განცხადებებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და 2018 წლის 16 მარტის №... უ.უ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი წივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ წივთებზე, მდებარე: თბილისი, ...ის ქუჩა (ყოფ. ...) № 12, სარდაფი და ...ის ქუჩა (ყოფ. ...) № 12, სართული 1.

პალატამ მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეყუნქტებზე, ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, ასევე მიუთითა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის № 1-1/172 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესზე“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია იმ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება და მითითებული საკანონმდებლო ოეგულაციის არსებობის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მტკიცებულებების, მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, საფუძვლიანად მიჩნია მოსარჩევე მხარის ზემოაღნიშნულ მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა შეს „გ...ს“ კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევასთან დაკავშირებით, იმ საფუძვლით, რომ საკითხი ეხებოდა არა კერძოსამართლებრივ, არამედ – საჯაროსამართლებრივ გარიგებას და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვინაიდან სადაცო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 თებერვლის №1/1-483 ბრძანება მინის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით და ამ უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გამოცემული სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ იყო შესაბამისობაში კანონით დადგენილ მოთხოვნებთან, მათ საფუძველზე მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 16 მარტის №... და №... გადაწყვეტილებები ვერ იქნებოდა მიჩნეული კანონიერად.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით, რომლითაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აკრძალა ... და ... საკადასტრო ერთეულებზე უფლებათა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებს რეგისტრაცია, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან სააპელაციო საჩივრის ავტორის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო სრულად, გადაწყვეტილების (სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება იწვევდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვი-

თარების სამინისტროს საკასაციო საჩივრის მიხედვით, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დადასტურებდა, რომ ... და ... საკადასტრო კოდებით სახელმწიფოს საკუთრების უფლებით რეგისტრირებული და შემდეგ აუქციონის გზით მესამე პირზე განცარგული უძრავი ქონება წარმოადგენდა შპს „...ის“ საკუთრებას. კასატორის განმარტებით, აღნიშნული უძრავი ქონების კერძო საკუთრებად თავდაპირველი რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენდა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ გაცემული №23/283-კ საკუთრების მოწმობა. აღნიშნულ მოწმობაში მოხსენიებული მიღება-ჩაბარების აქტით განისაზღვრა პრივატიზებული ღვინის ქარხანა ვ...ს ბალანსზე რიცხული ქონება, სადაც საკუთრების უფლების ობიექტად გვირაბი/სარდაფი მითითებული არ ყოფილა. აღნიშნული ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ გვირაბი/სარდაფი განცარგვის საგანს არ წარმოადგენდა, შესაბამისად, არ დასტურდებოდა მასზე შპს „...ის“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძლის არსებობა.

საჩივრის მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაკითხულ მოწმეთა განმარტების საფუძველზე მიიჩნია, რომ აპელანტის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ნაწილს წარმოადგენდა სარდაფი 403.58 კვ.მ. და პირველ სართულზე მდებარე 119.67 კვ.მ. ფართი. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტრო მიუთითებს, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებული ე.წ. წითელი ხაზები არ შესაბამება მინის ნაკვეთის რეგისტრირებულ მონაცემებს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ საკადასტრო გეგმას. ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებული ე.წ. წითელი ხაზები არ ასახავს საკუთრების უფლების გავრცელების საზღვრებს და არ წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძვლებს და ამასთან, იგი განსხვავდება საკადასტრო გეგმაზე ასახული მონაცემებისაგან. კასატორი აღნიშნავს, რომ ... და ... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ფართებზე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოებისას შეჩერებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციო უძრავი ქონება კვეთდა ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის საკადას-

ტრო საზღვრებს, თუმცა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ მიღებული ... (12.10.2017) და ... გადაწყვეტილებებით არ დგინდებოდა, რომ დასარეგისტრირებელი ფართები გადიოდა სს „...ის“ საკუთრებაში არსებულ ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. ფართების ადგილმდებარეობისა და კონფიგურაციიდან გამომდინარე, შეუძლებელია ისინი შექრილი ყოფილიყო ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთის საზღვრებში. კასატორის მოსაზრებით, სსიპ საფარო რეესტრი ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება შეჩერების თაობაზე მოტივირებული იყო ფართების უკან მომიჯნავე კერძო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების შექრის ვარაუდით, რაც მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს და საკადასტრო მონაცემების ზედდების ფაქტობრივი გარემოება არ არსებობდა.

კასატორის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში სადავოა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 სექტემბრის №1/1-2209 და 2018 წლის 26 თებერვლის №1/1-483 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, ვინაიდან სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო საკუთრების უფლებით აღრიცხული და შემდგომში ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზებული მინის ნაკვეთი წარმოადგენდა კერძო საკუთრებას და სახელმწიფოს უფლება არ ჰქონდა დაერეგისტრირებინა მასზე საკუთრების უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტრომ განმარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როგორც სამართლის ნორმის კონკრეტიზაციის და ინდივიდუალიზაციის აქტი, სამართლის იმ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს, რომელთა აღსრულებასაც ის ახდენს და ასევე ის არ უნდა ენინააღმდეგბოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლის სხვა ნორმებს. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის აუქციონის ფორმით პრივატიზებას და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ხოლო ამავე პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს კომპეტენციაა ქონების, მათ შორის, უმკვიდრო/მიტოვებული უძრავი ქონების, ასევე, სახელმწიფოსათვის გადმოცემული ქონების სახელმწიფოს საკუთრებად მიღებასთან ან/და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. განსახილვები შემთხვევაში, ... და ... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლე-

ბის რეგისტრაციისას, მათზე კერძო პირის საკუთრების უფლება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ ფიქსირდებოდა და არ არსებობდა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი რაიმე სახის ფაქტობრივი გარემოება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის 14 ივლისს ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრებ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს ხსენებული უძრავი ქონების საკადასტრო გეგმის მომზადების მოთხოვნით. საჯარო რეესტრის 2008 წლის 15 ივლისის ... გადაწყვეტილებით გაიცა ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საკადასტრო გეგმა. აღსანიშნავია, რომ საკადასტრო გეგმის მომზადება განხორციელდა ქონების იმუამინდელი მესაკუთრის, სს „სა...ს“ მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, ხოლო აღნიშნულ ნახაზზე დღეის მდგომარეობით სადავოდ გამხდარი ქონება დაწანილი არ ყოფილა.

სამინისტრო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დავის გადაწყვეტილებას, სასამართლოს არ უმსჯელია კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებისა სამართლიანი ბალანსის აუცილებლობაზე და აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე ვერ იქნავერც ერთი ფაქტი წარმოდგენილი, რომელიც მიუთითებდა უძრავი ქონების შემძენთა არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფას.

კასატორის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის მე-8 და მე-9 მუხლების საფუძველზე, სააგენტომ 2017 წლის 12 სექტემბერს №... და №9... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე, მდებარე: ქ. თბილისი, ...ის (ყოფ. ....) ქ. №12 შენობა-ნაგებობა №1-ის სარდაფი 403,58 კვ.მ. და ქ. თბილისი, ...ის (ყოფ. ....) ქ. №12, შენობა-ნაგებობა №1-ის I სართულზე 119,67 კვ.მ. აღნიშნულ განცხადებებს თან ერთოდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 სექტემბრის №1/1-2209 ბრძანება „უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“ და დანართი №1, რომლითაც სააგენტო ითხოვდა №1 დანართში მითითებულ უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 14

სექტემბრის №... და №... გადაწყვეტილებებით, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და სააგენტოს განხემარტა, რომ მოთხოვნილ უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების წარმოშობის რეგისტრაციისთვის დამატებით წარსადგენი იყო ქ. თბილისში, ...ის (ყოფ. ...ე) ქ. №12-ში, ... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის სართულებრივ გეგმაზე არსებული მონიშვნა ყველა რეგისტრირებული და სარეგისტრაციოდ წარდგენილი ფართების მითითებით.

2017 წლის 12 ოქტომბერს, ხარვეზის აღმოფხვერის მიზნით, სააგენტომ მარეგისტრირებელ ორგანოს დამატებით წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულება და სართულებრივი გეგმა ფართების მონიშვნით. წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს მიღებულ იქნა №... და №... გადაწყვეტილებები რეგისტრაციის შესახებ, რომელთა თანახმად, სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განცხადება და კმაყოფილდა და მოთხოვნილ უძრავ ნივთზე დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრების უფლება. შესაბამისად, ქ. თბილისში, ...ის (ყოფ. ...ე) ქ. №12-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: ..., ფართი 403.58 კვ.მ. და უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: ..., სართული 1, ფართი – 119.67 კვ.მ. საკუთრების უფლებით აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე. ვინაიდან სადაც უძრავ ქონებაზე არ ფიქსირდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დადგენილი კერძო პირთა საკუთრების უფლება და არ არსებობდა რეგისტრაციის დამატრიკულებელი რაიმე სახის ფაქტობრივი გარემოება, განხორციელდა ქონებაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

კასატორის მოსახრებით, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრაცია არ განხორციელდებოდა, თუ დადგინდებოდა არსებოთი წინააღმდეგობის არსებობა სარეგისტრაციოდ წარდგენილ მოთხოვნასა და უკვე რეგისტრირებულ უფლებას შორის.

პრივატიზების პროცესთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ქონების განკარგვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს პრივატიზება. პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით. ამასთან, აუქციონის წესით სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას გამოიყენება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011

ნლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“, რომლის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების/სარგებლობაში გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონი ცხადდება პრივატიზების/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებით. აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია თავსდება ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ან/და [www.nasp.gov.ge](http://www.nasp.gov.ge), რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, სააგენტომ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე დაინყო ადმინისტრაციული წარმოება. საქმის სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ სააგენტომ მიიღო ობიექტის პრივატიზაციის თაობაზე გადაწყვეტილება და სააგენტოს 2018 წლის 26 თებერვლის №1/1-483 ბრძანებით დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქუჩის (ყოფ. ....ე) №12-ში მდებარე 403,58 კვ.მ. სარდაფის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ: ...) და ქ. თბილისში, ...ის ქუჩის (ყოფ. ....ე) №12-ში, პირველ სართულზე მდებარე 119,67 კვ.მ. ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: ...) პრივატიზება უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვრა 200000 ლარის ოდენობით. იმ გარემოების თაობაზე, რომ უძრავ ქონებამდე მისასვლელი გზა გადიოდა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნული იყო აუქციონზე განთავსებულ ინფორმაციაში შენიშვნის სახით და მისასვლელი გზის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გავლით არსებობა, დამატებით არ წარმოშობდა სააგენტოს ვალდებულებას აუქციონის მიმდინარეობის თაობაზე, განეხორციელებინა წერილობითი შეტყობინება მიწის ნაკვეთის შესაკუთრის (სს ...) მიმართ.

... და ... ფართების პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში გაიმარჯვა შპს „გ...მ“, მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირო-

ბო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება №... უ.უ., კომპანიის მიერ კანონით დადგენილ ვადაში იქნა შესრულებული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება და 2018 წლის 16 მარტს უძრავ ქონებაზე დარეგისტრირდა ზემო-აღნიშნული სუბიექტის საკუთრების უფლება.

კასატორის მოსაზრებით, 1994 წლის 20 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და შპს ფირმა „ვ...ს“ შორის დადებული პრივატიზების ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულებაში, ასევე 1994 წლის 15 სექტემბრის №2 მიღება-ჩა-ჩაბარების აქტში უფლების ობიექტად გვირაბი/სარდაფი მითითებული არ ყოფილა. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებულ 2 ერთეულ უძრავ ქონებაზე, „ს...ს“ არ გააჩნია საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, გამომდინარე იქიდან, რომ ამ უკანასკნელის საკუთრებად რეგისტრირებული მინის ნაკვეთის (ს.კ....) საკადასტრო საზღვრები არ მოიცავს პრივატიზებულ გვირაბს/სარდაფს. ამასთან, განცხადებაზე თანდართული ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებული „ნითელი ხაზები“, კასატორის მოსაზრებით, არ შეესაბამება მინის ნაკვეთის რეგისტრირებულ მონაცემებს, კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ საკადასტრო გეგმას. ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებული „ნითელი ხაზები“ არ ასახავს საკუთრების უფლების გავრცელების საზღვრებს და არ წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძველს და იგი განსხვავდება საკადასტრო გეგმაზე ასახული მონაცემებისგან.

კასატორის განმარტებით, ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული მონაცემებით, გვირაბი აღრიცხულია ქ. თბილისში, ...ის ქუჩის №12-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, როგორც ლიტ. „ა“-ს სარდაფის სართული. ამავე არქივის სააღრიცხვო მონაცემებზე დაყრდნობით, ზემოხსენებული უძრავი ქონება რეგისტრირებულია ... საკადასტრო კოდით, რისი გათვალისწინებითაც მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, რომ სს „...ის“ საკუთრების უფლება დასტურდება ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით, შესაბამისობაში არ მოდის ამავე არქივში დაცულ მონაცემებთან.

კასატორის მოსაზრებით, ... და ... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ფართებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში მიმდინარე სარეგისტრაციი წარმოებისას შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციო უძრავი ქონება კვეთდა ...

საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს, თუმცა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ მიღებული №... (12.10.2017) და №... (12.10.2017) გადაწყვეტილებებით არ დგინდება, რომ დასარეგისტრირებელი ფართები გადადიოდა სს „...ის“ საკუთრებაში არსებულ ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. მეტიც, ფართების ადგილმდებარებიდან და კონფიგურაციიდან გამომდინარე, შეუძლებელია ისინი შექრილი იყოს ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთის საზღვრებში (სსიპ საჯარო რეგისტრის ეროვნული საგენტოს გადაწყვეტილება შეჩერების თაობაზე მოტივირებული იყო ფართების უკან მომიჯნავე კერძო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების (ს.კ: ..., ..., ... და ...) საკადასტრო საზღვრებში შექრის ვარაუდით/დაშვებით, რაც მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს და საკადასტრო მონაცემების ზედდების ფაქტობრივი გარემოება არ არსებობდა). ასევე, აღნიშნული სარდაფები არ წარმოადგენდა დასახელებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებზე მდებარე შენობებში არსებულ სარდაფებს/მათ ნაწილს. სასამართლო კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის საწინააღმდეგოდ, სრულიად უსაფუძვლოდ დაეყრდნო მოწმის მხოლოდ ზეპირსიტყვიერ განმარტებას, რომ საწყობებში სწორედ სარდაფები მოიაზრებოდა და №2 მიღება-ჩაბარების აქტში ასახულ ძირითად საშუალებათა პასიურ ნაწილში მითითებული – შენობა ღვინო მასალებში იგულისხმებოდა სარდაფები, კერძოდ, ერთი დაბლა, ხოლო მეორე მალლა. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა მოწმე ა. კ-ის განმარტება, სადაც მიუთითებდა, რომ სარდაფს იყენებდნენ ღვინის დასამზადებლად და არასდროს არავინ მოდავებიათ და ასევე არასდროს გადაუხდიათ იჯარა აღნიშნულ ფართზე. ის ფაქტი, რომ არასდროს მოდავებიათ და ასევე არასდროს გადაუხდიათ იჯარა აღნიშნულ ფართზე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკუთრების დამადასტურებელ მტკიცებულებად. მოწმის სახით გამოკითხულმა თ. შ-ებ ვერ დაკაონკრეტა №2 მიღება-ჩაბარების აქტში ასახულ ძირითად საშუალებათა პასიურ ნაწილში მითითებულ ჩამონათვალში იგულისხმებოდა თუ არა სარდაფი და მაღაზია, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროს დაეყრდნო მოწმის ჩვენებას. მოწმეთა ჩვენების გაზიარება, კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლოა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სხვა რაიმე მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის, დღეის მდგომარეობით გადაცემული ფართების უმეტესობა დემონტირებულია და არ არსებობს გადაცემული შენობა-ნაგებობების განაშენიანების ფართთან დაკავშირებული რაიმე მტკიცებულება, რაც თუნ-

დაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს გამოეანგარიშებინა გა-დაცემული შენობა-ნაგებობების და სადაცო უძრავი ნივთების ფარ-თი ერთობლიობაში ქმნიდა თუ არა იმ 3700 კვ.მ. ფართს, რაც ხელ-შეკრულებით და საკუთრების მოწმობით გადაეცა შპს ფირმა „ვ...ს“.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს შეფასებას არქიტექტუ-რისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარ-ტამერნტის 1998 წლის 21 დეკემბრის მიწის ნაკვეთის გეგმასთან და-კავშირებით და აღნიშნავს, რომ იმ ორგანოს მიერ მიწის ნაკვეთის გეგმაზე სარდაფების მითითება, რომელსაც ევალებოდა „ვ...ს“ მი-ერ ხელშეკრულებით გადაცემული უძრავი ქონებებიდან გამომდი-ნარე მხოლოდ მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენა, არ ნარმო-ადგენდა უძრავ ქონებაზე (სარდაფებზე) უფლების დამდგენ დო-კუმერნტს და არ ადასტურებდა შპს „ფირმა ვ...ს“ საკუთრების უფ-ლებას სადაცო ქონებაზე.

კასატორის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია სააგენტოს მიერ წარდგენილი მტკიცებუ-ლებები იმის შესახებ, რომ სადაცოდ გამხდარ ქონებას არანაირი სამართლებრივი და სივრცობრივი კავშირი არ გააჩნია მოსარჩე-ლის ქონებასთან, საქმეზე მას უნდა დაენიშნა შესაბამისი საინ-ჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა და არ შეიძლებოდა დაყრდნობო-და მხოლოდ მოწმეთა ბუნდოვან მეხსიერებაზე დაყრდნობით მი-ცემულ ჩვენებას. ამრიგად, კასატორის მოსაზრებით, როგორც უძ-რავი ქონების რეგისტრაციის, ასევე პრივატიზებისას სააგენტოს არ დაურღვევით სახელმწიფო ქონების განკარგვის კანონით გათ-ვალისწინებული არც ერთი წინაპირობა, სახეზე არ არის არც სა-ქართველოს სამოქალაქო კოდექსით და არც საქართველოს ზოგა-დი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის წინაპირობები, შესაბამისად, ითხოვს სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და სარჩელის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ახალი გადაწყვეტილების მი-ღებას.

კასატორის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას მარეგისტრირებელი ორგანოს ვალდებულებაა, შეისწავლოს უფლების რეგისტრაციის-თვის აუცილებელი გარემოებები და მისცემა მათ სწორი სამართლებ-რივი შეფასებები, რომელიც გულისხმობს როგორც ზოგად სამარ-თლებრივ ჭრილში საკითხის შეფასებას, ისე კონკრეტული კანონ-მდებლობით დადგენილი გარემოებების გამოკვლევასა და შეფა-სებას. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი განმარტავს სარეგისტრაციო დოკუმენტის ცნებას, კერძოდ, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებ-

რივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩევლებრივ წარადგინა ასეთი დოკუმენტი, პრივატიზების ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის განმარტება და შემდგომში მათი მიყუთვნება სასამართლომ განახორციელა მხოლოდ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის სახელზე საკადასტრო კოდით ... რეგისტრირებულია დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით 4946 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობები. სახელმწიფოს სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ნივთებს შემხებლობა არ გააჩნიათ მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ნივთთან, აღნიშნულ ნივთებს მორის არსებობს დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი, რაც დასტურდება სააგენტოს მიერ წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზით, მოსარჩელის ახსნა-განმარტებით და ასევე მის მიერ წარდგენილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით. მითითებული მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევის შემთხვევაში, სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ არათუ მოსარჩელის უძრავი ნივთის რომელიმე წანილს მოიცავდა მესამე პირის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია, არამედ შეუძლებელია მოიცავდეს მას, ვინაიდან მათ შორის დამორჩება 2 მეტრია. კასატორის განმარტებით, სადაც გვირაბები / სარდაფები არც მოსარჩელის ... მიწის ნაკვეთის ქვეშ გამავალ გვირაბებს წარმოადგენენ და ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის შემადგენელი წანილია წანილობრივ სარდაფა, წანილობრივ კი პირველი სართული, რომელიც მხარეთა განმარტებით (მათ შორის მოსარჩელის და მოწმეთა ჩვენებებითაც) არა გვირაბს ან სარდაფს, არამედ მაღაზიას წარმოადგენდა, თუმცა თითქოსდა გვირაბის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტით სასამართლომ აღნიშნული მაღაზიაც მოსარჩელეს მიაკუთვნა ყოველგვარი მოთხოვნისა და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, როცა მოსარჩელის მოთხოვნას ე.წ. გვირაბების და სარდაფების სამართლებრივი საკითხის გადაჭრა წარმოადგენდა.

კასატორის მოსაზრებით, 1994 წლის 20 სექტემბერს პრივატიზების ხელშეკრულებით, 1994 წლის 15 სექტემბრის №2 მიღება-ჩაბარების აქტით და ასევე 1994 წლის 20 სექტემბრის საკუთრების დამადასტურებელი №23/233-კ მოწმობით უდავოდ დადგენილია, რომ შპს ფირმა „ვ...სთვის“ გადაცემული ქონება, კერძოდ, ღვინის ქარხანა „ვ...ს“ შენობა-ნაგებობები განაშენინების ფართით 3700 კვ.მ. მდებარეობს ...ის ქუჩის არა №12-ში, არამედ №14-ში (ყოფილი ვ...ს დალმართ (...ის) №...-ში), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 30 იანვრის №02.51.109 დადგენილებით

კი, შპს ფირმა „ვ...ს“ დაუმაგრდა მის მიერ დაკავებული, ქ. თბილის-ში, ვ...ს დალმართ №...-ში მდებარე ლვინის ქარხნის შენობა-ნაგებობის ტერიტორია, როთაც ასევე დასტურდება, რომ სადავო ფართები „ვ...ს“ არ გადასცემია. გარდა ამისა, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ლვინის ქარხანა „ვ...“. მდებარეობდა ვ...ს დალმართ №...-ში (...ის ქ. №...-ში), რაც სადავო უძრავი ნივთის მისამართის არაიდენტურია.

კასატორის განმარტებით, №02.51.109 დადგენილებით დადგენილების საფუძველზე, არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიულ განვითარების საქმეთა დეპარტამენტის 1998 წლის 21 დეკემბრის მინის ნაკვეთის გეგმით, შპს „ვ...ს“ დაუდგინდა მის მიერ დაკავებული მინის ნაკვეთის საზღვრები, რაც რეგისტრირებული აქვს, თუმცა სადავო ფართების მიკუთვნებისთვის მოსარჩელე მიუთითებს აღნიშნული გეგმის მარცხენა ქვედა კუთხეში გაკეთებულ ნარნერაზე: „მხოლოდ სარდაფი“. აღნიშნული ჩანანერი ვერ მიიჩნევა უფლების ნარმობშობ დოკუმენტად, რადგან შეუძლებელია არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამინისტროს მიერ მომხდარიყო შენობის განკარგვა, რამდენადაც იგი უფლებამოსილი იყო მხოლოდ მინის ნაკვეთის საზღვრის დადგენაზე და არა ქონების განკარგვაზე.

კასატორის განმარტებით, სადავოდაა გამხდარი მრავალბინანი ერთეულის პირველ სართულზე არსებული შენობა და მის ქვეშ არსებული სარდაფი. აღნიშნული ქონება ვ...სა და მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული არცერთი შენობის გაგრძელებას ან შენობის ქვეშ არსებულ გვირაბს და სარდაფებს არ ნარმოადგენს, თუმცა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის უგულებელყოფით, არასწორად მოახდინა ნაკვეთის გეგმითა და მოწმეთა ჩეინებებზე დაყრდნობით სადავო ფართის მოსარჩელეზე მიკუთვნება, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება, სწორედ იმ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც არ შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩეინებებით.

კასატორის მითითებით, აუდიტორული საკონსულტაციო კორპორაცია ინტერ-აუდიტის 1996 წლის 02 მაისის შპს ფირმა „ვ...ს“ სანესდებო კაპიტალში შესატანი ქონების შეფასების აქტის თანახმად, დამფუძნებლებმა სანესდებო კაპიტალში შეიტანეს ქ. თბილისში, ვ...ს დალმართი №10-ში მდებარე ლვინის ქარხანა „ვ...ს“ კუთვნილი ქონება ძირითადი საშუალებების აქტიური და პასიური ნაწილი, რომელიც მოცემულია №2 მიღება-ჩაბარების აქტში. შესაბამისად, შემდგომშიც მხოლოდ ამ ქონების გასხვისება შეიძლებოდა მომხდარიყო.

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 22 მაისის დადგენილებით, შპს „ვ...“. ხელახალი სახელმწიფო რეგისტრაციის შედეგად სამენარმეო რეესტრში დარეგისტრირდა როგორც შპს „ვ...+“ და დამტკიცდა მისი წესდება. 1999 წლის 30 ნოემბრის ამონანერით საჯარო რეესტრიდან (მიწის (უძრავი ქონების) შესახებ; რეგ. №4384/99) დაინდება, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. ...-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4946 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და 4227,9 კვ.მ. შენობა-ნაგებობები, საკადასტრო კოდით: ..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია შპს „ვ...+“-ის სახელზე. 2008 წლის 06 ივნისს შპს „ვ...+–სა“ (გამყიდველი) და სს „ს...ს“ (მყიდველი) შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული ქონება სს „ს...მა“ შეიძინა შპს „ვ...+–ის“ საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ...ის ქ. №...-ში (ყოფ. ...) მდებარე 4946 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა- ნაგებობები ფართობით 4227,9 კვ.მ. 2008 წელს გაიცა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო გეგმა, რომელიც დღეის მდგომარეობითაც ძალაშია და ასახავს მიწის ნაკვეთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით საზღვრებს, ამასთან, მოსარჩელის მიერაც არაერთგზის ცვლილებისთვის წარმოდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი იმეორებს რეგისტრირებულ მონაცემს, კერძოდ, ხსენებული ქონება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 23 ივნისის №... გადაწყვეტილებით რეგისტრირებულია სს „სა...ს“ სახელზე, ხოლო 2010 წლის 01 მარტის უძრავი ქონების (არაფულადი შენატანის) კაპიტალში გადაცემის შესახებ შეთანხმებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „ს...მა“ სს „ს...ს...ს“ კაპიტალში შენატანის სახით გადასცა აღნიშნული უძრავი ნივთი, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 01 მარტის №... გადაწყვეტილებით საკუთრების უფლებით აღირიცხა სს „სპ...ის“ სახელზე. 2010 წლის 02 მარტის უძრავი ქონების (არაფულადი შენატანის) კაპიტალში გადაცემის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, სს „სპ...მ“ გადასცა სს „...ას“. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 05 მარტის №... გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ...ის (ყოფ. ...) ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: ..., საკუთრების უფლებით აღირიცხა სს „...ის“ სახელზე. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 4946. 00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 22, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობები.

კასატორის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მესამე პირის, სს „სა...ს“ პოზიციის გაზიარება იმის თაობაზე, რომ ბანკის მიერ სრული მოცულობით იქნა შეძენილი შპს

„ვ...+–სგან“ ...საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთი, რომელიც მოიცავდა სადაცოდ გამხდარ სარდაფებს/გვირაბებს, ეწინააღმდეგება როგორც ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე სამართლებრივი ნონსენსია. „ვ...სა“ და „ს...ს“ შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე გაცემულ იქნა არაერთგზის ამონაწერი საჯარო რეგისტრიდან, რომლის თანახმადაც, ნაკვეთის საკუთრების ტიპია საკუთრება, დაზუსტებული ფართობი 4946 კვ.მ, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ფართობია 4227.9 კვ.მ. აღნიშნული უძრავი ნივთი კი დატვირთულია სა-ს სასარგებლოდ იპოთეკის უფლებით (იპოთეკას ხელშეკრულება №..., რეგისტრის ნომერი №..., დამოწმების თარიღი..... ნოტარიუსი პ. შ-ა), ასევე რეგისტრირებულია ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ოფციის ხელშეკრულებითან (რეგისტრის ნომერი №... დამოწმების თარიღი, ნოტარიუსი პ. შ-ა). შესაბამისად, სს „ს...მა“ ქონება შეიძინა იმ ფარგლებში, რაც იყო რეგისტრირებული და რაც დასტურდებოდა ამონაწერით. ასევე გაცემული იყო საკადასტრო გეგმა, რომლის თანახმად, დღეის მდგრამარებითაც მოსარჩელეს 4946 კვ.მ. აქეს რეგისტრირებული იდენტურ საზღვრებში. ამდენად, გაუგებარია მოსარჩელის პოზიცია, რომ გაასხვისა ის უძრავი ნივთი, რაც მას არ ჰქონდა რეგისტრირებული და სხვა უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილის – კორპუსის პირველ სართულზე არსებული ფართი და სარდაფი განკარგა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლო „სა...ს“ პოზიციას ისე დაეთანხმა, რომ არ შეაფასა, რომ ბანკი, რომელიც უძრავ ნივთს დაზუსტების და საჯარო რეგისტრში რეგისტრაციის გარეშე იპოთეკით არ ტვირთავს და არც გარიგებებს დეს მხარეებთან, რატომლაც ყოველგვარი წერილობითი მტკიცებულებების შეფასების გარეშე, გარიგებების, ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის შეფასების გარეშე, ეყრდნობა ბანკის პოზიციას, რომელმაც შეიღლობილ კომპანიას დაუდასტურა ფართის მიყიდვა, წერილობითი მტკიცებულებების და რეგისტრში რეგისტრაციის გარეშე. შეუძლებელია, „ს...ს“ მიეყიდა ის ფართი, რაც მას თავად არ ეკუთნოდა საკუთრების უფლებით.

კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მიხედვით, შენობა-ნაგებობა არ არის ცალკე უფლების ობიექტი და ის განეკუთვნება მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს. მოსარჩელის მტკიცება, რომლითაც აცხადებს, რომ ნაგებობა, რომელიც სხვა ნაკვეთზე მდებარეობს, ხოლო თავის რეგისტრირებულ ნაკვეთზე არ მდებარეობს სადაცოდ ფართი, ეწინააღმდეგება როგორც უძრავი ნივთის არსს, ასევე საქმეში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, მისი საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტებს, ვინაიდან შენობა-ნაგებობისთვის ღვინის ქარხნისთვის გა-

მოეყო მიწა და ამ მიწაზე არ მდგომ შენობა-ნაგებობაზე აცხადებს პრეტენზიას – თანასაკუთრებაში არსებულ კორპუსის ფართზე, რაც ასევე ადასტურებს, რომ შპს „...ის“ მოთხოვნა უსაფუძვლოა.

კასატორის განმარტებით, რეგისტრაციის შედეგად მარეგისტრირებელი ორგანო ამზადებს ამონანერს, ხოლო უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრში საკუთრების უფლებადაურეგისტრირებელ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების, ასევე საკადასტრო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციისას – დამატებით საკადასტრო გეგმას. სააგენტო მიუთითებს „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, კადასტრულ რუკაზე მოცემული უნდა იყოს მიწის და სხვა უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომერი, საზღვრები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, სიტუაციური (გზები, მდინარეები, არხები, ელექტროგადამცემი ხაზები, ხევები, ხრამები და სხვა) და კველა ის გეოდეზიურ-ტოპოგრაფიული მაჩვენებელი, რაც აუცილებელია საზღვრების დადგენისათვის, ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე სერვისუტის საზღვრები. საკადასტრო რუკა ასახავს გაფართოებული მონაცემების მქონე ინფორმაციას არსებული მომიჯნავე უძრავი ნივთებისა თუ გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის თაობაზე და იგი როგორც აღნიშნული განმარტებიდანაც იკვეთება, ემსახურება მხოლოდ მიწის ნაკვეთის საზღვრების დაზუსტების ხელშეწყობას. ამდენად, საკადასტრო რუკა არ შეიძლება განიმარტოს, როგორც საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა აღნიშნული საკადასტრო რუკა არ ასახავს რომელიმე კონკრეტული უძრავი ნივთის სამართლებრივ მდგომარეობას და იგი ფაქტობრივად ზოგადი სიტუაციის ამსახველი ნახაზია.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ საკადასტრო რუკა მზადდებოდა მხოლოდ დაინტერესებული პირის მითითებით. ხოლო, კონკრეტულ უძრავი ნივთთან დაკავშირებით საკადასტრო მონაცემებისა თუ სამართლებრივი მდგომარეობის ამსახველი არის საკადასტრო გეგმა. სწორედ აღნიშნული განასხვავებს საკადასტრო რუკას საკადასტრო გეგმისგან. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საკადასტრო გეგმა ძალაშია, ასახავს მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული ქონების დაზუსტებულ საკადასტრო მონაცემებს, იმ მონაცემებს, რომელიც მისა უფლების დამდგენი დოკუმენტით არის განსაზღვრული. ამასთან, 2016, 2018 და 2019 წლებში ცვლილების რეგისტრაციისთვის მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საზღვრები (სარეგისტრაციო განცხადებები) ანუ კადასტრული გეგმა იდენტურია რეგისტრირებული მონაცემებისა.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის (საკადასტრო გეგმის მომზადების პერიოდში მოქმედი რედაქციით) მე-8 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტების თანახმად, საკადასტრო გეგმა არის მიწის ნაკვეთის საკადასტრო და გრაფიკული მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, მისი ფართობის, კონფიგურაციის, დანიშნულების, საკონრდინატო ბადის, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისა (მათ შორის, მშენებარე) და მათი სართულიანობის, ასევე ამ მიწის ნაკვეთზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა). საკადასტრო გეგმა არ გაიცემა, თუ მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები დაუზუსტებელია. რეგისტრაციის მიზნებისთვის, უძრავი ნივთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემები ნიშნავს ამ ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილ, საჯარო რეესტრში დაცულ საკადასტრო ინფორმაციას. სხვა შემთხვევაში უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები მიიჩნევა დაუზუსტებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ „... საკადასტრო კოდზე 2008 წლის 15 ივლისს მომზადებულ საკადასტრო გეგმაზე, მარეგისტრირებელ ორგანოს მიერ, სარდაფების ასახვა არ/ვერ განხორციელდა, ვერ გახდება საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველი“, რაც ყოველგვარ ლოგიკას და სამართლებრივ დასაბუთებას მოკლებულია. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს აღნიშნული განმარტება მხოლოდ მაშინ იქნებოდა საფუძვლიანი, თუ შპს „ვ...ს“ სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდგომ შენობა-ნაგებობას შეეხებოდა საკითხი, რასაც კანონმდებლი არსებით შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა, თუმცა დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არ მდებარეობს სადავო ფართი და შეუძლებელიცაა მდებარეობდეს, რადგან სადავო ფართები კორპუსის წითელ ხაზებშია მოქცეული, კორპუსის პრეველ სართულზე მდებარე ფართის და სარდაფზეა დავა, შესაბამისად როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტობრივადაც შეუძლებელია აღნიშნული სადავო ფართების საკადასტრო გეგმაზე ასახვა, რადგან არ მდებარეობს „ვ...ს“ მიერ დაზუსტებულ საკადასტრო მონაცემებში (მიწის ნაკვეთის ფარგლებში), რასაც ასევე ადასტურებს ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა №... განცხადება, რომელშიც მიეთითა სარჩელში მითოთებული საფუძვლები და მოთხოვნილ იქნა ცვლილების რეგისტრაციის განხორციელება. აღნიშნულ განცხადებაზე სარეგისტრაციო

წარმოების შეჩერების შესახებ №... (21.06.2018) გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში წარმოდგენილია აზომვითი ნახაზი, რომელიც კონფიგურაციულად არ ემთხვევა საჯარო რეესტრის მონაცემებით არსებულ საკადასტრო გეგმას და მიუთითა, რომ იმისათვის, რომ განხორციელდეს უძრავი ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს აზომვითი ნახაზი საკადასტრო გეგმის შესაბამისად. მხოლოდ აღნიშნულ ფარგლებში უდგინდება მოსარჩევე მხარეს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და შესაბამისად, მხოლოდ მის ფარგლებშია ცვლილების განხორციელებაც შესაძლებელი.

კასატორის მოსაზრებით, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რისი შეფასებაც არ მოხდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ, არის ის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ განახორციელა სადაც უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერება, ხოლო ადგილზე დათვალიერების შედეგი მხარის მიერ აპელაციის ეტაპზე სადაც არ გამხდარა. უმნიშვნელოვანესია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო თავად დარწმუნდა იმაში, რომ დავა ეხებოდა არა (მოსარჩელის) ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ საზღვრებში არსებულ შენობა-ნაგებობებს, არამედ ... საკადასტრო კოდით კორპუსის პირველ სართულზე არსებულ ფართს და სარდაფზე დავას, რომელთან დაკავშირებითაც მოსარჩელეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნია. ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, როგორც მოსარჩელე მიუთითებს, ორდონიანი სარდაფიდან მხოლოდ მეორე დონეა მესამე პირებზე რეგისტრირებული, თუმცა სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა, რატომ ვერ ახორციელებს მოსარჩელე თუნდაც პირველი დონის სარდაფის რეგისტრაციას, სწორედ იმ მიზეზით, რომ სადაც ფართზე, მათ შორის დაურეგისტრირებელ ფართზე, საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი არ გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუ (მოსარჩელისთვის) საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი თავდაპირველი ხელშეკრულებაა, რომლითაც ...ის №14-ში მდებარე „ლვინის-ქარხანა ვ..“. განიკარგა, გაურკვეველია რატომ არის ...ის ქ. №12-ში მდებარე კორპუსის ფართზე უფლების დამდგენი დოკუმენტი. ასევე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რომ თუ განკარგვის საგანი ღვინის ქარხანა იყო, როგორც დამოუკიდებელი უფლების ობიექტი, რომელსაც დაუმაგრდა მიწა, რატომ არის თანასაკუთრებაში არსებული კორპუსის ნაწილი „ვ...ს“ საკუთრება და თუ მხარები თავადვე ადასტურებენ, რომ დავა არ ეხება საკადასტრო გეგმაზე არსებულ შენობა-ნაგებობებს, სწორია თუ არა

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც საკითხი იმით გადაწყვიტა, „რომ დამატებითი საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია ან/და შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი მარეგისტრირებელ ორგანოში არ წარდგენილა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ... საკადასტრო კოდზე გაცემულ საკადასტრო გეგმაზე არ განხორციელდა/არ მოხდა სარდაფების ასახვა დაუდგენელი საფუძვლით“.

კასატორის მოსაზრებით ასევე უმნიშვნელოვანესია შეფასდეს, რომ თუ მიღება-ჩაბარების აქტში ასახული შენობა-ნაგებობა ...ის ქ. №14-ში მდებარე შენობა-ნაგებობას ასახავს, როგორ მოახდინა სასამართლომ წერილობითი მტკიცებულების უგულებელყოფა მოწმეთა ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებით, როცა ერთი მოწმე გამორიცხვის მეთოდით განმარტავს შენობა-ნაგებობას დავინომასალების სარდაფად, ერთი კი ცალსახად მიუთითებს, რომ არც ერთი შენობა-ნაგებობა, რომელიც მიღება-ჩაბარების აქტშია, არ არის სადავო ფართი. ასევე, სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ დავა ეხება სარდაფს/გვირაბს, რომელიც არც ერთი საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტით მხარეს არ გადასცემია, რატომ აკუთვნებს სასამართლო პირველ სართულზე არსებულ ფართს, რომელსაც მოწმებიც კი განმარტავენ, რომ მაღაზიის შენობა იყო და არა გვირაბი ან სარდაფი.

კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა ხელშეკრულების განმარტების საჭიროება, რადგან ის არ შეიცავდა ბუნდოვან და ორაზროვან განმარტებებს და ცალსახადა არის განსაზღვრული ხელშეკრულების საგნის მისამართი - ვ...ს დაღმართი №... (...ის №...), სწორედ აღნიშნულ მისამართზე განთავსებული შენობა-ნაგებობები იყო განკარგვის საგანი. მითითებული იყო ობიექტი დვინის ქარხანა, და ის, რომ შენობა განაშენიანების ფართით განიკარგა, რაც გულისხმობდა დამოუკიდებელი უფლების ობიექტს. სადავო ფართი კი, ...ის ქ. №12-ში მდებარე კორპუსის პირველი სართული და სარდაფია. ამდენად, მოწმეთა ჩვენებით იმის მიკუთვნება, რაც განკარგვის საგანი არ იყო, ხელშეკრულების საგნის ცვლილება, საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

რაც შეეხება სადავო რეგისტრაციებს, საკასაციო საჩივარში კასატორი მიუთითებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-8, მე-9 მუხლებზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლზე და აღნიშნავს, რომ სააგენტომ სრულიად კანონიერად მიიღო რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილე-

ბები. სააპელაციო სასამართლო კი ვერ უთითებს კანონის ვერც ერთ მუხლს, თუ რომელი საფუძვლით შეეძლო სააგენტოს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება ან შეწყვეტა. სააპელაციო სასამართლო ზოგად ჭრილში მიუთითებს, რომ მოწმეთა ჩვენებების და საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ სააგენტომ არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და ისე მიიღო გადაწყვეტილება. აღნიშნული მითითება უსაფუძვლოა მაშინ, როცა სასამართლომ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ერთ-ერთი შენობა მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით განმარტა სხვაგვარად და მიაკუთვნა მოსარჩელეს და სააგენტოს კი კანონის და ფაქტების გამოყველებით მიუთითა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, ასევე არასწორად გამოიყენა და არასწორად განმარტა კანონი, რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა შედეგად. შესაბამისად, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევები და სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ზეპირი მოსმენა დაინიშნა 2021 წლის 4 ნოემბერს 11:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა პოზიციების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების შემდეგ გარემოებათა გამოყენება:

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველ-

თაო უფლებას. საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმების, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხსასათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეული უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი ნების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები.

საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც; კერძოდ, ადამიანის უფლება-თა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. ევროპული კონვენციის აღნიშნული დებულება „უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განცხადებელს აქვს საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მიზანში“ „ლეგიტიმური მოლოდინი“ (მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. France), No. 11810/03, 6.10.03; პლეხანოვი პოლონეთის წინააღმდეგ (Plechanow v. Poland), No. 22279/04, 7.7.09).

საკუთრების ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ საგნებზე საკუთრების უფლებით. „...ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რომელიც ქმნის ქონებას, ქონებრივი ღირებულებები, მათ შორის უფლება მოთხოვნაზე, რაც კანონიერი მოლოდინის საფუძველზე წარმოიშობა და პირის საკუთრების ეფექტურ გამოყენებას განაპირობებს, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.07.2010წ. №1/5/489-498 განჩინება, II-2). საკუთრება მოიცავს როგორც მატერიალურად არსებულ ქონებას, ასევე აქტივებს (ქონებრივ უფლებებს), მათ შორის მოთხოვნებს, რომელთა მიმართაც მომჩინან შეუძლია ამტკიცოს, რომ აქვს საკუთრებით სარგებლობის გაგრძელების შესაძლებლობის სულ მცირე გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი (Hamer v. Belgium, no.21861/03, §§75, 76, ECHR 2007-V(extracts)).

„საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს მისი კანონიერად შეძენის ფაქტი. ზუსტად ეს გარემოებაა გადამწყვეტი კანონიერი საკუთრების უფლების არსებობისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, საკუთრების უფლებით სრულყოფილად სარგებლობა და მისი ეფექტური დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებასთან. ნიშანდობლივია, რომ მართლმსაჯულების არსი ყველა შემთხვევაში კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებებში ვლინდება. ცხადია, სიმართლის დადგენა არც ერთადერთი, და არც ნებისმიერი შესაძლო გზით დაცვადი ინტერესია, თუმცა მართლმსაჯულების მიზნის მისაღწევად, „...პროცესი უნდა ავლენდეს სიმართლის დადგენის მაქსიმალურ ძალისხმევას. ჭეშმარიტება აშკარად უნდა ვეძებოთ, როცა „სიმართლის პოვნა“ ან „სიმართლისა და სამართლიანბის“ მიღწევა არის პროცესის გაცხადებული მიზნები“ (იხ. Thomas Weigend, Should We Search for the Truth, and Who Should Do It, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, 2011, p.390).

აღსანიშნავია, რომ სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისთვის სასამართლოს ესავიროება, „ობიექტური ფუნდამენტი“, რომელსაც ქმნის სასამართლოში წარდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები. თუ მტკიცებულება ძალიან მყარია და არ არსებობს მის სანდოობაში ეჭვის შეტანის რისკი, მცირ-

დება სხვა მტკიცებულებით მისი გამყარების საჭიროება (იხ.: inter alia, Khan v. the United Kingdom).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის სწორად გადაწყვეტილათვის, არსებითი მნიშვნელობის გარემოებას წარმოადგენს შემოწმდეს 1994 წლის სექტემბერში სახელმწიფოს მიერ მოსარჩელეზე, როგორც შპს ფირმა „გ...ს“ უფლებამონაცვლეზე პრივატიზებული ქონება, მოიცავდა თუ არა იმ უძრავ ქონებას, რომლის რეგისტრაციაც სადაც აქტებით 2017 წელს განხორციელდა ჯერ სახელმწიფოს, ხოლო შემდგომში მესამე პირის – შპს „გ...ს“ სახელზე.

სწორედ მითითებული საკითხის დადგენას უკავშირდება დავის სამართლიანად და კანონიერად გადაწყვეტა. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მოწმეთა ჩვენებების ერთობლიობაში შეფასებით უნდა დადგინდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღვინის ქარხანა „გ...ს“ პრივატიზების ფარგლები.

საკასაციო პალატა პრივატიზების პროცესის საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების საწყის ეტაპზე მოქმედ „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 09.08.1991წ. კანონზე (სამოქმედოდ შემოღებული იქნა 01.10.1991წ., ხოლო ძალადაკარგულია – „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის გამოქვეყნებიდან (09.07.1997წ.)), რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სოციალური საფუძვლები. აღნიშნული კანონის მიზანი იყო მოქალაქეთა, მათი გაერთიანებებისა და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შექნის პროცესის უზრუნველყოფა და სამართლებრივად მონესრიგება. კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი „პრივატიზებას“ განმარტავდა, როგორც მოქალაქეთა, მათი გაერთიანებებისა და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექნას, რის შედეგადაც, ისინი თავის თავზე იღებდნენ ამ უფლებებიდან გამომდინარე ქონებრივ, საფინანსო და სხვა ვალდებულებებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო კარგავდა პრივატიზებული ქონების (ობიექტების) ფლობისა, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას, ხოლო სახელმწიფო ორგანოები – მათი მართვის უფლებას. ხსენებული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პრივატიზების ობიექტს წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი. სახელმწიფო

საწარმოთა პრივატიზების განმახორციელებლის უფლებამოსილება ენიჭებოდა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს (მუხ. 4. 1). კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო საწარმოს მუშაქებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, იღებდა გადაწყვეტილებას საწარმოს კონკურსის წესით გაყიდვის შესახებ (მუხ. 14).

პრივატიზების ფორმებს განსაზღვრავდა ამავე კანონის მე-9 მუხლი, რომლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, პრივატიზება ხორციელდებოდა საწარმოთა შესყიდვით კონკურსის ან აუქციონის წესით; კონკურსის წესით საწარმოს გაყიდვის მიზანი იყო საწარმოზე საკუთრების უფლების იმ მყიდველისთვის მინიჭება, რომელიც შესთავაზებდა გამყიდველისათვის ყველაზე უკეთეს პირობებს. საპრივატიზაციო საწარმოთა შესახებ ინფორმაცია, ზემოაღნიშნული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქვეყნდებოდა პრესაში, კონკურსის ჩატარების ან აქციების თავისუფალი გაყიდვის დათქმულ თარიღამდე ერთი თვით ადრე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი, იმპერატიულად ადგენდა საწარმოს შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში აუცილებლად შესატანი ცნობების ჩამონათვალს, მათ შორის, საწარმოს მიერ დაკავებული მინის ფართობის და მასზე განთავსებულ ნაგებობათა დახასიათების, საწარმოს გაყიდვის პირობების მითითების აუცილებლობას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, პრივატიზების განხორციელებამდე, შესაბამის უფლებამოსილ პირს ევალებოდა საპრივატიზებო ქონების სრული აღნერა და შესაბამისი ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნება. ამდენად, ცალსახაა, რომ პრივატიზების კანონიერად წარმართვის ვალდებულება და მისი მტკიცებაც პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს ევალებოდა. „საქართველოს რესაუბლივაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პრივატიზების პროცესში სახელმწიფო იძლეოდა გამყიდველის, მყიდველის, შუამავლისა და სხვა სუბიექტების მხრივ უფლებათა და მოვალეობათა დაცვის გარანტიას. პრივატიზების კანონდარღვევით ჩატარება, მართალია, გამორიცხავდა ასეთი გარანტიების არსებობას, თუმცა ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო იღებდა ზომებს დადებულ გარიგებათა გასაბათილებლად. აღნიშნული დანაწესი კიდევ უფრო ნათლად მიუთითებს სახელმწიფოს განსაკუთრებულ ვალდებულებებზე პრივატიზების კანონიერად განხორციელების თვალსაზრისით, ჩინააღმდეგ შემთხვევაში მასვე ეკისრებიდა გარიგების ბათილად გამოცხადების შესახებ შესაბამისი ზომების მიღება. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლები მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელეს უნესებს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ვალდებულებას (მტკიცება იმისა, თუ რა ქონება შეიძინა), თუმცა პრივატიზების პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით, კასატორის, ამ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, როგორც პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს უფლებამონაცვლის მტკიცების ტვირთის წარმოადგენდა და ესაბუთებინა განკერძოებული ქონების კონკრეტული რაოდენობრივი და ფუნქციური მახსისათებლები, რაც თავისთავად მოიაზრებს იმ გარემოების დადასტურებასაც, თუ რა ქონება გასხვისდა ან რა ქონება დარჩა სახელმწიფოს გამგებლობაში შემდგომი განკარგვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი ადგენდა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესაძლებლობას აქციების (პაის) გაყიდვის გზით. ამ მიზნით, სახელმწიფო საწარმო წინასწარ უნდა გარდაქმნილიყო სახელმწიფო სააქციო საზოგადოებად (ამხანაგობებად), ხოლო მათი რეგისტრაციის შემდეგ, საწარმოთა აქციების პაკეტი გადაეცემოდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდს, საკონკურსო საწყისებზე გაყიდვის მიზნით. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის №288 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული „სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ დებულებით“ სავალდებულოდ ჩაითვალა პრივატიზაციის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით სააქციო საზოგადოების წესდების, ქონების შეფასების აქტისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება (დებულების მე-6 პუნქტი). ამასთან, დებულების მე-10 პუნქტით დადგინდა, რომ სააქციო საზოგადოების ქონების შემადგენლობა მისი დაარსების მომენტში აისახებოდა შეფასების აქტში. მე-13 პუნქტის მიხედვით, დამტკიცებული საწარმოს პრივატიზაციის გეგმა წარმოადგენდა მისი აქციების ემისის პროსპექტს (წერილობით შეტყობინებას, ფასიანი ქაღალდის გასაყიდად შეთავაზების მიზნით).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული საკანონ-

მდებლო მოწესრიგების პირობებში, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა სახელმწიფო საწარმოს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა და შემდგომ აქციების გამოსყიდვა, რა დროსაც სავალდებულო იყო ქონების შეფასების აქტისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში არ არის დაცული არც პრივატიზაციის გეგმა, არც შეფასების აქტი, რაც სასამართლოს მისცემდა განკერძოებული ქონების ზუსტად იდენტიფიცირების შესაძლებლობას. პრივატიზების პროცესთან დაკავშირებით, საქმეში წარმოდგენილია შხოლლდ მოსარჩელის მიერ მოძიებული მტკიცებულებები; კერძოდ, 1994 წლის 15 სექტემბრის №2 მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ასახავს პრივატიზებული ქონების, მათ შორის, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალს და მათ დასახელებებს. აღნიშნული აქტის საფუძველზე, 1994 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და შპს ფირმა „ვ...ს“ შორის დაიდო პრივატიზების ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მყიდველს გადაეცა ქ. თბილისში, ვ...ს დაღმართ №10-ში მდებარე ღვინის ქარხანა „ვ...ს“ შენობა-ნაგებობები განაშენიანების ფართით 3700 კვ.მტრი. ამავე ხელშეკრულებით დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება მყიდველს გადაეცა 1994 წლის 15 სექტემბრის №2 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სადაც მითითებული იყო გადაცემული შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი; მათ შორის: შენობა ჩამოსახმის; შენობა საორთქლე ქვაბის; შენობა ლაბორატორიული; შენობა ღვინომასალების; შენობა ღვინომასალების; შენობა საკომპრესორო; შენობა ადმინისტრაციული; შენობა მზა ნაწარმის; შენობა საწყობის. მიღება-ჩაბარების აქტისა და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 1994 წლის 20 სექტემბერს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ გაიცა №23/233-კ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის თანახმად, შპს ფირმა „ვ...ს“ საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ვ...ს დაღმართ №10-ში მდებარე ღვინის ქარხანა „ვ...“.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-10 პუნქტზე, რომლის თანახმად, განსაკუთრებულ პირობად განისაზღვრა შპს ფირმა „ვ...ს“ მიერ კონკურსის ძირითადი პირობების შესრულება, მათ შორის, პროფილის შენარჩუნება არანაკლებ 3 წლის ვადით, მომუშავე პერსონალის შენარჩუნება 2 წლის ვადით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ხელშეკრულებაში მითითებული საკონკურსო პირობის არსე-

ბობა იმის დასტურია, რომ ლვინის ქარხანა „ვ...ს“ გასხვისება მოხდა მისი ფუნქციური დანიშნულებისათვის აუცილებელი მოძრავ-უძრავი ქონებითა თუ სხვა საშუალებებით, რაც უზრუნველყოფდა ლვინის წარმოების უნიკალურობას პროფილს შენარჩუნების თვალ-საზრისით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტებით ვერ დგინდებოდა სადაც ქონების ფუნქციური დანიშნულება და ამ მიმართებით ქონების განმკარგავ ადმინისტრაციულ ორგანის რამე ღირებულებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები სასამართლოსთვისა არ წარმოუდგენია, სააპელაციო სა-სამართლომ დავის მართებულად გადაწყვეტისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის დადგენა მონმეთა გამოკითხვის გზით უზრუნველყო; დაიკითხენ ის პირები, რომელთაც სამართლებრივი ურთიერთობა გააჩნდათ ლვინის ქარხანა „ვ...სთან“; კერძოდ:

2021 წლის 19 მაისს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით გამოკითხული თ. ბ-ის ჩვენების მიხედვით, ქარხანა/წარმოება არსებობდა დაახლოებით მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან. თავად მუშაობა დაიწყო 1986 წლიდან მთავარი მექანიკოსის პოზიციაზე, რა დროსაც სანარმო ექვემდებარებოდა კვების მრეწველობის სამინისტროს და შედიოდა „თ. ში“. იყო სამი წარმოება, კერძოდ ა...ში (სათაო ოფისი), პ...ის ქუჩასა და ასევე ე...ზე (№2 წარმოება). მოწმის განმარტებით, 1992 წელს მოხდა „დან“ გამოყოფა და შეიქმნა დამოუკიდებელი სანარმო/ქარხანა. 1994 წელს გამოცხადდა პრივატიზაცია და კონკურსში მონანილეობით, ასევე იმ უპირატესობით, რომ იყვნენ ქარხნის თანამშრომლები, გამოცხადდნენ გამარჯვებულად. მოწმის განმარტებით, ლვინის ქარხნის ფუნქციონირება სარდაფების გარეშე არის წარმოუდგენელი. შეუძლებელია 40.000 ბოთლი ლვინის ყოველდღიური დამზადება სარდაფების გარეშე. ნახევარი მილიონი დეკალიტრი ლვინო ინახებოდა როგორც ქვედა, ასევე ზედა სარდაფში, რომლებიც ერთიანდებოდა ასასვლელებით. ცემენტის ავზები (ე.ნ. ბუტები) ინახებოდა ქვედა სარდაფში, ხოლო ზედა სარდაფში 15 და 30 ტონიანი, ასევე სხვადასხვა მოცულობის ავზები (ე.ნ. ცისტერნები). ხდებოდა ლვინის გაფილტვრა, გადაცემა, ჩამოსხმა და რეალიზაცია, გაყვანილი იყო რკინიგზა ლვინის გამოსატანად. მოწმემ ასევე მიუთითა, რომ სარდაფებთან ერთად ჰქონდათ მაღაზია კორპუსის პირველ სართულზე, სადაც დაახლოებით 1992 წლიდან ენეოდნენ ლვინის რეალიზაციას. გვირაბის წანილი იყო მაღაზია, მაღაზიიდან გვირაბში იყო შესასვლელი. ასევე მიუთითებს, რომ მაღაზიას ჰქონდა მეორე შესასვლელი, რომლითაც არ სარგებლობდნენ. მოწმე მიუთითებს, რომ „ვისკის“ მაღაზიის კედლამდე იყო მათი, კერძოდ, ქარხნის სა-

კუთრება. ამასთან, განმარტა, რომ №2 მიღება-ჩაბარების აქტში ასახულ ძირითად საშუალებათა პასიურ ნაწილში მითითებულ შენობა ღვინომასალებში იგულისხმებოდა სარდაფები.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე მოწმის სახით გამოკითხული ა. კ-ის განმარტებით, ქარხანაში 1985 წლიდან დაინიშნა დირექტორის პოზიციაზე. მისი მითითებით, სარდაფის იყენებდნენ ღვინის დასამზადებლად და არასდროს არავინ მოდავებიათ, ასევე არასდროს გადაუხდიათ იჯარა აღნიშნულ ფართზე. მოწმის განმარტებით, 1994 წლის 15 სექტემბრის №2 მიღება-ჩაბარების აქტში ასახულ ძირითად საშუალებათა პასიურ ნაწილში მითითებულ შენობა ღვინომასალებში იგულისხმებოდა სარდაფები. მაღაზიდან გასასვლელი იყო გვირაბში და ასევე შედიოდა პირველ სართულზეც. ღვინის ქარხნის ტერიტორიაში შედიოდა ღვინის მაღაზიაც.

მოწმის სახით გამოკითხული თ. შ-ეის განმარტებით, ქარხნის შემადგენელი ნაწილი იყო ორდონიანი სარდაფი და არასდროს არავინ მოდავებიათ და ასევე არასდროს გადაუხდიათ იჯარა აღნიშნულ ფართზე. ამასთან, აკონკრეტებს, რომ მისამართი იყო ...ის ქ. №... და ღვინის მაღაზია ნარმოადგენდა ქარხნის შემადგენელ ნაწილს, სადაც ადრე განთავსებული იყო ქარხნის ლაბორატორია, ამჟამად კი ზემოთ არის კორპუსი. ვერ აკონკრეტებს №2 მიღება-ჩაბარების აქტში ასახულ ძირითად საშუალებათა პასიურ ნაწილში მითითებულ ჩამონათვალში იგულისხმებოდა თუ არა სარდაფი და მაღაზია.

საკასაციო პალატა მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებას, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ღირებულად მიიჩნევს, თუმცა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის მხოლოდ მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობა, დაუშევებელია. მოწმის ჩვენების სარწმუნობას განაპირობებს ის, თუ რამდენად თანმიმდევრულია იგი და შესწევს ნარსულში მომხდარი ფაქტების ობიექტურად გადმოცემის უნარი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. The Ludi v. Switzerland, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია A, №238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და The Schuler-Zgraggen v. Switzerland გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის და-

მოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება მონმის ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.

საკასაციო პალატა საქმეში დაცული პრივატიზაციის მასალებში ასახული ინფორმაციის მოწმეთა ჩვენებებთან შეჯერების საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად დადასტურებულად მიიჩნევს სადავო უძრავი ქონებების (გვირაბი და მაღაზიის შენობა) ფუნქციურ კავშირს ღვინის წარმოებასთან, შესაბამისად მხარეთა შორის დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების მე-10 პუნქტში გათვალისწინებული განსაკუთრებული პირობიდან გამომდინარე იზიარებს მოსარჩელის არგუმენტს იმის შესახებ, რომ ღვინის ქარხანა „ვ...ს“ განკერძოება განხორციელდა ღვინის წარმოებასთან ფუნქციურად დაკავშირებულ უძრავ-მოძრავ ქონებასთან, მათ შორის სადავო „მაღაზიისა“ და „გვირაბის“ ნაგებობასთან ერთად. უდავო ფაქტია ისიც, რომ გვირაბის ტიპის მიწისქვეშა საინუინირ კომუნიკაცია, ე.წ. საძველე, ღვინის წარმოების ტექნილოგიურ პროცესთან დაკავშირებულ ნაგებობას წარმოადგენს, რითაც ბუნებრივად ნარჩუნდება იდეალური ტემპერატურა და ტენიანობა ღვინის დასაძველებლად.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ ფაქტობრივ გარემოებას კიდევ უფრო ამყარებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილი შპს ფირმა „ვ...ს“ საკუთრებაში გადაცემულ ქონებაზე მიწის ნაკვეთის საზღვრების დამდგენი დოკუმენტები, რომლებშიც სადავო ფართი მოცემულია შპს ფირმა „ვ...ს“ საკადასტრო რუკასა და მიწის ნაკვეთის გეგმაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სადავო უძრავ ქონებებს კონსტრუქციული და სივრცობრივი კავშირი გააჩნიათ მოსარჩელის საკუთრებასთან და მხოლოდ მისი გამოყენებითაა შესაძლებელი მათში შესვლა.

მითითებული გარემოების დასადასტურებლად პალატა ასევე მოიხმობს მოცემულ საქმეზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებულ დასკვნას (№004069918, 14.06.186.), რომლის თანახმად ქ. თბილისში, ...ის ქუჩა (ყოფ. ...ე) №...-ში მდებარე ... საკადასტრო კოდით (მესაკუთრე შპს „...“. რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს, კერძოდ, შენობა №1/1-ს, №2/1-ს და ასევე სენინებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ერთსართულიან შენობა-ნაგებობას, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არაა, კონსტრუქციული კავშირი გააჩნიათ ..., ..., ... და ... მიწის ნაკვეთების ქვეშ ორ დონეზე არსებულ სარდაფებთან, რაც გულისხმობს საერთო კედლებისა და მათზე მოწყობილი ლიობების (კარე-

ბის და ფანჯრების) არსებობას. ამავე დასკვნის მიხედვით, ..., ..., ... და ... მიწის ნაკვეთების ქვეშ ორივე დონეზე არსებულ სარდაფებში (გვირაბებში) მოხვედრა ფაქტობრივი მდგომარეობით შესაძლებელია მხოლოდ ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქმნების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1998 წლის 21 დეკემბერს მომზადებული თბილისში, ... დაღმართი, №10-ში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვ...“-ს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის გეგმაზე ნაჩვენებ სარდაფს კავშირი ჰქონდა ლვინის ქარხანა „ვ...ს“ ტერიტორიასა და მათზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებთან. შესაბამისად აღნიშნული სარდაფი (გვირაბი) წარმოადგენდა ლვინის ქარხანა „ვ...ს“ ტერიტორიის შემადგენელ ნაწილს.

ამდენად, პალატა მიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზი უდაცვოდ ადასტურებს სადაც უძრავ ქონებებზე მოსარჩელის მართლზომიერ მფლობელობას და შემდგომში საჯარო რეესტრში მათი რეგისტრაციის პირობები საკუთრებად ტრანსფორმირების სამართლებრივ შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ მართალია, საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების დამდგრენ ინსტანციას, თუმცა საკასაციო პალატა შინაგანი რწმენის ფორმირებს თვალსაზრისით ასევე მიუთითებს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე სს „სა...ს“ წარმომადგენლის მიერ გამოქვეყნებულ იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ 2007 წლის 16 მარტის აუდიტორულ დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით შეფასდა ქ. თბილისში, ...ის ქ. №....ში განთავსებული მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები და მიმდებარე „გვირაბის ტიპის არსართულიანი თაღოვანი სარდაფი“. მითითებული დასკვნის მიხედვით, 880 კვ.მ. ორსართულიანი თაღოვანი სარდაფის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 530 000 აშშ დოლარს. აღნიშნული კიდევ უფრო ამყარებს სასამართლოს დასკვნას სადაც ქონების მოსარჩელის კუთვნილების შესახებ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ მიწის ქვეშა ნაგებობის მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს მიღმა არსებობა არ გამორიცხავს მასზე მოსარჩელის საკუთრების უფლებას, რადგანაც ამ ტიპის დანიშნულების შენობის კუთვნილებისთვის არ არის აუცილებელი მას გააჩნდეს განაშენიანებული ზედაპირის ორთოგონიალური პროექციის ფართობი. ამ გარემოებაზე ასევე მიუთითებს არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის 1998 წლის 21 დეკემბრის მიწის ნაკვე-

თის გეგმაზე აღნიშნული წარწერა: „მხოლოდ სარდაფი“.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმად, თუ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ განკარგულია მხოლოდ შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთის გარეშე, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება რეგისტრირდება ამ შენობა-ნაგებობასა და მის მიერ დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართის შესაბამისად.

ამდენად ცალსახაა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე რეგისტრაციის უფლება დაკავშირებულია შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართზე.

აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი არის მიწის ნაკვეთის შენობა-ნაგებობებით დაფარული, განაშენიანებული ზედაპირის ფართობი. ამგვარადვე განმარტავდა ამჟამად ძალადაკარგული „სივრცითი მონიტორინგისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი განმარტებული იყო, როგორც მიწის ნაკვეთის კაპიტალური შენობა-ნაგებობებით დაფარული, განაშენიანებული ზედაპირის ფართობი. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად კი, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობს ნარმოადგენდა მიწის ნაკვეთის შენობა-ნაგებობებით დაფარული, განაშენიანებული ზედაპირის ორთოგონალური პროექციის ფართობი; რაც შეეხება მიწისქვეშა შენობას, ამავე დადგენილების მე-3 მუხლის 38-ე პუნქტის საფუძველზე განმარტებული იყო როგორც შენობა, რომელსაც არ გააჩნია მიწისპირა ან მიწის-ზედა სართული.

აღნიშნული ნორმების ერთობლივი ანალიზი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქმნის იმ გარემოების მტკიცების საფუძვლს, რომ მიწისქვეშა შენობა, რომელსაც არ გააჩნია მიწისზედა განაშენიანება, შესაძლებელია ნარმოადგენდეს ცალკე უფლების ობიექტს მის ზედა სივრცეზე განთავსებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაციის გარეშე.

რაც შეეხება სადაც აუქციონის კანონიერების შეფასებას, საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ სა-

ქართველოს კანონზე, რომლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონება არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში კი კანონმდებელი სახელმწიფო ქონების განკარგვად მოიაზრებს სახელმწიფო ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემას, პრივატიზებას, მართვის უფლებით გადაცემას, გაცვლას, რეალიზაციას, ლიზინგის ფორმით გაცემას, განანილებას და განადგურებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამდენად ცალსახაა, რომ სახელმწიფოს მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შესაძლებლობა გააჩნია, ანუ იმ ქონების, რომელიც არ წარმოადგენს კერძო პირთა საკუთრებას. პალატა დამატებით მიუთითებს, რომ მართალია, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაურეგისტრირებელი/გაუსხვისებელი სახით არსებული ქონების სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე და ამისთვის რაიმე სახის უფლების დადასტურების თვალსაზრისით მტკიცების ვალდებულება არ გააჩნია, თუმცა აღნიშნულ უფლებაში არ მოიაზრება სახელმწიფოს მიერ უკვე განკერძოებული ქონების კვლავ სახელმწიფოს სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლება.

ამდენად, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ქ. თბილისში, ...ის (ყოფ. ....) ქ. №12-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. ..., ფართი 403.58 კვ.მ.) და ამავე მისამართზე მდებარე 119.67 კვ.მ. ფართის (ს.კ. ...) სახელმწიფოს საკუთრების უფლებით უკანონოდ აღრიცხვის შესახებ, რადგანაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს არ ჰქონდა ამ ქონების შემდგომი განკარგვის თაობაზე 2017 წლის 11 სექტემბრის №1/1-2209 ბრძანების მიღების უფლება, როგორც უკვე აღინიშნა, სადაც უძრავი ნივთები წარმოადგენდა სს „...ის“ საკუთრებას. შესაბამისად ცალსახაა, რომ ასევე ბათილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 თებერვლის №1/1-483 ბრძანების შესაბამისად, სადაც უძრავი ნივთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამართული აუქციონი და მისი შედეგები – 2018 წლის 16 მარტს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „გ...ს“ შორის სადაც უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზების №... უ.უ. ნასყიდობის ხელშეკრულება და სადაც უძრავი ქონე-

ბის განკარგვასთან დაკავშირებით მიღებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებები.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიციას შემძენის კეთილსინდისირების ინსტიტუტზე მითითებით სარჩელის უარყოფის შესახებ და აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერი შემძენის სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის მსგავსად, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ადმინისტრაციულ სამართალში მიზნად ისახავს კანონიერი ნდობის დაცვის პრინციპი, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს აღმტურველი აქტის ბათილად გამოცხადებას. შესაბამისად, აქტის ბათილად ცნობის საკითხი განიხილება არა მხოლოდ კანონიერების, არამედ, მისი საწინააღმდეგო – კანონიერი ნდობის თვალსაზრისით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი ყოველთვის არ გამორიცხავს ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები გათვალისწინებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ დამატებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც. ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები ვლინდება ზაკ-ის ისეთ დანაწესებში, როგორიცაა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭების ფარგლებში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის დაუშვებლობა და სხვა. ამდენად, ცალსახაა, რომ საჯარო ორგანო მთელი თავისი ადმინისტრაციული რესურსით მოწოდებული უნდა იყოს უზრუნველყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება და არ დაუშვას სხვა პირთა უფლებების არამართლზომიერი შეზღუდვა. მითუმეტეს გასათვალისწინებელია ზაკ-ის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შესახებ მოსაზრებები არ წარმოადგენს ერთადერთ მოთხოვნას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ. სამართლურთიერთობის ყველა მონაწილის პატივსადები ინტერესის სამართლიანი ბალანსის მიღწევა შესაძლებელია არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული მოთხოვნების გათვალისწინი-

ნების პირობებშიც. გასათვალისწინებელია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიც, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ასევე ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც დაიდო ხელშეკრულება. შესაბამისად, კეთილსინდისიერ შემძენად მესამე პირის, შპს „გ...ს“ მიჩნევისათვის, რომელიც სამართლებრივად არც კი ხდის სადაცოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი არ აქვს), არ არის საქმარისი იმაზე მითითება, რომ შეძენისას ქონება სახელმწიფოსა კუუტრებად იყო აღრიცხული, რა გარემოებაც ასევე მართებულად შეაფასა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ (დამატებით იხ.სუსგ საქმე №ბს-600-589(კ-12), 14.11.2013 წ.).

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, რის გამოც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა არ საჩივრდება.

# რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების კანონისას

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელმისამართის მინისტრის მიერ მიმდინარე მომსესხებელი

№ბს-28(კ-22)

8 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომსესხებელი),  
ქ. ცინცაძე,  
თ. ოქროპირიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 20 სექტემბერს ზ. შ-ემ სასარჩელო განცხადებით  
მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხების –  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ...ს მუნიციპა-  
ლიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიზაზე საკუთრების უფლე-  
ბის აღიარების კომისიის მიმართ.

მოსარჩელებ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი ...ს მუნი-  
ციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთ-  
რების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 16 აგვისტოს №179  
განკარგულება და აქედან გამომდინარე, „რეგისტრაციაზე უარის  
თქმის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018  
წლის 22 აგვისტოს №... გადაწყვეტილება; ბ) ბათილად იქნეს ცნო-  
ბილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26  
ივლისის №... გადაწყვეტილება, რომლითაც აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის საკუთრებად დარეგისტრირდა ...ს მუნიციპალიტე-  
ტის ...ის ტერიტორიაზე არსებული მინის ნაკვეთები, ამოირიცხოს  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებიდან მოთხოვნილი  
400 კვ. მეტრი მინის ნაკვეთი; გ) დაევალოს ...ს მუნიციპალიტეტში  
თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლე-  
ბის აღიარების კომისიას 1 თვის ვადაში ხელახლა განიხილოს სადა-  
ვო მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხი და  
მიიღოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაემაყოფილების შესახებ.

სარჩელის თანახმად, ...ის თემის საკურებულოს გამგებლის 2003  
წლის 7 აგვისტოს №28 გადაწყვეტილების საფუძველზე, ზ. შ-ემ

სოფ. ...ის მთაზე „...ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე შემოლობა 400 კვ.მ სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და აიშენა 26,72 კვ.მ ფართის საზაფხულო და-სასაცენტრელი და საცხოვრებელი ხის სახლი, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და ისგვენებდა წლების განმავლობაში. 2007 წლის 31 ოქტომბერს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ზ. შ-ემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითებული მინის ნაკვეთის მის საკუთრებად აღიარების მოთხოვნით. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ ჩათვალია საკმარისად მინის რეგისტრაციისთვის წარდგენილი მასალები და კანონის შესაბამისად, მიმართა ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, რომელმაც მოსარჩელეს 2018 წლის 16 აგვისტოს №179 განკარგულებით უარი უთხრა საკუთრების უფლების აღიარებაზე. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე კი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 22 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით, ზ. შ-ეს უარი ეთქვა მოთხოვნილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 20 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მე-სამე პირად ჩაეჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ქელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პი-რად ჩაიგდა სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 2 მარტის გან-  
ჩინებით ზ. შ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნ-  
ველყოფის მიზნით ყადაღა დაედო აჭარის ავტონომიური რესპუბ-  
ლიკის საკუთრებაში არსებულ 400 კვ.მ სადაცვო მიწის ნაკვეთს, მდე-  
ბარე: ...ს რაიონი, ..., ჩრდილოეთით, (...), საკადასტრო კოდი №....

ყვეტილება; ბ) ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად დარეგისტრირდა ...ს მუნიციპალიტეტის ...ის ტერიტორიაზე №... საკადასტრო კოდის მქონე, ...კვ.მ მიწის ნაკვეთი და საკუთრებიდან ამორიცხა ზ. შ-ის მიერ საკუთრების უფლების აღიარებამოთხოვნილი 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი; გ) მოპასუხებს – ...ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლის, სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ზ. შ-ის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მის მიერ მოთხოვნილ 400 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 26.72 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობის (მდებარე: ..., ...) რეგისტრაციას, შესაბამისი ადმინისტრაციული აქტების გამოცემა დაევალათ.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით აპელანტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე მათი სამართლებრივი შეფასებები და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-2, მე-3, 51-ე მუხლებზე, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე მითითებით განმარტა, რომ საქმეში არსებული მასალის მიხედვით, 2017 წლის 26 ივნისს, ზ. შ-ემ №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ...ში, ...ზე მდებარე 400 კვ.მ მიწის

ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 26.72 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. განცხადებას დაურთო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, მიწის ნაკვეთის მოსაზღვრების ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობები. ამავე განცხადებით ზ. შ-ემ თანხმობა განცხადა დოკუმენტაციის აღიარების კომისიაზე გადაგზავნის შესახებ. 2017 წლის 18 აგვისტოს ზ. შ-ის მიერ დამატებით წარდგენილ იქნა საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ელ. ვერსია. ...ის თემის საკრებულოს გამგებლის რ. წ-ის 2003 წლის 7 ივლისის №18 გადაწყვეტილებით, ზ. შ-ეს ნება დაერთო, მთაში, სახელდობრ „...ზე“ აეგო სეზონური საცხოვრებელი-დასასვენებელი სახლი, კერძოდ, ...ის დასავლეთით. ამავე გადაწყვეტილებით ზ. შ-ეს დაევალა ...ის შემოგარენის ეკოლოგიური პირობების დაცვა, რომ არ მომხდარიყო ტყის, წყლებისა და ტბის დაბინძურება. ამდენად, დადგენილია, რომ ზ. შ-ეს 2003 წლიდან ...ს მუნიციპალიტეტის ...ის მთაში, „...ის“ ტერიტორიაზე აშენებული აქვს და სარგებლობს საზაფხულო საცხოვრებელი 24 კვ. მეტრი ფართის შენობა-ნაგებობით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, 2017 წლის 31 ოქტომბერს №... მიმართვით ...ს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში საკითხის განსახილველად გადაუგზავნა ზ. შ-ის (3/6 ...) მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი, აგრეთვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებით მოიძებული დოკუმენტაცია უძრავ ნივთზე მდებარე ..., სოფელი ....

...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 13.06.2018 წ. №14/194 წერილით მიმართა აფარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს და აცნობა, რომ მოთხოვნილი იყო ...ზე მდებარე 400 კვ.მ არასასოფლო-სამუშაოების დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ 26.72 კვ.მ საცხოვრებელ სახლზე ზ. შ-ის საკუთრების უფლების აღიარება, რომ საჯარო რეესტრის 25.10.2017 წლის №... სამსახურებრივი ბარათის მიხედვით, ასაღიარებლად მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ზედდებაში იყო დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებულ ერთ უძრავ ნივთთან (ს/კ ..., მესაკუთრე სახელმწიფო), რომელიც რეგისტრირებული იყო აფარის აგტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 02.03.2009 წლის №01-22/737 მომართვის საფუძველზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდი-

ნარე, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს ეთხოვა მო-  
საზრება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 28.06.2018  
წლის №01-01-10/2846 წერილით ...ს მუნიციპალიტეტში თვითნე-  
ბურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კო-  
მისას ეცნობა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა  
და ეკონომიკის სამინისტროს, ტურიზმის განვითარების ხელშეწ-  
ყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ჰქონდა ...ს მუნიციპა-  
ლიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ...ის სარეკ-  
რეაციო ადგილის კეთილმოწყობისა და განვითარების პროექტის  
განხორციელება, რისთვისაც შესყიდული იყო საპროექტო დოკუ-  
მენტაცია, ხოლო მისი რეალიზება იგეგმებოდა 2018-2019 წლები-  
სათვის. პროექტის განხორციელების მიზნებიდან გამომდი-  
ნარე სამინისტრომ აღნიშნული წერილით მოითხოვა, რომ ...ს მუნი-  
ციპალიტეტის მერიას საპროექტო არეალში არ დაეშვა უკანონო  
მშენებლობების ფაქტები და მიზის ნაკვეთების განკარგვა. ამდე-  
ნად, ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე სა-  
კუთრების უფლების აღიარების კომისიის ეთხოვა ...ს მუნიციპა-  
ლიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული ...ის სარეკრე-  
აციო ადგილის კეთილმოწყობისა და განვითარების საპროექტო  
არეალში მოხვედრილი მინის ნაკვეთების განკარგვის დროს გაეთ-  
ვალისწინებინა ზემოაღნიშნული გარემოებები.

...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე სა-  
კუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 26 ივლისის  
დათვალიერების აქტით ირკვევა, რომ „კომისიის“ წევრებმა ასა-  
ლიარებელი მინის ნაკვეთის ადგილზე შესწავლის მიზნით დაათვა-  
ლიერეს სოფელ ...ში მცხოვრებ ზ. შ-ის მიერ განცხადებით მოთ-  
ხოვნილი მინის ნაკვეთი, რომელიც საკადასტრო აზომვითი ნახა-  
ზის მიხედვით, შეადგენს 400 კვ.მ-ს და მასზე განთავსებულია  
26.72 კვ.მ შენობა-ნაგებობა. დათვალიერებით დადგინდა, რომ მი-  
ნის ნაკვეთი არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. მასზე  
განთავსებული შენობა-ნაგებობა (არასაცხოვრებელი) შემოკავე-  
ბული არ არის და მდებარეობს ...ის მიმდებარედ.

...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე სა-  
კუთრების უფლების აღიარების კომისიის 16.08.2018 წლის №... გან-  
კარგულებით ზ. შ-ეს (3/6 ...) უარი ეთქვა, ...ის მიმდებარედ არსე-  
ბულ 400.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკ-  
ვეთსა და მასზე არსებულ 26.72 კვ.მ საცხოვრებელ სახლზე სა-  
კუთრების უფლების აღიარებაზე, იმ დასაბუთებით, რომ ზ. შ-ის  
მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებდა „ფიზიკური და კერძო სამართლის  
იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ

მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, ასაღიარებლად მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ზედდებაშია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2009 წლის 2 მარტის №01-22/737 მიმართვის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2010 წელს სახელმწიფოზე რეგისტრირებულ დაუზუსტებელ მონაცემებთან (ს/კ ...), აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 28 ივნისის №01-01-10/2846 წერილის მიხედვით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ...ს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული ...ის სარეკრეაციო ადგილის კეთილმოწყობისა და განვითარების პროექტის განხორციელება, რისთვისაც შესყიდულია საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო მისი რეალიზება იგეგმება 2018-2019 წლებისათვის. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 5<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის განხილვა, გათვალისწინებული უნდა იქნეს მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით- ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან...“

...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 16.08.2018 წლის №14/255 წერილით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეცნობა, რომ ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით, მოქალაქე ზ. შ-ეს (პ/ნ ...) უარი ეთქვა ...ის მიმდებარედ არსებულ 400.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ 26.72 კვ.მ საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების აღიარებაზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 22 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ზ. შ-ეს (პ/ნ ...) ...ში, ...ის მიმდებარედ 400.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 26.72 კვ.მ შენობა-ნაგებობის, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციაზე უარი ეთქვა იმ დასაბუთებით, რომ სარეგისტრაციო წარმოებისას ვერ იქნა მოძიებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, ასევე, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ ზ. შ-ის განცხადება, თვითნებურად დაკავებულ მიწის

ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, არ იქნა დაკ-მაყოფილებული.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „ფიზიკური და კერძო სა-მართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ 2007 წლის 31 ოქტომბრის კანონის თანახმად, სწორედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი ექვემდე-ბარება საკუთრებაში რეგისტრაციას. სახელმწიფოს საკუთრებაში მიწის რეგისტრაცია არ შეიძლება ჩაითვალოს მესამე პირზე გან-კარგულად და ხელი შეუშალოს დამკავებლის საკუთრებაში რეგის-ტრაციას. საქმეში არსებული მასალით, დადგენილია, რომ ...ს მუ-ნიციპალიტეტის საკურებულოს 10.07.2019 წლის №32 განკარგულე-ბით ...ს მუნიციპალიტეტის საკურებულოში არსებული ...ის ჩრდილო-ეთით (...) მდებარე უძრავი ქონება (1 642 709 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ-ით ...) საკუთრებაში გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შემდგომში სარეკრე-აციო ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2019 წლის 19 ივლისს №... წერილით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სადაც აღნიშნა, რომ ...ს მუნიციპალიტეტის საკურებულოს 10.07.2019 წლის №32 გან-კარგულებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გა-დაეცა ...ს მუნიციპალიტეტის საკურებულოში არსებული, ...ს მუნი-ციპალიტეტში, ...ის ჩრდილოეთით (...) მდებარე ... კვ.მ არასასოფ-ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ ...). ამავე წერი-ლით საჯარო რეესტრს ეთხოვა შეეტანა ცვლილებები ზემოხსენე-ბული უძრავი ქონების (ს/კ ...). საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და აჭარის ა/რ საკუთრებად დაერეგისტრირებინათ ...ს მუნიციპალი-ტეტში, ...ის ჩრდილოეთით (...) მდებარე ... კვ.მ არასასოფლო-სამე-ურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ ...). ამ დროისთვის ზ. შ-ეს უკვე ჰქონდა მიმართული განცხადებით (13.10.2017 წლის რეეს-ტრის №... მიმართვა) საკუთრების უფლების აღიარების კომისიი-სათვის, რომლითაც ითხოვდა, როგორც საცხოვრებელ სახლზე (26.72 კვ.მ), ისე 400 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკო-ნომიკის სამინისტროს 2017 წლის 24 ოქტომბრის №10-10/4775 წე-რილით ...ს მუნიციპალიტეტის გამგეობის თვითნებურად დაკავე-ბულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ეცნობა შემდეგი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 18.10.2016 წლის №189 განკარგულებით დამტკიცებული პროგრა-მის შესაბამისად, კურორტ გოდერძის განაშენიანების რეგულირე-

ბის გეგმით (გრგ) განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაინტერესებულ ფიზიკურ პირთა საკუთრებაში, მართლზომიერ ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირებისა და კომპენსაციის გაცემის ან/და მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 17 ნოემბრის №... ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება..., რომ გრგ-ს ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთები დაზუსტებული მონაცემებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ფიზიკური/იურიდიული პირების საკუთრებად. მიუხედავად იმისა, რომ გრგ-ს ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთები რეგისტრირებულია დაუზუსტებელი მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად, აჭარის ა/რ მთავრობის 2016 წლის 18 ოქტომბრის №189 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში ხდება ფიზიკური პირების საკუთრებაში, მართლზომიერ ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და შესაბამისი კომპენსაციის გაცემა, ვინაიდან დაგეგმილია და მიმდინარეობს გრგ-ს მიხედვით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამავე წერილით ეთხოვა...ს მუნიციპალიტეტის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე უფლების აღარების კომისიას თუ გრგ-ს ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება მოთხოვნილი აქვს ფიზიკურ პირს ან/და შემდგომში მოითხოვს აღიარებას, მესაკუთრის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანხმობის გარეშე არ ულიარონ საკუთრების უფლება, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო შემოდგომში არ მოახდენს ფიზიკური პირების მიერ სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთზე ზედდების მოხსნის/რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებს მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტზე და განმარტა, რომ №... საკადასტრო კოდის მქონე ...კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელშიც ასევე შედის ზ. შ-ის მიერ აღიარება მოთხოვნილი 400 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცა აღნიშნულ უძრავ ქონებაზე დავის მიმდინარეობის პროცესში, რაც ცნობილი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროსათვის და ენინააღმდეგება უძრავი ქონების რეგისტრაციის წესს. ამასთან, საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების უფლების აღრიცხვა არ ნიშნავს სახელ-

მწიფოს მიერ მის განკარგვას და ამის შედეგად მიწის ნაკვეთის სამართლებრივი სტატუსი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებთან მიმართებაში არ იცვლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინორა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩინორებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, უდავოა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 29 ოქტომბრის №01-01-3/325 ბრძანების შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, ...ს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული ...ის მიმდებარე ტერიტორიის (ს/კ ...) კეთილმოწყობითი სამუშაოები ექსპლუატაციაშია მიღებული. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის 5<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარვის სტრატეგიულ გეგმასთან.

კასატორის მითითებით, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილია ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათი დანიშნულების, მდებარეობისა თუ სტატუსის გათვალისწინებით, არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე განცხადების განხილვისას თავდაპირველად უნდა შეისწავლოს მიწის ნაკვეთის სახეობა, სტატუსი და კანონის 5<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს მოთხოვნის სივრცის დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების პირობებთან შესაბამისობა. მითითებული საკითხის გამოკვლევა მიზნად ისახავს, გამოირიცხოს საკუთრების უფლების აღიარება ისეთ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არ ექვემდებარება

აღიარებას. მას შემდეგ, რაც კომისია დაადგენს, რომ მიწის ნაკვეთი ექვემდებარება აღიარებას, მან უნდა შეისწავლოს, რამდენად აკმაყოფილებს ის კანონის მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაითვალისწინა მიწის ნაკვეთის აღიარების შესაძლებლობა და შეფასდა მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული დარღვევა.

კასატორი მიუთითებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 3.2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-19 მუხლებზე, „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ სადაც მიწის ნაკვეთი ...ის მიმდებარე ტერიტორიაა, რომელიც მდებარეობს ...სთან დაახლოებით 15 მეტრზე.

კასატორის მითითებით, უტყუარად არ არის დადგენილი, სადაც მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა მიიჩნევა თუ არა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსთვის გათვალისწინებულ შენობად. მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხის ობიექტი, რომელიც ექცევა „დროებითი შენობის“ და არა „შენობის“ დეფინიციაში, რაც გამორიცხავს ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას. სასამართლომ არ გაიზიარა ...ს მუნიციპალიტეტში თვითხებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენლის განმარტება, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი არ არის შემოსაზღვრული მყარი სასაზღვრო მიჯნით, რაც დასტურდება საკუთრების უფლების აღიარების კომისიის დათვალიერების აქტით, ხოლო მასზე არსებული ნაგებობა არ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს. ამასთან, ნაგებობაში არ არის შეყვანილი ელექტროენერგია, არ არის საკვამური და არ აქვს ფანჯარა. აგრეთვე, აღნიშნული ნაგებობა დასახლებული პუნქტიდან, სადაც ნამდვილად დგას სეზონური სახლები, დაშორებულია დაახლოებით 1.50 კილომეტრით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნაგებობა არის დაახლოებით 20 კვ.მ ფართის ერთი ოთახი და მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტი, რომ ის წლების განმავლობაში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა აღნიშნულ შენობაში, ვერ იქნება სიმართლე. ამასთან, განმცხადებლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც სასამართლოს გაუჩენდა შინაგან რწმენას იმის თაობაზე, რომ იგი ფლობდა და სარგებ

ლობდა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთით. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ ზ. შ-ის მიერ აღიარებამოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მთლიანად შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ...კვ.მ მიწის ნაკვეთში, ანუ, ზ. შ-ის მიერ აღიარებამოთხოვნილ მიწის ნაკვეთს მოსაზღვრები არ ჰყავს და მოსაზღვრე ტერიტორიაზე სხვა და-ინტერესებული პირებიც კი არ არსებობენ, არათუ მესაკუთრები. შესაბამისად, უსაფუძვლოა სასამართლოს განმარტება, რომ მო-სარჩელებ წარადგინა მიწის ნაკვეთის მოსაზღვრების ნოტარია-ლურად დამოწმებული თანხმობები. ასევე საყურადღებოა, რომ 2003 წელს მოქმედი, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, თემის საკ-რებულო არ იყო უფლებამოსილი გაეცა წებართვა სახლის აშენება-ზე. ამასთან, ...ის თემის საკრებულოს გამგებლის 2003 წლის 7 ივ-ლისის გადაწყვეტილების არსებობით უტყუარად ვერ დადასტურ-დება 2003 წლიდან ზ. შ-ის მიერ საცხოვრებელი სახლის აშენებისა და სარგებლობის ფაქტი. შესაბამისად, არ არსებობდა №... სარე-გისტრაციო გადაწყვეტილების ბათილობის სამართლებრივი სა-ფუძვლები, რადგან სარეგისტრაციო წარმოებისას ვერ იქნა მოძი-ებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, ასევე, თვითნებურად და-კავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომი-სიის მიერ ზ. შ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

კასატორის განმარტებით, არ არსებობდა სსიპ საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი. სასამართლო არ აკონკრეტებს, სარეგისტრაციო გადაწყვეტილება უძრავი ქონების რეგისტრაცი-ის რომელ კონკრეტულ წესთან მოდის წინააღმდეგობაში და ფაქ-ტობრივად, მოცემული გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ერთადერთ საფუძვლად მიუთითებს იმაზე, რომ №... საკა-დასტრო კოდის მქონე ...კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელშიც ასევე შე-დის ზ. შ-ის მიერ აღიარებამოთხოვნილი 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცა აღნიშ-ნულ უძრავ ქონებაზე დავის მიმდინარეობის პროცესში, რაც ცნო-ბილი იყო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის. ამასთან, სასამართლო არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სა-რეგისტრაციო განაცხადის წარმოების ეტაპზე სარჩელის უზრუნ-ველყოფას ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა. საჯარო რეეს-ტრში ქონებაზე არ იყო რეგისტრირებული სასამართლოს მიერ კა-ნონით დადგენილი წესით დადებული ყადაღა, უფლების განკარ-გვის შეზღუდვა და აკრძალვა.

საყურადღებოა, რომ სასამართლოს განმარტებით საჯარო რე-

ესტრში მიწის ნაკვეთზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების უფლების აღრიცხვა არ ნიშნავს სახელმწიფოს მიერ მის განკარგვას და ამის შედეგად მიწის ნაკვეთის სამართლებრივი სტატუსი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებთან მიმართებაში არ იცვლება. პალატის აღნიშნული განმარტება გამორიცხავს აჭარის რეგისტრაციის გაუქმების №... სარეგისტრაციო გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს. ამასთან, ჩანაწერის უსწორობაზე შსჯელობა, ისეთ პირობებში, როდესაც საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი მოსარჩელის მიერ არაა შედავებული, გამორიცხავს ჩანაწერის ბათილობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №... გადაწყვეტილების (რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად დარეგისტრირდა ...ს მუნიციპალიტეტის ...ის ტერიტორიაზე №... საკადასტრო კოდის მქონე, 1642709.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი) ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საკუთრებიდან ზ. შ-ის მიერ საკუთრების უფლების აღიარებამოთხოვნილი 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის ამორიცხვის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად; დანარჩენ ნაწილში (იმ ნაწილში, რომლითაც გასაჩივრებულია (ა) ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 16 აგვისტოს №179 განკარგულებისა და „რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 22 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ბ) მოპასუხებისთვის – ...ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლის, სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ზ. შ-ის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მის

მიერ მოთხოვნილი 400 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 26.72 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობის (მდებარე: ..., ...) რეგისტრაციას, შესაბამისი ადმინისტრაციული აქტების გამოცემის დავალება)) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და მოცემულ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შესავლისა და გასაჩივრებული განჩინების (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №... გადაწყვეტილების (რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად დარეგისტრირდა ...ს მუნიციპალიტეტის ...ის ტერიტორიაზე №... საკადასტრო კოდის მქონე, ...კვ.მ მიწის ნაკვეთი) ნაწილობრივ ბათილად (ცნობისა და საკუთრებიდან ზ. შ-ის მიერ საკუთრების უფლების აღიარებამოთხოვნილი 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის ამორიცხვის ნაწილში) კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაწვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემ-დგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

დადგენილია, რომ 2017 წლის 26 ივლისს, ზ. შ-ემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს, რომლითაც მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე, 400 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 26.72 კვ. მეტრი ფართის შენობა-ნაგებობაზე, მდებარე: ..., .... ზ. შ-ემ სარეგისტრაციო განცხადებას თან დაურთო საკადასტრო აზომვითი ნახაზი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები, ერთობლივი განცხადება დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. 2017 წლის 18 აგვისტოს ზ. შ-ის მიერ დამატებით ნარდგენილ იქნა საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ელ. ვერსია.

ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ 2017 წლის 11 სექტემბრის №... სარეგისტრაციო გადაწყვეტილებით შეჩერებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოება და მოსარჩელეს განემარტა, რომ უნდა დადგენილიყო უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენ-

ტურობა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წლის 11 სექტემბრის №... წერილით გამოითხოვა ინფორმაცია ...ს გამგეობიდან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ...ს მუნიციპალურიტეტის გამგეობის 2017 წლის 18 ოქტომბრის №09/9085 წერილით სარეგისტრაციო სამსახურს ეცნობა, რომ წარდგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მინის ნაკვეთი არაიდენტურია მინის ნაკვეთის საკადასტრო/აზომვით ნახაზზე ასახული მინის ნაკვეთის.

დადგენილია, რომ ზ. შ-ემ 2017 წლის 16 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და იმაზე მითითებით, რომ მინის ნაკვეთით სარგებლობს, როგორც თვითნებურად დაკავებული და არ აქვს საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი, მოითხოვა საკითხის განსახილველად გადაგზავნა ...ს მუნიციპალიტეტის თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისათვის.

დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წლის 31 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით ზ. შ-ის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაცია 400 კვ.მ მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 26.72 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობაზე, მდებარე: ..., ..., მასალები საკითხის განსახილველად გადაუგზავნა ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლებს აღიარების კომისიას და განმარტა, რომ სარეგისტრაციო მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღებოდა 2017 წლის 31 ოქტომბრის №... წერილზე პასუხის მიღებისთანავე.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 28 ივნისის №01-01-10/2846 წერილი, რომლითაც ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ეცნობა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 25 ივნისის №01/2749 წერილით ...ს მუნიციპალიტეტის მერიას აცნობა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილი აქვს ...ს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული ...ის სარეკრეაციო ადგილის კეთილმოწყობა და განვითარების პროექტის განხორციელება, რისთვისაც შესყიდულია საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო მისი რეალიზება იგეგმება 2018-2019 წლებისათვის. პროექტის განხორციელების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამინისტრომ აღნიშნული წე-

რილით მოითხოვა, რომ ...ს მუნიციპალიტეტის მერიას საპროექტო არეალში არ დაეშვა უკანონო მშენებლობის ფაქტები და მინის ნაკვეთების განკარგვა.

დადგენილია, რომ ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 16 აგვისტოს №179 განკარგულებით ზ. შ-ეს უარი ეთქვა ...ის მიმდებარედ არსებულ 400 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთსა და მასზე არსებულ 26.72 კვ.მ საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების აღიარებაზე. უარის თქმის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ ასაღიარებლად მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ზედდებაშია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2009 წლის 2 მარტის №01-22/737 მიმართვის საფუძველზე, საჯარო რეგსტრის ეროვნულ სააგენტოში 2010 წელს სახელმწიფოზე რეგისტრირებულ დაუზუსტებელ მონაცემებთან (ს/კ ...). აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 28 ივნისის №01-01-10/2846 წერილის მიხედვით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილი იყო ...ს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული ...ის სარეკრეაციო ადგილის კეთილმოწყობისა და განვითარების პროექტის განხორციელება, რისთვისაც შესყიდული იყო საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო მისი რეალიზაცია იგეგმებოდა 2018-2019 წლებისათვის.

საქმეში ნარმოდებენილია ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 16.08.2018 წლის №14/255 წერილი, რომლითაც სსიპ საჯარო რეგსტრის ეროვნულ სააგენტოს ეცნობა, რომ ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით, მოქალაქე ზ. შ-ეს უარი ეთქვა ...ის მიმდებარედ არსებულ 400.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთსა და მასზე არსებულ 26.72 კვ.მ საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების აღიარებაზე.

დადგენილია, რომ საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 22 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ზ. შ-ეს ...ში, ...ის მიმდებარედ 400.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 26.72 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციაზე უარი ეთქვა იმ დასაბუთებით, რომ სარეგისტრაციო წარმოებისას ვერ იქნა მოძიებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, ასევე, თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ ზ. შ-ის განცხადება, თვითნებურად

დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, არ იქნა დაკმაყოფილებული.

ამდენად, ...ს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 16 აგვისტოს №179 სადავო განკარგულებით დგინდება, რომ განმცხადებელს საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი ეთქვა შემდეგი საფუძვლებით: მოთხოვნილი მინის ნაკვეთი ზედდებაში იყო სახელმწიფოზე რეგისტრირებულ დაუზუსტებელ მონაცემებთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 28 ივნისის №01-01-10/2846 წერილის მიხედვით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილი იყო ...ს მუნიციპალიტეტის აღმინისტრაციულ საზღვარში არსებული ...ის სარეკრეაციო ადგილის კეთილმოწყობისა და განვითარების პროექტის განხორციელება, რისთვისაც შესყიდული იყო საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო მისი რეალიზაცია იგეგმებოდა 2018-2019 წლებისათვის. შესაბამისად, მითითებულ იქნა კანონის 5<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოთხოვნის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების პირობებთან შესაბამისობა.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით დგინდება, რომ ...ს რაიონში, ...ის ჩრდილოეთით (...) მდებარე, №... საკადასტრო კოდის მქონე 1690759 კვ.მ მინის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრებად (უფლების დამდგენი დოკუმენტები: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2009 წლის 2 მარტის №01-22/737 მიმართვა; აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2009 წლის 10 თებერვლის №01-22/397 მიმართვა).

დადგენილია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილებით, ...ს რაიონში, ...ის ჩრდილოეთით (...) მდებარე, №... საკადასტრო კოდის მქონე ... კვ.მ მინის ნაკვეთი (დაზუსტებული) დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრებად, ნაკვეთის ნინა ნომერი – ..., უფლების დამდგენი დოკუმენტები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2009 წლის 2 მარტის №01-22/737 მიმართვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2009 წლის 10 თებერვლის №01-22/397 მიმართვა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 13 თებერვლის №7/8853 წერილი.

დადგენილია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 4 ივლისის №... გადაწყვეტილებით, ...ს რაიონში,

...ის ჩრდილოეთით (...) მდებარე, №... საკადასტრო კოდის მქონე ... კვ-მ მინის ნაკვეთი (დაზუსტებული) დარეგისტრირდა სსიპ ...ს მუნიციპალიტეტის საკუთრებად, ნაკვეთის წინა ნომერი – ..., უფლების დამდგენი დოკუმენტი: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 24 ივნისის №1/1-1682 წერილი.

დადგენილია, რომ 2019 წლის 23 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა და მოითხოვა №... საკადასტრო კოდის მქონე მინის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაცია. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი იყო 2019 წლის 10 ივლისის ...ს მუნიციპალიტეტის საკურებულოს მიერ გაცემული №32 განკარგულება, რომლის საფუძველზეც, №... საკადასტრო კოდის მქონე, ...კვ-მ მინის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღირიცხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად.

დადგენილია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №... გადაწყვეტილებით, ...ს რაიონში, ...ის ჩრდილოეთით (...) მდებარე, №... საკადასტრო კოდის მქონე ... კვ-მ მინის ნაკვეთი (დაზუსტებული) დარეგისტრირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად, ნაკვეთის წინა ნომერი – ..., უფლების დამდგენი დოკუმენტი: ...ს მუნიციპალიტეტის საკურებულოს 2019 წლის 10 ივლისის №32 განკარგულება.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად თვითხებურად დაკავებული მინა არის ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითხებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული), ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული), აგრეთვე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითხებურად დაკავებული მინის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომელთა ჯამური ფართობი ბარში არ აღემატება 1.25 ჰექტარს, ხოლო „მაღალმთანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მაღალმთან დასახლებაში - 5 ჰექტარს; კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითხებურად დაკავებული მინის ნაკვეთი, რომელზედაც გან-

თავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ განკარგული არ არის, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ოქტომბრის №ბა-504-501(კ-17) გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციის თანახმად თვითნებურად დაკავებული მიწა არის ფიზიკური პირის მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ნორმის შინაარსით სახელმწიფო საკუთრების მიწა პირის მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე უნდა იყოს თვითნებურად დაკავებული. კანონის გამოყენების მიზნებისათვის მიშველული საკუთრებაში არსებული მიწის დაკავება. აღნიშნულ კონტექსტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის დაკავება. აღნიშნულ კონტექსტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის მოხსენიება არ ნიშნავს, რომ განცხადების განხილვის მომენტში მიწა უცილობლად მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იმყოფებოდეს. ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებიდან ადგილობრივ საკუთრებაში გადაცემით არ გაუქმდებულა ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესაძლებლობა, ვინაიდან აღნიშნულით არ მომხდარა ნაკვეთის პრივატიზება, მისი განკერძოება“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, უფლებაა-სალიარებელი მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში აღრიცხვის ფაქტი არ წარმოადგენს მასზე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე კერძო პირის საკუთრების უფლების აღიარების შემზღვდავ გარემოებას.

საყურადღებოა, რომ სააპელაციო პალატის განმარტებით, საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთზე აჭარის აეტონომიური რესპუბლიკის საკუთრების უფლების აღრიცხვა არ ნიშნავს სახელმწიფოს მიერ მის განკარგვას და ამის შედეგად მიწის ნაკვეთის სამართლებ-

რიცი სტატუსი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებთან მიმართებაში არ იცვლება. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა სრულად და შესაბამისად, ძალაში დატოვა, ხელვაჩიურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილშიც, რომლითაც ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი სისპ საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №... გადაწყვეტილება, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად დარეგისტრირდა ...ს მუნიციპალიტეტის ...ის ტერიტორიაზე №... საკადასტრო კოდის მქონე, ...კვ.მ მინის ნაკვეთი და საკუთრებიდან ამორიცხა ზ. შ-ის მიერ საკუთრების უფლების აღიარებათხოვნილი 400 კვ.მ მინის ნაკვეთი.

ამდენად, უნდა დაკმაყოფილდეს აჭარის ავტონომიური რეგსტრის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში (სისპ საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №... გადაწყვეტილების (რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად დარეგისტრირდა ...ს მუნიციპალიტეტის ...ის ტერიტორიაზე №... საკადასტრო კოდის მქონე, ...კვ.მ მინის ნაკვეთი) ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საკუთრებიდან ზ. შ-ის მიერ საკუთრების უფლების აღიარებამოთხოვნილი 400 კვ.მ მინის ნაკვეთის ამორიცხვის ნაწილში), გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინება დაშვებულ ნაწილში და მოცემულ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს ზ. შ-ის სასარჩევო მოთხოვნა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში (სისპ საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №... გადაწყვეტილების (რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბ-

ლიკის საკუთრებად დარეგისტრირდა ...ს მუნიციპალიტეტის ...ის ტერიტორიაზე №... საკადასტრო კოდის მქონე ...კვ.მ მიწის ნაკვე-თი) ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საკუთრებიდან ზ. შ-ის მი-ერ საკუთრების უფლების აღიარებამოთხოვნილი 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის ამორიცხვის ნაწილში) დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინება დაშ-ვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვე-ტილება;

3. არ დაკმაყოფილდეს ზ. შ-ის სასარჩელო მოთხოვნა სსკპ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებიდან მოთხოვნილი 400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის ამორიცხვის ნაწილში;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უძრავი ნივთების, მინის ნაკვეთის რეალური ადგილმდებარების შესაბამისობა დარეგისტრირებულ/დასარეგისტრირებელ მინის ნაკვეთებთან მიმართებით**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№პს-435(კ-20)

23 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცირცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
8. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტიების ბათილად ცნობა

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 30 ივნისს ფ. ი-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა  
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიას, მოპასუხების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-

ტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 5 ივლისის განჩინებით, სარჩელი განსჯა-დობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ – ოზურგე-თის რაიონულ სასამართლოს.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 5 იქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაეტნენ ლ. ა-ე და მ. თ-ე.

მოთხოვნების დაზუსტების შემდეგ, მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილების; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილების; საჯარო რეესტრის ჩანაწერის, მ. თ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ (უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით №... (ნაკვეთის წინა ნომერი ...)) გადაფარვის ნაწილში ბათო-ლად ცნობა, სსიპ საჯარო რეესტრის ჩანაწერის, ლ. ა-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ (უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით №... (ნაკვეთის წინა ნომერი ...)) გადაფარვის ნა-ნილში ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ საა-გენტოსათვის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გამოკვლე-ვის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მოსარჩე-ლის და მომიჯნავე მინის ნაკვეთების რეგისტრირებულ მონაცემებ-ში ცვლილებების შეტანის დავალება მოთხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ფ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილება და გურიის რეგიონული ოფისის 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი, ლ. ა-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით №..., ნაკვეთის წინა ნომერი ..., ფ. ი-ის 2016 წლის 19 იქტომბრის მოთხოვნით წარდგენილ სარე-გისტრაციო მასალებთან გადაფარვის ნაწილში; საქართველოს იუს-ტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს გურიის რეგიონულ ოფისს დაევალა სასამართლოს გადაწყვე-ტილებაში მითითებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, შეფასების და ურთიერთშე-ჯერების საფუძველზე ფ. ი-ის და ლ. ა-ის რეგისტრირებულ მონა-ცემებში ცვლილების შეტანა.

ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-ემ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონულმა ოფისმა. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 თებერვლის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ივნისის განჩინებით, ლ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაეხა 6. ბ-ე.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისს გადაწყვეტილებით ფ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო ნარმოების შეწყვეტის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2017 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ლ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ (უძრავ ქონებაზე ს/კ ..., ნაკვეთის წინა ნომერი ...) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება 35 კვ.მ. ზედდების ნაწილში და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ზედდების (35 კვ.მ.) ნაწილში ფ. ი-ის საკუთრების უფლების აღრიცხვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით, ლ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ოზურგე-

თის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1998 წლის 20 ოქტომბრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №243 აქტის შესაბამისად, თ. ი-ს ოზურგეთის რაიონში, ...ში გადაეცა 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი, 6 ნაკვეთად.

2013 წლის 31 დეკემბრის სამკვიდრო მოწმობის თანახმად, თ. ი-ის პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ, შვილმა ფ. ი-მა საკუთრებაში მიღლო თ. ი-ის სამკვიდრო სრულად – მასში შემავალი აქტივებითა და პასივებით, მათ შორის უძრავი ქონება მდებარეოზურგეთი, ...ი (...ა).

1999 წლის 30 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის სააღრიცხვო ბარათის თანახმად, ოზურგეთის რაიონში, ...ში №... საკადასტრო ნომრით რეგისტრირებული 915 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო თ. ი-ის ოჯახი. სააღრიცხვო ბარათის საფუძვლად მითითებული იყო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №243 აქტი. სააღრიცხვო ბარათს ერთვოდა საკადასტრო რუკა, რომელზედაც ... ნომრად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს ესაზღვრებოდა ... და ... მიწის ნაკვეთები.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკის თანახმად, ფ. ი-ის მამკვიდრებლის თ. ი-ის საკუთრებაში არსებულ 915,7 კვ.მ. მიწის ნაკვეთს ესაზღვრებოდა მ. მ-ის საკუთრებაში არსებული 678,4 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

1999 წლის 30 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის სააღრიცხვო ბარათის თანახმად, ოზურგეთის რაიონში, ...ში ... საკადასტრო ნომრით რეგისტრირებული 680 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო მ. მ-ის ოჯახი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი მ. მ-ემ 2002 წლის 27 აგვისტოს თანაბარნილად 340-340 კვ.მ. მიჰყიდა უ. ა-ეს და ზ. თ-ეს. უ. ა-ემ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი 2007 წლის 23 აგვისტოს აჩუქა შვილს ლ. ა-ეს, ხოლო ზ. თ-ემ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი 2007 წლის 17 სექტემბერს აჩუქა შვილს მ. თ-ეს.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 880 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, დაზუსტებული მონაცემებით, 2014 წლის დარეგისტრირდა ფ. ი-ი, უძრავი ნივთის ს/კ: ... (წინა ნომერი: ...).

2016 წლის 20 ოქტომბერს ფ. ი-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დ. ...ში

მდებარე უძრავ ნივთზე ს/კ ... რეგისტრაციის დაზუსტება. კერძოდ, მდებარეობა-კონფიგურაციის ცვლილება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 10 თებერვლის №... გადაწყვეტილებით, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და ფ. ი-ს დაევალა კორექტირებული ნახაზის წარდგენა, ვინაიდან მის მიერ წარდგენილი ნახაზის მიხედვით, მიწის ნაკვეთი იჭრებოდა სხვის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთში. დადგენილ ვადაში განმცხადებელს არ წარუდგენია მოთხოვნილი დოკუმენტი, რის გამოც 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილება ფ. ი-მა გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით, ფ. ი-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აზომვითი ნახაზის მიხედვით, ფ. ი-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ წიგთს ს/კ ..., ესაზღვრებოდა ლ. ა-ის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი წიგთი ს/კ ..., ხოლო შემდეგ მ. თ-ის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება ს/კ ....

2016 წლის 21 ოქტომბერს მომზადებული სიტუაციური ნახაზის მიხედვით, ფ. ი-ის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი წიგთი (ს/კ ...) ზედდებაში იყო ლ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი წიგთის (ს/კ ...) მონაცემებთან.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 30 ნოემბრის №... წერილის თანახმად, მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) საზღვარსა და მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) საზღვარს შორის ზედდების ფართი შეადგენდა 113 კვ.მ. მ. თ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) გვერდით თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რომლის დარეგისტრირებაც სახელმწიფო პროექტის ფარგლებში სურდა მ. თ-ეს, შეადგენდა 157 კვ.მეტრს.

საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 119.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, 2014 წელს დარეგისტრირდა ნ. ბ-ე (ს/კ ...).

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2019 წლის 18 თებერვალს მომზადებული იქნა ექსპერტიზის №001028719 დასკვნა, რომელშიც მითითებულია – 1) ექსპერტიზისათვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობების, საკადასტრო რეკენისა და მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, მათში მითითებული მიწის ნაკვეთების ზუსტი

მდებარეობის განსაზღვრა ტექნიკურად შეუძლებელია. საჯარო რეესტრის მიერ №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით, მ. მ-ის საკუთრებაში არსებული ს/კ ... მიწის ნაკვეთის მდებარეობა არ შეესაბამება მ. თისა და ლ. ა-ის საკუთრებაში დარეგისტრირებული ს/კ ... და ს/კ ... მიწის ნაკვეთების მდებარეობას. 2) საჯარო რეესტრში დღეისთვის რეგისტრირებული ლ. ა-ის ს/კ ... მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე სუბიექტები შეესაბამება, ხოლო მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომები არ შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს. საჯარო რეესტრში დღეისთვის რეგისტრირებულ მ. თ-ის ს/კ ... მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე სუბიექტები დასავლეთ და სამხრეთ მხარეს შეესაბამება, ხოლო მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომები და მოსაზღვრე სუბიექტი აღმოსავლეთ მხარეს არ შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს. მ. თ-ის და ლ. ა-ის მიწის ნაკვეთების უფლების დამდგენი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა ტექნიკურად შეუძლებელია. აღნიშნულის გამო, შეუძლებელია უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებული მიწის ნაკვეთების მდებარეობების შედარება, დღეისათვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ს/კ ... და ს/კ ... მიწის ნაკვეთების მდებარეობასთან. 3) ფ. ი-ის მიერ შემოღობილი მიწის ნაკვეთის სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი საზღვრების ზომები და მდებარეობა არ შეესაბამება 2014 წლის 14 თებერვლის განცხადებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ს/კ ... მიწის ნაკვეთის შესაბამის მონაცემებს. 4) ფ. ი-ის მიერ 2016 წლის განცხადებით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომები და მდებარეობა, არ შეესაბამება თ. ი-ის საკუთრებაში კოდით ... რეგისტრირებული (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით) მიწის ნაკვეთის შესაბამის მონაცემებს. აღნიშნული ვარიანტით დარეგისტრირების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის ორი ნაწილი სცდება თ. ი-ის რეგისტრირებულ საზღვრებს. 5) ფ. ი-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი შესაძლებელია დარეგისტრირდეს მისი მამკვიდრებლის თ. ი-ის მიწის ნაკვეთის მდებარეობისა და საზღვრების შესაბამისად (ნაკვეთის სამხრეთ საზღვრის სიგრძეა 20.3მ.). აღნიშნულ შემთხვევაში დასარეგისტრირებული მიწის ზედდებას მოახდენს დღეისათვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე. 6) ფ. ი-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება, როგორც ის რეალურად აზომილი და შელობილი აქვს ი-ს, მისი მამკვიდრებლის თ. ი-ის მიწის ნაკვეთის საზღვრებში ტექნიკურად შეუძლებელია. 7) ნ. ბ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული ს/კ ... მიწის ნაკვე-

თის კონფიგურაცია და გეოგრაფიული მდებარეობა შეესაბამება მის მიერ 29/10/2014, 01/09/2014 და 10/09/2014-ნ. შეძენილი მინის ნაკვეთების კონფიგურაციას და გეოგრაფიულ მდებარეობას ერთობლიობაში. 8) დღეის მდგომარეობით ნ. პ-ის ფაქტობრივი საზღვრებში მოქცეული მინის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია და მდებარეობა არ შეესაბამება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ს/კ ... მინის ნაკვეთის შესაბამის მონაცემებს. 9) ფ. ი-ის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის ს/კ ... ფაქტობრივი და რეგისტრირებული მონაცემები (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით) არ შეესაბამება ერთმანეთს. 10) საჯარო რეესტრში დღეისთვის რეგისტრირებული ღ. ა-ის ს/კ ... მინის ნაკვეთის მოსაზღვრე სუბიექტები შეესაბამება, ხოლო მინის ნაკვეთის საზღვრების ზომები არ შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს. ღ. ა-ის (ს/კ ...) მინის ნაკვეთის უფლების დამდგენი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული მინის ნაკვეთის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა ტექნიკურად შეუძლებელია. აღნიშნულის გამო, შეუძლებელია უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებული მინის ნაკვეთის მდებარეობის შედარება, დღეისათვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ს/კ ... მინის ნაკვეთის მდებარეობასთან. 11) საჯარო რეესტრში დღეისთვის რეგისტრირებულ მ. თ-ის ს/კ ... მინის ნაკვეთის მოსაზღვრე სუბიექტები დასავლეთ და სამხრეთ მხარეს შეესაბამება, ხოლო მინის ნაკვეთის საზღვრების ზომები და მოსაზღვრე სუბიექტი აღმოსავლეთ მხარეს არ შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს. მ. თ-ის (ს/კ ...) მინის ნაკვეთის უფლების დამდგენი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული მინის ნაკვეთების ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა ტექნიკურად შეუძლებელია. აღნიშნულის გამო, შეუძლებელია უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებული მინის ნაკვეთის მდებარეობის შედარება, დღეისათვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ს/კ ... მინის ნაკვეთის მდებარეობასთან. 12) ს/კ ..., ს/კ ..., ს/კ ... და ს/კ ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთებს შორის არსებობს დღეისათვის საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი მინის ნაკვეთი. 13) თ. ი-ისათვის მიღება-ჩაბარების №243 აქტის საფუძველზე გადაცემული 5 მინის ნაკვეთი ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა ტექნიკურად შეუძლებელია. 14) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის მიხედვით, თ. ი-ის ს/კ ... მინის ნაკვეთის მისამართია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ...ი, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ს/კ ... მინის ნაკვეთის ზუსტი მდებარეობის დადგენა ტექნიკურად შეუძლებელია. 15) თ. ი-ის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული

და თ. ი-ისათვის საკუთრების მოწმობით გადაცემული ს/კ ... მიწის ნაკვეთების მდებარეობების ერთმანეთთან შედარება ტექნიკურად შეუძლებელია. თ. ი-ისათვის საკუთრების მოწმობით გადაცემული ს/კ ... მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საზღვრების ზომები, ფართობი და მოსაზღვრე სუბიექტები მოცემულია დანართში 11.

16) მ. მ-ისათვის მიღება-ჩაბარების №651 აქტის საფუძველზე გადაცემული 1 მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა ტექნიკურად შეუძლებელია. აღნიშნული მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, მოსაზღვრე სუბიექტები და საზღვრების ზომები მოცემულია დანართში 12. 17) დღესათვის საჯარო რეესტრში მ. თ-ის და ლ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული ს/კ ... და ს/კ ... მიწის ნაკვეთების მდებარეობა სახელმწიფო საკოორდინაციო სისტემაში მოცემულია დანართებში 1 და 13. 8 18) მ. მ-ისათვის საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მდებარეობა (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით) არ შეესაბამება ამჟამად მ. თ-ის და ლ. ა-ის საკუთრებაში არსებული ს/კ ... და ს/კ ... მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობას. 19) ი-ის, მ-ის (ამჟამინდელი თ-ე და ა-ე) და ზ-ას (ამჟამინდელი კ-ი და ხ-ი) მიწის ნაკვეთების განლაგება და კონფიგურაცია არ შეესაბამება საქმეში არსებულ საკადასტრო რუკაზე მითითებულ მონაცემებს. 20) დღეის მდგომარეობით, ი-ისა და მ-ის (ამჟამინდელი თ-ე და ა-ე) მიწის ნაკვეთებს შორის არ არსებობს საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებული ტერიტორია. დღეის მდგომარეობით, მ-ის (ამჟამინდელი თ-ე და ა-ე) და ზ-ას (ამჟამინდელი კ-ი და ხ-ი) მიწის ნაკვეთებს შორის არსებობს საკუთრებაში დაურეგისტრირებული ტერიტორია (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით) არ შეესაბამება ლ. ა-ის და მ. თ-ის ს/კ ... და ს/კ ... მიწის ნაკვეთების რეგისტრაციებს. 22) მ. მ-ის თავდაპირველი სისტემური წესით რეგისტრირებული (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით) არ შეესაბამება ფ. ი-ის მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთით არსებული დაურეგისტრირებული ტერიტორიის უმეტეს ნაწილს. 23) თ. (თ.) ი-ის სახელზე არსებული სისტემური რეგისტრაცია (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით) არ შეესაბამება ფ. ი-ის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი საკადასტრო აზომებითი ნახაზის ელექტრონულ ვერსიას. 24) თ. ი-ისათვის მიღება-ჩაბარების №243 აქტში და საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობაში არ არის მითითე-

ბული მიწის ნაკვეთების მიბმა რაიმე მყარი წერტილიდან. აღნიშნულის გამო, ადგილზე დათვალიერების ოქმში მითითებული საყრდენი (მყარი) წერტილიდან ტექნიკურად შეუძლებელია განისაზღვროს, თ. ი-ისათვის მიღება-ჩაბარების №243 აქტის და საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე გადაცემული მიწის ნაკვეთი, ზუსტი კოორდინატების, ადგილმდებარეობის და მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის მითითებით. 25) მ. მ-ისათვის მიღება-ჩაბარების №651 აქტში არ არის მითითებული მიწის ნაკვეთის მიბმა რაიმე მყარი წერტილიდან. აღნიშნულის გამო, ადგილზე დათვალიერების ოქმში მითითებული საყრდენი (მყარი) წერტილიდან ტექნიკურად შეუძლებელია განისაზღვროს, მ. მ-ისათვის მიღება-ჩაბარების №651 აქტის საფუძველზე გადაცემული მიწის ნაკვეთი, ზუსტი კოორდინატების, ადგილმდებარეობის და მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის მითითებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც მოსარჩელის, ისე აპელანტის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების თავდაპირველ უფლების დამდგენ დოკუმენტს რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტები და მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობები წარმოადგენდა. საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დგინდებოდა, რომ ექსპერტის მიერ გამოკვლეული მიწის ნაკვეთების (მათ შორის მოსარჩელის და აპელანტის) პარამეტრები (საზღვრების ზომები და სხვა) არ შეესაბამებოდა უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს. ამავე დასკვნის მიხედვით, ი-ისა და მ-ის (ამჟამინდელი თ-ე და ა-ე) მიწის ნაკვეთებს შორის არ არსებობდა საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებული ტერიტორია, ხოლო მ-ის (ამჟამინდელი თ-ე და ა-ე) და ზ-ას (ამჟამინდელი კ-ი და ხ-ი) მიწის ნაკვეთებს შორის არსებობდა საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებული ტერიტორია.

სასამართლოს შეფასებით, სარეფორმო მიწის ფუნდის ყოფილ ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებს შორის თავისუფალი ტერიტორიის არსებობა უზუსტოდ შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზებით მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე მიუთითებდა, რაც უტყუარად იყო დაგენილი ექსპერტიზის დასკვნითაც, შესაბამისად მოსარჩელეს (ისევე როგორც მის მეზობლად მცხოვრებ სხვა კერძო მესაკუთრეებს) გააჩნდა მიწის ნაკვეთის უფლების დამდგენ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანისა და საჯარო რეესტრში მისი დაზუსტებული სახით რეგისტრაციის უფლება, რამეთუ დაუშვებელი იყო სარეგისტრაციო მონაცემის და ნამდვილი მდგომარეობის შეუსაბამობა. რეესტრში დაურეგისტრირებული თავისუფალი ტერიტორია, არ-

სებობდა ლ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მხარეს, შესაბამისად სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინტაციის სასამართლოს პოზიცია ლ. ა-ის სარეგისტრაციო მონაცემების 35 კვ.მეტრის (რეგისტრირებულ და უფლების დამდგენ დოკუმენტს შორის არსებული სხვაობა) ნაწილში გაუქმების შესახებ, რომელსაც მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთების მესაკუთრებებთან შეთანხმებით ან სასამართლო დავის ნამოწყებით გააჩნდა საკორდინატო ბადები მისი საკუთრების დაზუსტებული სახით რეგისტრაციის უფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-ემ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს არ მიუთითებია და ვერც მიუთითებდა 35 კვ.მ. მიწის ფართობის მდებარეობას, კონკრეტულად რა ადგილას იყო ზედდება. ფ. ი-ს გასაჩივრებული ჰქონდა ადმინისტრაციული აქტები, რომლითაც დადგენილი იყო 113 კვ.მ. ზედდება ლ. ა-ის რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

ფ. ი-ის საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე ოზურგეთი, ...ი, დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირდა 2014 წლის 14 თებერვალს. ლ. ა-ემ საჯარო რეესტრს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობის დაზუსტების მიზნით მიმართა 2015 წლის 25 დეკემბერს. ამ დროისათვის უკვე წელიწადი და 10 თვის დარეგისტრირებული იყო ფ. ი-ის საკუთრებაში დაზუსტებული მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ფ. ი-ის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი საკადასტრო აზომებით ნახაზის საფუძველზე დაზუსტდა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები, რომლის მიხედვით უძრავი ნივთის დაზუსტებულ ფართს ნარმო-ადგენს 880 კვ.მ.

ლ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტში არსებულ მონაცემებს. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფ. ი-ის ნაკვეთთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში გამართულ ადმინისტრაციულ წარმოებისას განმარტა, რომ ფ. ი-ის მიერ 2014 წელს დაზუსტებული მონაცემები შეესაბამებოდა უფლების დამდგენ დოკუმენტში მითითებულ მონაცემებს. ხოლო რაც შეეხება ფართის შემცირებას, აღნიშნული გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ უფ-

ლების დამდგენი დოკუმენტით განსაზღვრული მიწის ნაკვეთის საზღვრები მოიცავდა გზას. ამასთან, ფ. ი-ის საზღვრებში ფაქტობრივად იჭრებოდა მის მომიჯნავედ მდებარე ნ. ბ-ის მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) საზღვრები. რაც შეეხება მ. თ-ის შემდეგ დარჩენილ დაურეგისტრირებელ ფართს, აღნიშნული ფართის არსებობა გამოიწვია ზ. კ-ის მიერ მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლამ და უმნიშვნელოდ განსხვავებული მდგომარეობით რეგისტრაციამ.

კასატორის მითითებით, საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ თ. ი-ს მიღება-ჩაბარების აქტით გამოეყო 880 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და სწორებ ამ ფართზე ვრცელდება ფ. ი-ის საკუთრების უფლებაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების შემძებზე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამავე კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

სადაც პერიოდში მოქმედი, „საჯარო რეესტრის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის მნარმოებელი ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) უფლება-მოვალეობებს.

ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება საკუთრება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრირებული უფლების შესახებ მონაცემების გარდა, ასევე შეიტანება უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები. მე-2 მუხლის „ლ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არის რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები, რომლებიც წარმოშობს კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

განსახილველ საქმეში დავის საგანს ფ. ი-ის განცხადებაზე (უძრავ ქონებაზე მდებარეობა-კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილების (სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ), სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2017 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილების (ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ), სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების (ლ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ (უძრავ ქონებაზე ს/კ ..., ნაკვეთის წინა ნომერი ...)) 35 კვ.მ. ზედდების ნაწილში, ბათილად ცნობისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის ზედდების (35 კვ.მ.) ნაწილში ლ. ა-ის საკუთრების უფლების აღრიცხვის საფუძვლიანობის შემოწმება წარმოადგენს (ფ. ი-ს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადაცვა არა როგორც მოსარჩელის, ასევე საქმეში მესამე პირად მონაწილეთა საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტაციია, არამედ სარეგისტრაციო დოკუმენტაციების საფუძვლით განხორციელებული რეგისტრაციების კანონიერება, უძრავი ნივთების, მინის ნაკვეთების რეალური ადგილმდებარეობის შესა-

ბამისობა დარეგისტრირებულ/დასარეგისტრირებელ მიწის ნაკვე-  
თებთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში მიუთითებს, რომ 1999  
წლის 30 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის სააღრიცხვო ბარა-  
თის თანახმად, ოზურგეთის რაიონში, ...ში №... საკადასტრო ნომ-  
რით რეგისტრირებული 915 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-  
ლების მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა თ. ი-ს ოჯახი. სააღრიცხვო  
ბარათის საფუძვლად მითითებულია მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბა-  
რების №243 აქტი. სააღრიცხვო ბარათის ერთვის საკადასტრო რუ-  
კა, რომელზედაც ... ნომრად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს  
ესაზღვრება ... და ... მიწის ნაკვეთები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის  
პოზიციას, რომ თ. ი-ს მიღება-ჩაბარების აქტით გამოეყო 880 კვ.მ.  
მიწის ნაკვეთი და სწორედ ამ ფართზე ვრცელდება ფ. ი-ს საკუთ-  
რების უფლება.

საქმეზე ასევე დადგენილია, რომ თ. ი-ისთვის გადაცემულ (ამ-  
ჟამად ფ. ი-ის საკუთრებაში მყოფ) №... მიწის ნაკვეთს ნომრად რე-  
გისტრირებულ მიწის ნაკვეთებს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა  
მ. მ-ის საკუთრებაში არსებული №...; 678,4 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 1999  
წლის 30 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის სააღრიცხვო ბარა-  
თის თანახმად, ოზურგეთის რაიონში, ...ში ... საკადასტრო ნომრით  
რეგისტრირებული 680 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების  
მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა მ. მ-ის ოჯახი. აღნიშნული მიწის ნაკ-  
ვეთი მ. მ-ემ 2002 წლის 27 აგვისტოს თანაბარნილად 340-340 კვ.მ.  
მიჰყიდა უ. ა-ეს და ზ. თ-ეს. უ. ა-ემ საკუთრებაში არსებული მიწის  
ნაკვეთი 2007 წლის 23 აგვისტოს აჩუქა შვილს ლ. ა-ეს, ხოლო ზ. თ-  
ემ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი 2007 წლის 17 სექტემ-  
ბერს აჩუქა შვილს მ. თ-ეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ, სა-  
კუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტებზე – თ. ი-ის მიწის ნაკ-  
ვეთის მიღება-ჩაბარების №243 აქტსა და 1999 წლის 30 დეკემბერს  
გაცემული მიწის ნაკვეთის სააღრიცხვო ბარათზე, მ. მ-ის მიწის ნაკ-  
ვეთის მიღება-ჩაბარების №651 აქტსა და 1999 წლის 30 დეკემბერს  
გაცემული მიწის ნაკვეთის სააღრიცხვო ბარათზე და აღნიშნავს,  
რომ მითითებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძ-  
ველზე, თ. ი-ის საკუთრებაში მყოფ №... მიწის ნაკვეთს აღმოსავ-  
ლეთით ემიჯნებოდა მ. მ-ის (ამჟამინდელი თ-ე და ა-ე) კუთვნილი  
№... მიწის ნაკვეთი, რომელსაც თავის მხრივ, აღმოსავლეთის მხრი-  
დან ემიჯნებოდა ა. ზ-ას (ამჟამინდელი კ-ი და ხ-ი) №... მიწის ნაკვე-  
თი. უფლებადამდგენი დოკუმენტების საფუძველზე, აღნიშნული  
მიწის ნაკვეთები უშუალოდ ესაზღვრებოდა ერთმანეთს და მათ

შორის არ იყო თავისუფალი ტერიტორია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 3-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

„ფიქციაა არა ის ქონება, რომელსაც პირი რეგისტრაციის საფუძველზე ფლობს, არამედ ფიქციაა თავად რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობა, შესაბამისად დაუშვებელია სარეგისტრაციო მონაცემის და ნამდვილი მდგომარეობის შეუსაბამობა, არ დაიშვება რეგისტრირებულ მონაცემებს შორის კონკურენციის არსებობის შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საგანთა ნამდვილი მდგომარეობა და რეგისტრირებული მონაცემები უნდა იყოს თანხევდრამი, ხოლო დუბლირების და პარალელიზმის გამოვლენის შემთხვევაში უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელს გააჩნია უკეთესი სამართლებრივი საფუძველი“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმე №ბს-367-363(კ-12)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადაცო პერიოდში მოქმედი, „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის პირველი მუხლის თანახმად, ინსტრუქცია განსაზღვრავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრის წარმოებისა და ინფორმაციის გაცემის წესებსა და პირობებს, წარმოებაში მონაწილე მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის მიზნებისთვის მიწის ნაკვეთი არის გეომეტრიული ერთიანობის მქონე ტერიტორია (დაზუსტებული ან დაუზუსტებელი), რომელიც მოქცეულია საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ერთიან უფლებრივ სივრცეში ან არსებობს მასზე უფლების ამგვარად რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება. მიწის ნაკვეთზე უფლება ვრცელდება ასევე მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობაზე, თუ კანონმდებლობით სხვა არ არის გათვალისწინებული. ხოლო, ინსტრუქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მიწის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციის და ადგილმდება-

რეობის, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის ხაზოვანი ნა-  
გებობების, ასევე სერვიტუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდ-  
ვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახუ-  
ლი ზუსტი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, საკა-  
დასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის შესადგენად უძრავი ნივ-  
თის ადგილმდებარეობისა და საზღვრის იდენტიფიცირებისთვის პასუხისმგებელია ამ ნივთის მესაკუთრე/მართლზომიერი მფლო-  
ბელი. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების სრულყო-  
ფილად შესრულებისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახა-  
ზის მონაცემთა სისწორისთვის პასუხისმგებელია საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი, თუმცა  
აღნიშნული არ გულისხმობს მარეგისტრირებელი ორგანოს მხრი-  
დან საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტაციით გათვალის-  
წინებული უძრავი ნივთის ნამდვილ მდებარეობასა და სარეგისტრა-  
ციონდ წარდგენილი განაცხადით განსაზღვრული უძრავი ნივთის  
მდებარეობას შორის შეუსაბამობის დაშვებას, სხვა პირთა საკუთ-  
რების უფლების შელახვის ხარჯზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხ-  
ლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამ-  
ტკიცის გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთ-  
ხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამი-  
სად კი, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მე-  
სამე პირთა) ასენა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების  
კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცე-  
ბულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. 105-ე მუხლის პირველ  
ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულე-  
ბას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ხოლო, ამავე მუხლის მე-  
2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თა-  
ვისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველ-  
მხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამო-  
აქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არ-  
სებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამო-  
ქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-  
ნახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მო-  
სამართლეს სპეციალური კოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძ-  
ლია თავისი ინიციატივით დაინიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილ-  
ვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნუ-  
ლი საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გა-

დაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივი-რებული განჩინება.

საკასაციო სასამართლო, მოსარჩელე (მოწინააღმდეგე მხარე) ფ. ი-ის მიწის ნაკვეთის მდებარეობასთან დაკავშირებით მიუთა-თებს, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 7 დეკმ-ბრის განჩინების საფუძველზე დანიშნული და ჩატარებული ექ-სპერტიზის დასკვნის შემდეგ ნაწილებზე:

ფ. ი-ის მიერ შემოლობილი მიწის ნაკვეთის სამხრეთი, აღმოსავ-ლეთი, დასაცლეთი საზღვრების ზომები და მდებარეობა არ შეეს-ბამება 2014 წლის 14 თებერვლის განცხადებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ს/კ ... მიწის ნაკვეთის შესაბამის მონაცემებს.

ფ. ი-ის მიერ 2016 წლის განცხადებით მოთხოვნილი მიწის ნაკ-ვეთის საზღვრების ზომები და მდებარეობა, არ შეესაბამება თ. ი-ის საკუთრებაში კოდით ... რეგისტრირებული (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითე-ბული მონაცემების მიხედვით) მიწის ნაკვეთის შესაბამის მონაცე-მებს. აღნიშნული ვარიანტით დარეგისტრირების შემთხვევაში, მი-წის ნაკვეთის ორი ნაწილი სცდება თ. ი-ის რეგისტრირებულ საზ-ღვრებს.

ფ. ი-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი შესაძლებელია დარეგისტრირ-დეს მისი მამკვიდრებლის თ. ი-ის მიწის ნაკვეთის მდებარეობისა და საზღვრების შესაბამისად (ნაკვეთის სამხრეთ საზღვრის სიგ-რძეა 20.38.). აღნიშნულ შემთხვევაში დასარეგისტრირებელი მი-წის ზედდებას მოახდენს დღეისათვის საჯარო რეესტრში რეგის-ტრირებულ მიწის ნაკვეთებზე.

ფ. ი-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება, როგორც ის რეალურად აზომილი და შელობილი აქვს ი-ს, მისი მამკვიდრებ-ლის თ. ი-ის მიწის ნაკვეთის საზღვრებში ტექნიკურად შეუძლებე-ლია.

საკასაციო სასამართლო კასატორ ლ. ა-ის მიწის ნაკვეთის მდე-ბარეობასთან დაკავშირებით მიუთითებს ჩატარებული ექსპერტი-ზის შემდეგ ნაწილებზე:

საჯარო რეესტრის მიერ №... განცხადებაზე მომზადებულ სი-ტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით, მ. მ-ის საკუთრებაში არსებული ს/კ ... მიწის ნაკვეთის მდებარეობა არ შე-ესაბამება მ. თ-ისა და ლ. ა-ის საკუთრებაში დარეგისტრირებული ს/კ ... და ს/კ ... მიწის ნაკვეთების მდებარეობას.

საჯარო რეესტრში დღეისათვის რეგისტრირებული ლ. ა-ის ს/კ ... მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე სუბიექტები შეესაბამება, ხოლო მი-წის ნაკვეთის საზღვრების ზომები არ შეესაბამება უფლების დამ-

დღენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს.

საჯარო რეესტრში დღეისთვის რეგისტრირებულ მ. თ-ის ს/კ ... მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე სუბიექტები დასავლეთ და სამხრეთ მხარეს შეესაბამება, ხოლო მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომები არ შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს.

საჯარო რეესტრში დღეისთვის რეგისტრირებული ლ. ა-ის ს/კ ... მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე სუბიექტები შეესაბამება, ხოლო მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომები არ შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს.

საჯარო რეესტრში დღეისთვის რეგისტრირებულ მ. თ-ის ს/კ ... მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე სუბიექტები დასავლეთ და სამხრეთ მხარეს შეესაბამება, ხოლო მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომები და მოსაზღვრე სუბიექტი აღმოსავლეთ მხარეს არ შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს.

მ. მ-ისათვის საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მდებარეობა (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით) არ შეესაბამება ამჟამად მ. თ-ის და ლ. ა-ის საკუთრებაში არსებული ს/კ ... და ს/კ ... მიწის ნაკვეთების ადგილდებარეობას.

მ. მ-ის თავდაპირველი სისტემური რეგისტრაცია (საჯარო რეესტრის №... განცხადებაზე მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაცემების მიხედვით) არ შეესაბამება ლ. ა-ის და მ. თ-ის ს/კ ... და ს/კ ... მიწის ნაკვეთების რეგისტრაციებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით, ვერც მოსარჩელე და ვერც კასატორი ვერ ასაბუთებენ მათი (შესაბამისად – დასარეგისტრირებელი/რეგისტრირებული) მიწის ნაკვეთების მდებარეობის უფლების დამდგენ დოკუმენტებთან შეესაბამისობას. რეგისტრირებული მონაცემების სისწორე, ფაქტობრივად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის შესაბამისობა საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტაციასთან ასევე ვერ დაადასტურა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, ექსპერტიზის დასკვნით დაფენილი მითითებული მონაცემების, ასევე ექსპერტიზის დასკვნის დანართების (ფოტოსურათები, გეგმები, აზომვითი, სიტუაციური ნახაზები) საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ მოსარჩელისა და კასატორის მიწის ნაკვეთების პატარეტრები (საზღვრების ზომები და სხვა) არ შეესაბამება უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებს. თუმცა, საკასაციო სასამართლო აქვე აღ-

ნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალების ანალიზი ცხადყოფს, ფ. ი-ისათვის, უფლების დამდგენი დოკუმენტის შესაბამისი კონფი- გურაციითა და მდებარეობით მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას ვერ უზრუნველყოფს სარჩელის დაკმაყოფილება ნაწილობრივ და 35 კვ. მ.-ის ფართობის მიწის ნაკვეთის შემცირება კასატორის მიწის ნაკვეთიდან, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ თავად კასატორს შეეძლება მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ის მესაკუთრეებთან მოლა- პარაკებისა თუ დავის შედეგად, შემდგომში მოახდინოს აღნიშნუ- ლის მიწის ნაკვეთის ნაწილის ფართობის შევსება. ასეთი მიდგომა არსებითად წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციით და- ცულ საკუთრების უფლებასთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც საკუთრე- ბის უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავებში ერთმა- ნეთს უპირისპირდება რამდენიმე დაინტერესებული მხარის უფ- ლება, სამართალურთიერთობა ექცევა სასამართლო კონტროლის ფარგლებში, რა დროსაც სასამართლოს მხრიდან მაქსიმალური სიფ- რთხილითა და მტკიცებულებათა ზედმინებითი გადამოწმებით უნდა მოხდეს საქმის გარემოებების შეფასება, რათა გამოვლინ- დეს დაცვის ღირსი უფლება და უზრუნველყოფილ იქნეს მისი რეა- ლიზაცია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცე- მულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკ- ვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადაც საკით- ხის გადაუწყვეტლად, პათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორ- განოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა- მართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილე- ბელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გა- რემოებების გამოკვლევისა და სადაც საკითხის არსებითად გა- დაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპ- როცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლე- ბამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასა- მართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დაფ- გენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორ- განოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილები- დან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განე- კუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ სადაც გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ – მარეგისატრირებელ ორგანოს არ გამოუკვლევია და მინის ნაკვეთებზე საკუთრების რეგისტრაციისას არ შეუდარებია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიღება-ჩბარების აქტებთან, ცნობებთან და ამონაწერებთან, არ დაუდგენია სადაც მინის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები, გოგრაფიული მდებარეობა, რათა სარწმუნოდ დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და არ დაეშვა მინის ნაკვეთების ნამდვილი ადგილ-მდებარეობისა და საკუთრების უფლებით ფაქტობრივად რეგისტრირებული მინის ნაკვეთების ადგილმდებარეობის შეუსაბამობა, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქმნის სადაც საკითხის გადაუწყვეტილად, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის, გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.) მართალია, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და არა ორგანოში განსახორციელებელი წარმოების ჩანაცვლებას. განსახილველ შემთხვევაში გამოკვლევას საჭიროებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რიგი გარემოებები. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საკითხი შეისწავლოს სზაკ-ით დადგენილი წესით, სრულად გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები და მიიღოს სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში სადაც აქტი ვერ

აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 თებერვლის №ბს-968(2კ-19) განჩინება).

განსახილველი საკითხის ფარგლებში, მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა დაადგინოს მიწის ნაკვეთების ზუსტი მდებარეობა და საზღვრები. ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ საჯარო რეგისტრის ეროვნული საგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთარი ინიციატივით შეცვალოს დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით ან/და საკადასტრო აღნერის შედეგად დადგინდა რეგისტრირებული საკადასტრო მონაცემების მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ მდებარეობასთან შეუსაბამობა და უზრუნველყოს ამ მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა. ამასთან, „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დააზუსტოს, შეცვალოს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან ბათილად ცნოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრში რეგისტრირებული მცდარი ან ურთიერთშეუსაბამო მონაცემები და უზრუნველყოს ამ მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა. ამასთან, ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების პროცესში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეგისტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობას, გარდა სისტემური რეგისტრაციისა და იმ შემთხვევისა, როდესაც სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე უტყუარად დგინდება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობა.

ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახლა განხილვისას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და დაადგინოს მიწის ნაკვეთების ზუსტი მდებარეობა და საზღვრები, ხოლო დუბლირების გამოვლენის შემთხვევაში დაადგინოს საკითხი უკეთესი

უფლების მქონე სუბიექტის შესახებ. ამასთან, რაც შეეხება დანარჩენ სადაც აქტებს (სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ), ისევე როგორც აღნიშნულ აქტებთან მიმართებაში გამოცემულ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებას), გადაფარვის ნანილში ლ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის სადაც საკითხის გადაუწყვეტილად ბათილად ცნობის პირობებში, ამ ეტაპზე არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძვლები.

ზემოაღნიშნული გარემობებიდან გამომდინარე, საკასაციო სა-  
სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული  
განჩინების გაუქმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ნა-  
ნილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქადაჭიმ საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადაც საკითხის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტის პირი იქნება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გურიის რეგიონულ ოფისს ფ. ი-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი – 100 ლარის ანაზღაურება.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-  
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე  
ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე  
მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-  
დექსის 53-ე და 411-ე მუხლებით და

ପ୍ରକାଶକ ନାମ:

1. ლ. ა-ის საკასაციონ საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
  2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-

ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ფ. ი-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება 35 კვ.მ. ზედდების ნაწილში და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. დანარჩენ ნაწილში ფ. ი-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გურიის რეგიონულ ოფისს ფ. ი-ს სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის ანაზღაურება.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარკინიგზო ტიპის ხაზობრივ ნაგებობაზე მოსარჩევაზე საკუთრების უფლების გაუქმების პაროლი**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელი**

№ბს-31(კ-21)

7 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ტ-ემ და შპს „...მ“ 2017 წლის 3 თებერვალს სარჩელებით მიმართეს თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების ად-

მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ, სადავო ქონებაზე მ. ტ-ეისა და შემდეგ შპს „...ს“ საკუთრების უფლების რეგისტრაციების ბათილად ცნობის შესახებ სსიპ საჯარო რეესტროს ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 15 დეკემბრის №..., გარდაბნის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 368.49 მეტრ რკინიგზის ჩიხზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ 2016 წლის 16 დეკემბრის №..., №... და ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე 2017 წლის 16 თებერვლის №..., №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

მოსარჩელების მითითებით, საქმეში წარმოდგენილი თბილის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დაცული საპრივატიზებო მასალების შესაბამისად, დადასტურებულია, რომ 1996 წლის 24 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, როგორც გამყიდველმა, შპს „ს...ს“, როგორც მყიდველს გადასცა გარდაბნის რაიონის ...ის დასახლებაში მდებარე სახელმწიფო კორპორაციის თხევადი გაზის სასაწყობო მეურნეობის ბალანსზე რიცხული ქონება, რომლის ჩამონათვალშიც შედიოდა სადავო ქონებაც – რკინიგზის ჩამოსასახმელი ესტაკადა, ფართოლიინანდაგიანი რკინიგზა და რკინიგზის ჩიხი. 1996 წლის 26 ნოემბერს, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და შპს „ს...ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება საკონკურსო პირობებით. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 2 ივლისის №1-3/467 ბრძანებით, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ კანონისა“ და მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის №43 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატაციო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ“ დებულების საფუძველზე, შპს „ს...ს“ დაუდასტურდა საკუთრების უფლება გარდაბნის რაიონში მდებარე თხევადი გაზის სასაწყობო მეურნეობის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 8 ივლისს გაიცა №1001 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. ამრიგად, დასახელებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ სადავო მინის ნაკვეთზე განთავსებული რკინიგზის ჩიხი და რკინიგზის ჩამოსასახმელი ესტაკადა წარმოადგენდა 1996 წელს შპს „ს...ს“ მიერ განხორციელებული პრივატაციის ობი-

ექტს და სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა შექმნა სამართლებრივი სა-ფუძველი ესტაკადით განაშენიანებული მიწის ნაკვეთის (მასზე განთავსებული ლიანდაგით) შპს „ს...ს“ საკუთრებაში გადასაცემად.

მოსარჩევეთა მითითებით, ზემოაღნიშნული ქონება შპს „ს...მ“ 2016 წლის 5 ივლისს დადებული გაცვლის ხელშეკრულების საფუძ-ველზე გადასცა მ. ტ-ეს, ხოლო 2016 წლის 1 ნოემბერს დასრულდა მ. ტ-ეს სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებული წარ-მოება და გარდაბნის რაიონის სოფელ ...ში მდებარე ხაზობრივ ნა-გებობაზე დარეგისტრირდა მისი საკუთრების უფლება. 2016 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძ-ველზე იგივე ქონება მ. ტ-ემ გადასცა შპს „...ს“. იმავე წლის 29 ნო-ემბერს საჯარო რეესტრში წარდგენილ იქნა შპს „ზ...ის“ ადმინის-ტრაციული საჩივარი, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემ-ბრის №... და 2016 წლის 18 ნოემბრის №... გადაწყვეტილებების კა-ნონიერებასთან დაკავშირებით. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნუ-ლი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით დაქმაყოფილდა ადმინის-ტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული გა-დაწყვეტილებები და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს დაევალა იმავე სა-რეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით ახალი გადაწყვე-ტილებების მიღება. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს 2016 წლის 16 დეკემბრის №... და ... გადაწყვეტილებებით, გან-მცხადებლებს უარი ეთქვათ საკუთრების უფლების რეგისტრაცი-აზე გარდაბანში, სოფელ ...ში მდებარე 368.49 მეტრ რკინიგზის ჩი-ნის რეგისტრაციაზე.

დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, მოსარ-ჩელები აღნიშნავენ, რომ გარდაბნის რაიონის ...ის დასახლებაში მდებარე რკინიგზის ჩინის ერთი ტოტისა და რკინიგზის ჩამოსას-ხმელი ესტაკადის პრივატიზაცია შპს „ს...მ“ განახორციელა მანამ, სახამ სს „სა...“ დაფუძდებოდა (27.10.1997წ.). ამდენად, სადაცო ჩი-ნის ამ უკანასკნელისა და შემდეგ სს „ზ...ის“ სახელზე რეგისტრა-ციის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩევეთა მოსაზრებით, სადაცო აქტე-ბი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებენ მათ კანონიერ უფლებას, რის გამოც მოითხოვენ ამავე აქტების ბათი-ლად ცნობას და სარჩელის დაკმაყოფილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 7 თებერვლის განჩინებით მ. ტ-ეს სარჩე-ლი, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩატარებული იყო მეორე ნაწილის „...“ სასამართლოს მიმართ, ასევე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 მაისის განჩინებით შპს „...ს“ სარჩელი, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ასევე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 მარტის განჩინებით №... და №3-54-17 ადმინისტრაციული საქმები, მოსარჩელები – მ. ტ-ე და შპს „...“, მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გაერთიანდა ერთ საქმედ და მიენიჭა ნომერი ....

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ სარჩელები დაქმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც ოსაკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 15 დეკემბრის №..., 2016 წლის 16 დეკემბრის №..., №... და 2017 წლის 16 თებერვლის №..., №... გადაწყვეტილებები და მოპასუხეს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაგევალა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– მოსარჩელე მ. ტ-ეის 2016 წლის 27 ოქტომბრის განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, გარდაბანში, სოფელ ...ში მდებარე 368.49 მ. რკინიგზის ჩიხი დარეგისტრირდა მ. ტ-ეის საკუთრებად. იმავე ნაგებობაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, განხორციელდა შპს „...ს“ საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

– 2016 წლის 1 ნოემბრამდე სადაც ქონების მესაკუთრებს წარმოადგენდენ სს „სა...“. და შპს „ზ..“ საქმის მასალებით დასტურდება, რომ სს „სა...ს“ საკუთრების უფლების დამადასტურებელი

დოკუმენტი იყო სსიპ საწარმოთა მართვის ეროვნული სააგენტოს №33-418/7-10 ნერილი.

– დადგენილია, რომ 2016 წლის 8 დეკემბრის №324680 გადაწყვეტილებით შპს „ზ...ის“ საჩივრის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №... და 2016 წლის 18 ნოემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

– საქმის მასახლებში დაცული 1996 წლის 24 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ კანონის საფუძველზე, შპს „ს...ს“ გადასცა გარდაბნის რაიონის ...ის დასახლებაში მდებარე, სახელმწიფო კორპორაციის თხევადი გაზის სასაწყობო მეურნეობის ბალანსზე რიცხული ქონება, მათ შორის, რეინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა, ფართოლიანდაგიანი რეინიგზა და რეინიგზის ჩიხი. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და შპს „ს...ს“ შორის 1996 წლის 26 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება საკონკურსო პირობებით.

– ზემოაღნიშნული ქონება შპს „ს...ს“ 2016 წლის 5 ივნისს გაფორმებული გაცვლის ხელშეკრულების თანახმად, გადასცა მ. ტ-ეს, რომელმაც ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე რეინიგზის ჩიხი გადასცა შპს „ს...ს“.

– აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 27 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ საადავო მინის ნაკვეთზე განთავსებული რეინიგზის ჩიხი და რეინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა წარმოადგენდა 1996 წელს შპს „ს...ს“ მიერ განხორციელებული პრივატიზაციის ობიექტს და სწორედ აღნიშნულმა შექმნა სამართლებრივი საფუძველი ესტაკადით განაშენიანებული მინის ნაკვეთის, მასზე განლაგებულ ლიანდაგთან ერთად, შპს „ს...ს“ საკუთრებაში გადასაცემად. გარდაბნის რაიონის ...ის დასახლებაში განთავსებული რეინიგზის ჩიხის ერთი ტოტის და რეინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადის პრივატიზაცია განხორციელდა შპს „ს...ს“ მიერ, სანამ სს „სა...“. დაფუძნდებოდა (1997 წლის 27 ოქტომბერი). თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით.

– სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული

დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალური რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №... და 2016 წლის 18 ნოემბრის №... გადაწყვეტილებები. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს დაევალა №... და №... სარეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება.

– სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 16 დეკემბრის №... და №... გადაწყვეტილებებით განწყობადებლებს უარი ეთქვათ გარდაბნის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 368.49 მეტრ რეინიგზის ჩიხზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საჩივრებით გასაჩივრდა მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ მიერ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 თებერვლის №... და №... გადაწყვეტილებებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ ადმინისტრაციული საჩივრების დაქმაყოფილებაზე.

საქართველოს სასამართლომ დავის გადაწყვეტილისას გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი და მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არც გადაწყვეტილების მიღებისას და არც ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის დროს არ გამოიკვლია და არ შეაფასა სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სადაცოდ გახადა შპს „ს...ს“ საკუთრების უფლება მის სახელზე რეგისტრირებული 49918.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №...) 2757 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რაც ზედებაში იყო მის მიერ 2012 წელს სარეგისტრაციოდ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთთან. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს რეინიგზის ჩიხი და რკინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა, რომელიც 1996 წლის მიღება-ჩაბარების აქტით და პრივატიზაციის ხელშეკრულებით გადაეცა შპს „ს...ს“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც მითითებული უძრავი ქონების, ასევე მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართის (თავდაპირველად 6 ჰა, შემდგომ 5 ჰა) საჯარო რეესტრში შპს „ს...ს“ სახელზე პირველადი რეგისტრაცია განხორციელდა 2002 წელს, შემდეგ 2003 წელს, ხოლო 2009 წელს სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი აქტით განხორციელდა მხოლოდ დაზუსტებული მონაცემების რეგისტრაცია UTM კოორდინატთა სისტემაში. სასამართლომ ასევე

მიუთითა, რომ მხარეების მიერ სადაცოდ არ არის გამხდარი იმ უფლების დამდგენი დოკუმენტების კანონიერება, რომლებიც საფუძვლად უდევს სადაცო მიწის ნაკვეთზე შპს „ს...ს“ საკუთრების უფლების რეგისტრაციას. დადგენილია, რომ სადაცო მიწის ნაკვეთზე განთავსებული რკინიგზის ჩიხი და რკინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა წარმოადგენდა 1996 წელს შპს „ს...ს“ მიერ განხორციელებული პრივატიზაციის ობიექტს, რამაც შემდგომ შექმნა სამართლებრივი საფუძველი ესტაკადით განაშენიანებული მიწის ნაკვეთის შპს „ს...ს“ საკუთრებაში გადასაცემად.

სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის №... გადაწყვეტილება შპს „ს...ს“ საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ნივთის მონაცემების UTM კოორდინატთა სისტემაში რეგისტრაციის შესახებ, კანონიერია და ამ აქტის გამოცემის დროს სახეზე არ იყო ისეთი წანამძღვრების არსებობა, რომელთა გამოც სარეგისტრაციო სამსახურს უარი უნდა ეთქვა უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების განხორციელებაზე. საკავშირო სანარმო „ც...ის“ უფლებამონაცვლეა სახაზინო სანარმო – სახელმწიფო კომპანია „სა..“, რომლის ბაზაზე 1997 წლის 27 ოქტომბერს დაფუძნდა სს „სა..“ სახაზინო სანარმო „სა...ს“ ბალანსზე გადაცემული ქონების ნაწილის, მათ შორის, სადაცო ტერიტორიაზე განთავსებული რკინიგზის ჩიხის ერთი ტოტის და რკინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადის პრივატიზაცია განხორციელდა მანამ, სანამ სს „სა..“. დაფუძნდებოდა, შესაბამისად, არ არსებობდა მის სანესდებო კაპიტალში აღნიშნული ქონების შესატანად ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 15 დეკემბრის №..., 2016 წლის 16 დეკემბერის №... და №... და 2017 წლის 16 თებერვლის №... და №... გადაწყვეტილებები ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი და მოპასუხეს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, დავალებოდა ახალი აქტის გამოცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სარჩელების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ, ვინაიდან განსახილველი დავის საგანს წარმოადგენდა გარდაბაზი, ...ის დასახლებაში მდებარე ხაზობრივ ნაგებობაზე – 368.49 მეტრ რკინიგზის ჩიხზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების არსებობა, მიზანშეწონილად მიიჩნია მისი სამართლებრივი ბუნების შეფასება. კერძოდ, განმარტა, რომ ხაზობრივი ნაგებობა 2007 წლამდე მიიჩნეოდა ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა ძირითადი ნივთის ბედი. 2007 წლის შემდეგ კი, იგი წარმოადგენდა საკუთრების უფლების დამოუკიდებელ ობიექტს და მასზე საკუთრების უფლების გადასვლისთვის მხარეთა შორის ცალკე, დამოუკიდებლად უნდა მომხდარიყო შეთანხმება ხაზობრივი ნაგებობის გადაცემაზე და იგი ავტომატურად არ ხდებოდა ძირითადი ნივთის სამართლებრივი ბედის გამზიარებელი.

სააპელაციო პალატის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ფაქტის მიხედვით – შპს „ს...ს“ საკუთრება მოიცავდა რკინიგზის ჩიხსაც, განსახილველ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე იყო ის გარემოება, გადასცა თუ არა შპს „ს...მ“ მ. ტ-ეს ხაზობრივ ნაგებობაზე უფლება, რის დასტურადაც მხარეები გაცვლის ხელშეკრულებას ასახელებდნენ. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2016 წლისთვის ხაზობრივი ნაგებობა წარმოადგენდა რა ცალკე უფლების ობიექტს, მასზე საკუთრების უფლების გადასვლისთვის მხარეები სპეციალურად უნდა შეთანხმებულიყვნენ ასეთი ნაგებობის გადაცემაზე და მინის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა არ გულისხმობდა რკინიგზის ხაზის გადაცემასაც. მხარეთა მიერ მითითებულ გაცვლის ხელშეკრულებაში კი არავითარი შეთანხმება არ არსებობს ხაზობრივი ნაგებობის გადაცემაზე.

სააპელაციო სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, 21-ე-23-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სათანადოდ არ შეფასებულა სადავო მინის ნაკვეთზე უკვე რეგისტრირებული მონაცემები, კერძოდ, ხომ არ ხდებოდა საკუთრების უფლების ობიექტთა ზედღება, მათ შორის, სს „სა...ს“ და შპს „ზ...ის“ საკუთრებასთან, მარეგისტრირებელმა ორგანომ ასევე ყურადღება არ გაამახვილა საკუ-

რების უფლების დამდგენ დოკუმენტზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სადაც შემთხვევაში, რადგან 2016 წლის გაცვლის ხელშეკრულებით ხაზობრივ ნაგებობაზე საკუთრების უფლება არ გადასულა მ. ტ-ეზე, ხოლო ამ ცერიონალისთვის ხაზობრივი ნაგებობა წარმოადგენდა ცალკე უფლების ობიექტს, ამიტომ, საჭიროებდა სპეციალურ შეთანხმებას საკუთრების უფლების გადასვლისთვის. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით მ. ტ-ეის სახელზე არასწორად დარეგისტრირდა გარდაბანში, ...ში მდებარე 368,49 მ. რეგისტრის ჩიხი (საკადასტრო კოდი: ...). ამრიგად, მ. ტ-ეის სახელზე ისე აღირიცხა ხაზობრივი ნაგებობა, რომ იგი არ ფლობდა მასზე საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტს. რაც შეეხება მ. ტ-ესა და შპს „...ს“ შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, მართალია, აღნიშნული ხელშეკრულების საგნად პირდაპირ იქნა გათვალისწინებული რეგისტრის ხაზი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მ. ტ-ე არ ფლობდა საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტს ხაზობრივ ნაგებობაზე და მის სახელზე არასწორად მოხდა საკუთრების უფლების აღრიცხვა, მ. ტ-ე არ იყო უფლებამოსილი გაესხვისებინა ის ნივთი, რომელიც მისი საკუთრების უფლების ობიექტი არ იყო. შესაბამისად, საკუთრების უფლება არც შპს „...ს“ წარმოეშვა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ტ-ესა და შპს „...ს“ სახელზე არასწორად განხორციელდა საკუთრების უფლების აღრიცხვა.

სააპელაციო სასამართლომ კანონიერი ნდობის პრინციპის განსაზღვრებაზე მითითებით, დამატებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი უკანონო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებები. ამასთან, რადგან აღნიშნული რეგისტრაციები პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენდა მესამე პირთა უფლებებზე, მათ შორის, შპს „...ის“ საკუთრებაზე, კანონიერ ნდობაზე მითითებით ვერ მოხდებოდა არსებული ვითარების შენარჩუნება და უკანონო აქტების ძალაში დატოვება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ტ-ემ და შპს „...ს“, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატო-

ვება მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერი იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი. საქალაქო სასამართლომ საკითხის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით გადაწყვეტილისას მართებულად მიუთითა სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტორივ გარემოებაზე, რომ სადავო ქონება – რეინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა, ფართოლიანდაგიანი რკინიგზა და რკინიგზის ჩიხი შედიოდა იმ ქონების ჩამონათვალში, რომელიც 1996 წლის 24 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა შპს „ს...ს“. ამასთან, ამ უკანასკნელმა გარდაბნის რაიონის ...ის დასახლებაში არსებული რკინიგზის ჩიხისა და რკინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადის პრივატიზაცია განახორციელა მანამ, სანამ სს „სა...“. დაფუძნდებოდა (1997წ.). ამდენად, სადავო ჩიხის სააქციო საზოგადოებისა და შემდეგ შპს „ზ...ის“ სახელზე რეგისტრაციის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტო სადავო გადაწყვეტილებებში განვითარებულ მსჯელობაში გამორიცხავდა სადავო ქონებაზე შპს „ს...ს“ საკუთრების უფლებას და სწორედ ამ საფუძვლით უთხრა რეგისტრაციაზე უარი „მ. ტ-ესა და შპს „ს...ს“, თუმცა შპს „ს...ს“ საკუთრების უფლება როგორც მინის ნაკვეთზე, ასევე მასზე არსებულ ხაზობრივ ნაგებობაზე სასამართლო სხდომებზე არაერთხელ აღიარა და დადასტურდა. დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არც გადაწყვეტილებების მიღებისას და არც ადმინისტრაციული საჩივრების განხილვისას არ შეაფასა სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რაც დღეის მდგომარეობით კანონიერ ძალაშია.

კასატორების მოსაზრებით, ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სადავო ქონებაზე, მიუხედავად შპს „ს...ს“ საკუთრების უფლების დადასტურებისა, გადამწყვეტი იყო, გადასცა თუ არა შპს „ს...მ“ მ. ტ-ეს საკუთრების უფლება ხაზობრივ ნაგებობაზე, რადგან იგი 2007 წლამდე მიიჩნეოდა ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად და შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა ძირითადი ნივთის ბედი. 2007 წლის შემდეგ კი, წარმოადგენდა საკუთრების უფლების გადასვლისთვის მხარეთა შორის ცალკე, დამოუკიდებლად უნდა მომხდარიყო შეთანხმება ხაზობრივი ნაგებობის

გადაცემაზე, რადგან იგი ავტომატურად არ ხდებოდა ძირითადი ნივთის სამართლებრივი ბეჭის გამზიარებელი. ამასთან დაკავშირებით, კასატორები აღნიშნავენ, რომ მათთვის გაუგებარია, თუ გაცვლის ხელშეკრულებაში ცალკე არ იყო ნახსენები ხაზობრივი ნაგებობა, რაც მოგვიანებით წარმოადგენდა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, რატომ არ მოითხოვა საჯარო რეესტრმა დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა, მთო უფრო ხელშეკრულების არსებობის პირობებში აღნიშნულის წარდგენა სირთულეს არ წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ დასახელებულ საკოთხე სადაცო აქტებში საერთოდ არ არის ნამსჯელი. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია იმ საკითხზეც, რომ 2016 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, ქონება გადაეცა შპს „...ს“, რომელიც კეთილსინდისიერი შემძენია. ამასთან დაკავშირებითაც, დაუსაბუთებელია საჯარო რეესტრის პაზიცია, რომლის თანახმად, შპს „...ს“ უნდა სცოდნოდა ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე, რადგან რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, მ. ტ-ე წარმოადგენდა ქონების მართლზომიერ მფლობელს. ამრიგად, დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, კასატორები მიიჩნევენ, რომ გასაჩივრებული აქტები პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებენ მოსარჩელეებს, რის გამოც მართებულად მიიჩნევენ საკითხის ადმინისტრაციულ ორგანოში გამოსაკვლევად დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ივნისის განჩინებით მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განხილულ იქნებოდა არ-სებითად მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევა-

ში მთავარ სადავო საკითხეს წარმოადგენს ხაზობრივ ნაგებობაზე – გარდაბნის რაიონში, ...ის დასახლებაში მდებარე 368,49 მეტრ რკინიგზის ჩიხზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელეთა საკუთრების უფლების გაუქმების კანონიერება. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მოსარჩელების – მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ მიერ, რომელთაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (საკითხის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით გადაწყვეტის შესახებ) სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ. იგი გასაჩივრდა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. შესაბამისად, საკასაციო საჩივრების ფარგლებში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა შეაფასოს სარჩელის მხოლოდ დაკმაყოფილებული ნაწილის – სადავო აქტების სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგალების კანონიერება.

### **საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმესთან დაკავშირებულ შემცევ ფაქტობრივ გარემოებებზე:**

საქმის მასალებში დაცული 1996 წლის 24 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანარმოთა პრივატიზების შესახებ“ კანონის საფუძველზე, შპს „ს...ს“ გადასცა გარდაბნის რაიონის ...ის დასახლებაში მდებარე, სახელმწიფო კორპორაციის თხევადი გაზის სასაწყობო მეურნეობის ბალანსზე რიცხული ქონება, მათ შორის, რეინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა, ფართოლიანდაგიანი რეინიგზა და რეინიგზის ჩიხი. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და შპს „ს...ს“ შორის 1996 წლის 26 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება საკონკურსო პირობებით. აღნიშნული გარემოებები დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 27 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. დასახელებული აქტით დადგენილია, რომ სადავო მინის ნაკვეთზე განთავსებული რკინიგზის ჩიხი და რკინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა წარმოადგენდა 1996 წელს შპს „ს...ს“ მიერ განხორციელებული პრივატიზაციის ობიექტს და სტორედ აღნიშნულმა შექმნა სამართლებრივი საფუძველი ესტაკადით განაშენიანებული მინის ნაკვეთის, მასზე განლაგებულ ლიანდაგთან ერთად, შპს „ს...ს“ საკუთრებაში გადასაცემად. ამავე გადაწ

ყველამდებით აღინიშნა, რომ გარდაბნის რაონის ...ის დასახლებაში განთავსებული რკინიგზის ჩიხის ერთი ტოტის და რკინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადის პრივატიზაცია განხორციელდა შპს „ს...ს“ მიერ, სანამ სს „სა..“. დაფუძნდებოდა (1997 წლის 27 ოქტომბერი).

აღსანიშნავია, რომ მითითებული ქონება შპს „ს...ს“ 2016 წლის 5 ივნისს გაფორმებული გაცვლის ხელშეკრულების თანახმად, გადასცა მ. ტ-ეს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით გარდაბანის რაონის სოფელ ...ში მდებარე 368.49 მეტრი რკინიგზის ჩიხი დარეგისტრირდა მ. ტ-ეს საკუთრებად, რომელმაც ქონების სსიპ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, რკინიგზის ჩიხი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა შპს „...ს“. ამდენად, იმავე ნაგებობაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, განხორციელდა შპს „...ს“ საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრიდან 2010 წლის 22 ივნისის ამონაწერის თანახმად დადგენილია, რომ 2010 წლის 22 ივნისიდან სს „სა...ს“ საკუთრებად რეგისტრირებულია გარდაბნის რაონის დაბა ...ში მდებარე 2261.2 მეტრი ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ჩიხი (ს/კ ...). საკუთრების უფლების დამდგრენი დოკუმენტია სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2010 წლის 9 ივნისის №33-418/7-10 ნერილი. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 16 მარტის №A12032236-017/006 განკარგულების თანახმად, მოვალის – სს „სა...ს“ საკუთრებაში რიცხული აღნიშნული ქონების (ს/კ ...), შემძენი იძულებით საჯარო აუქციონზე გახდა შპს „ზ..“..

ასევე დადგენილია, რომ 2016 წლის 8 დეკემბრის №324680 გადაწყვეტილებით შპს „ზ...ს“ საჩივრის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №... და 2016 წლის 18 ნოემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენ-

ტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №... და 2016 წლის 18 ნოემბრის №... გადაწყვეტილებები. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს დაევალა №... და №... სარეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილებების მიღება.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 16 დეკემბრის №... და №... გადაწყვეტილებებით განმცხადებლებს უარი ეთქვათ გარდაბნის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 368.49 მეტრ რკინიგზის ჩიხზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საჩივრებით გაასაჩივრეს მ. ტ-ემ და შპს „...შ“. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 თებერვლის №... და №... გადაწყვეტილებებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ ადმინისტრაციული საჩივრების დაკამაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე, რომლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. მითითებული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე, ხოლო იმავე კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, საკუთრების უფლების რეგისტრაციისა თუ უკვე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების განხორციელებისთვის განმცხადებელმა უნდა წარადგინოს საკუთრების უფლების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაცია. ამასთანავე, მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებს წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, თუმცა სარეგისტრაციო სამსახური პასუხისმგებელია რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, საკუთრების რეგისტრაციამდე მარეგისტრირებელმა ორგანომ სრულყოფილად უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაცია, არამედ – მასთან რეგისტრირებული მონაცემები და დაცული ინფორმაცი-

აც, რათა საკუთრების უფლების რეგისტრაცია მხოლოდ სათანა-  
დო საფუძვლით განხორციელდეს.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-18 მუხლზე, რომლის თანახმად, სააგნენტო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები. ამასთან, შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს, შეწყდეს, ან პირს უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, დეტალურადაა მოწესრიგებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე, 22-ე, 23-ე მუხლებით.

დასახელებულ ნორმათა ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის განმცხადებელმა უნდა წარადგინოს კონკრეტულ უძრავ ნივთზე მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მარეგისტრირებელმა ორგანომ კი საკუთრების უფლების რეგისტრაცია სწორედ უფლების წარმომშობი სათანადო დოკუმენტის საფუძველზე და მის შესაბამისად უნდა განახორციელოს. ამასთანავე, მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წამდვილობაზე, თუმცა სარეგისტრაციო სამსახური პასუხისმგებელია რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე მარეგისტრირებელმა ორგანომ სრულყოფილად უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაცია, არამედ – მასთან რეგისტრირებული მონაცემები და დაცული ინფორმაციაც, რათა, ერთი მხრივ, საკუთრების უფლების რეგისტრაცია მხოლოდ სათანადო საფუძვლით განხორციელდეს, მეორე მხრივ კი, გამოირიცხოს სხვისი საკუთრების უფლების ხელყოფა და საკადასტრო მონაცემების ზედდება. თუკი სარეგისტრაციოდ წარდგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის დაფიქსირდება ზედდება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძვლით, უნდა შეაჩეროს სარეგისტრაციო წარმოება. ამასთან, თუკი სარეგისტრაციო მოთხოვნა რეგისტრირებული მონაცემების იდენტურია, იმა-

ვე კანონის 23-ე მუხლის „ვ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო ხაზოვან ნაგებობაზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების დადგენის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქმეში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 27 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეფასება, რომლითაც დადგენილია, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე განთავსებული რეინიგზის ჩიხის ერთი ტოტი და რეინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა წარმოადგენდა 1996 წელს შპს „ს...ს“ მიერ განხორციელებული პრივატიზაციის ობიექტს და სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა შექმნა სამართლებრივი საფუძველი ესტაკადით განაშენიანებული მიწის ნაკვეთის, მასზე განლაგებულ ლიანდაგთან ერთად, შპს „ს...ს“ საკუთრებაში გადასაცემად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასახელებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, მოპასუხემ არც სადავო გადაწყვეტილებს მიღებისას და არც ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის დროს არ გამოიკვლია და არ შეაფასა სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, ამავე გადაწყვეტილებით ასევე დასტურდება, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სადავოდ გახადა შპს „ს...ს“ საკუთრების უფლება №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 49918.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 2757 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რაც ზედდებაში მოვიდა სამინისტროს მიერ 2012 წელს სარეგისტრაციოდ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთთან. ამასთან, დადგენილია, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს რეინიგზის ჩიხი და რეინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადა, რომელიც 1996 წლის მიღება-ჩაბარების აქტით და პრივატიზაციის ხელშეკრულებით გადაეცა შპს „ს...ს“. აღსანიშნავია, რომ როგორც აღნიშნული უძრავი ქონების, ასევე მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართის (თავდაპირველად 6 ჰა, შემდგომ 5 ჰა) შპს „ს...ს“ სახელზე პირველადი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში განხორციელდა 2002 წელს, შემდგომ 2003 წელს, ხოლო 2009 წელს სასამართლოს მიერ ბათილად ცონბილი აქტით განხორციელდა მხოლოდ დაზუსტებული მონაცემების რეგისტრაცია UTM კოორდინატთა სისტემაში. საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, აგრეთვე, იმ გარემოების მითითებას, რომ მხარეთა მიერ სადავოდ არ არის გამხდარი იმ უფლების დამდგენი დოკუმენტების კანონიერება, რომლებიც საფუძვლად დაედო მიწის ნაკვეთზე შპს „ს...ს“ საკუთრების უფლების რეგისტრაციას. კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილებით ასევე დადგენილია, რომ საკაფირო საწარმო „ც...ის“ უფლებამონაცვლეა სახაზინო საწარმო – სახელმწიფო კომპანია „სა..“, რომლის ბაზაზეც 1997 წლის 27 ოქტომბერს დაფუძნდა სს „სა..“.. სახაზინო საწარმო „სა...ს“ ბალანსზე გადაცემული ქონების ნაწილის, მათ შორის, სადავო ტერიტორიაზე განთავსებული რეინიგზის ჩიხის ერთი ტოტისა და რეინიგზის ჩამოსასხმელი ესტაკადის პრივატიზაცია განხორციელდა მანამ, სანამ სააქციო საზოგადოება „სა..“. დაფუძნდებოდა, შესაბამისად, არ არსებოდა მის საწესდებო კაპიტალში აღნიშნული ქონების შესატანად ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

მიუხედავად საქმეზე უდავოდ დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებებისა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ბათილად ცნო 2016 წლის 1 და 18 ნოემბრის გადაწყვეტილებები, რომლებითაც განხორციელდა მ. ტ-ეის და შემდგომ შპს „...ს“ საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სააგენტომ დაინტერესებული პირის – შპს „ზ...ის“ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ როგორც №..., ისე №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთი წარმოადგენდა ერთი სახის – სარკინიგზო ტიპის საზოვან ნაგებობას. 2016 წლის 16 დეკემბერს კი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რადგან განსახილველ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილ ხაზოვან ნაგებობაზე №... საკადასტრო კოდით უკვე რეგისტრირებული იყო სხვისი – შპს „ზ...ის“ საკუთრების უფლება, რაც წარმოადგენდა სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის საფუძველს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის და იმავე კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 16 თებერვალს მიღებულ იქნა №... და №... გადაწყვეტილებები მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებული გარემოებები აფინინისტრაციული წარმოების დროს სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული არ ყოფილა, ხოლო საქმეში წარმოადგენილი მტკიცებულებები სადავო საკითხის სასამართლოს მიერ დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა. სწორედ ამიტომ, მოპასუხემ, როგორც შესაბამისი უფლება-მოვალეობების ქონე სუბიექტმა, უნდა უზრუნველყოს საკითხის შემდგომი შესწავლა, სრულყოფილად გამოკვლევა და სათანადოდ შეფასება, რათა ზუსტად გან-

საზღვროს სადაც ქონებაზე მხარეთა საკუთრების უფლებების არსებობა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ დავის განხილვისას მიუთითა ისეთ გარემოებაზე, რაზეც ადმინისტრაციული წარმოებისას ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული. კერძოდ, აღნიშნა, რომ ხაზობრივი ნაგებობა ცალკე უფლების ობიექტად განისაზღვრა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2007 წლის 11 მაისის კანონით, რომლის თანახმად, ამავე კანონის მე-17 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და მითითებული ნორმით განისაზღვრა უძრავი ნივთის არსებით შემადგენელ ნანილზე ცალკე უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობა. აღნიშნული ნორმის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება ასევე ცალკე უფლება უძრავი ნივთის არსებით შემადგენელ ნანილზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაზობრივი ნაგებობა არის უძრავი ნივთის ისეთი არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცალკე უფლების ობიექტია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შპს „ს...ს“ საკუთრების უფლების არსებობის დადასტურების მიუხედავად, სადაც შემთხვევაში გადამწყვეტი იყო, რამდენად მოხდა ხაზობრივ ნაგებობაზე შპს „ს...ს“ მიერ მ. ტ-ეისთვის საკუთრების უფლების გადაცემა მაშინ, როცა საკუთრების უფლების წარმოშობის დოკუმენტად მხარეები ასახელებენ 2016 წლის გაცვლის ხელშეკრულებას. ამ დროისთვის კი ხაზობრივი ნაგებობა წარმოადგენდა რა ცალკე უფლების ობიექტს, მასზე საკუთრების უფლების გადასვლისთვის მხარეები სპეციალურად უნდა შეთანხმებულიყვნენ ასეთი ნაგებობის გადაცემაზე, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ იმ პირობებში, როდესაც შპს „ს...ს“ საკუთრება დადასტურებულია, ამ უკანასკნელს კი მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ მიმართ პრეტენზია არ გააჩინა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოს, მოსარჩელების – მ. ტ-ეისა და შემდეგ შპს „...ს“ სახელზე ხაზოვანი ნაგებობის რეგისტრაციის კანონიერებისთვის, შეუძლია მოითხოვოს ამავე ხაზოვან ნაგებობაზე დამატებით საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენა ქონების თავდაპირველი მესაკუთრისგან. მოპასუხემ ასევე უნდა გამოიკვლიოს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ შპს „ს...ს“ 1996 წლის 24 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტით რეინიგზის ჩიხის მხოლოდ ერთი ტოტი გადასცა, თუ მთლიანი ჩიხი, ამასთან, დააზუსტოს სულ რამდენი ტოტისგან შედგებოდა სადაც ხაზოვანი ნაგებობა და გან-

საზღვროს თითოეულ მათგანზე მოდავე მხარეთა საკუთრების უფლება. ყოველივე ალნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის ხელახლი განხილვისას მოპასუხემ უნდა გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და მტკიცებულებათა შეგროვება განახორციელოს კანონით განსაზღვრული პროცედურების ჩატარების მეშვეობით, ხოლო უკვე არსებულ მტკიცებულებებს მისცეს სწორი და კანონშესაბამისი შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 411-ე მუხლის თანახმად, არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 15 დეკემბრის №..., 2016 წლის 16 დეკემბრის №..., №... და 2017 წლის 16 თებერვლის №..., №... გადაწყვეტილებები და დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის განაწილებას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამრიგად, სსიპ საჯარო რე-

ესტრის ეროვნულ სააგენტოს მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელებსა და საკასაციო საჩივრებზე გადახ- დილი სახელმწიფო ბაჟის – 800 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად- მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-10 მუხლე- ბით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411- ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ლ ა:**

1. მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა- ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ სარჩელები დაკმაყოფილდეს ნაწილობ- რივ;

4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 15 დეკემბრის №..., 2016 წლის 16 დეკემბრის №..., №... და 2017 წლის 16 თებერვლის №..., №... გადაწყვეტილებები და დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ად- მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მ. ტ-ეისა და შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელებსა ( $100+100$ ) და სა- კასაციო საჩივრებზე ( $300+300$ ) გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 800 (რვაასი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა- ბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)